

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორქიპანიძის არქეოლოგიის ცენტრი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM
OTAR LORDKIPANIDZE CENTRE OF ARCHAEOLOGY



გურამ ჩიქოვანი, ჯონი აბულაძე, დიმიტრი ჟვანია

ქვემო ქართლის (არწილოს) არქეოლოგიური
ექსარღივის მიერ შესწავლის აღრესამიზათმოქმედო
კულტურის ნამოსახლარები
(1966-1988 წწ.)

I

თბილისი
TBILISI
2015

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთმიშვილის არქეოლოგიის ცენტრი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM
OTAR LORDKIPANIDZE CENTRE OF ARCHAEOLOGY

გურამ ჩიკოვანი, ჯონი აბულაძე, დიმიტრი ჟვანია

ძველ ქართლის (არჭალის) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ
შესფავლისა და ამონიკური კულტურის ნამოსახლარები
(1966-1988 წწ.)

Guram Chikovani, Joni Abuladze, Dimitri Zhvania

**Settlements of the Early Farming Period Culture Explored By Kvemo Kartli (Arukhlo) Archaeological
Expedition**

(1966-1988)

Гурам Чиковани, Джони Абуладзе, Димитри Жвания

Поселения раннеземледельческой культуры, изученные
Квемо-Картлийской (Арухлинской) археологической экспедицией
(1966-1988)

ვიზები I

თბილისი

Tbilisi 2015

UDC(უაკ)902.2+903.4(479.221.1)
h-697

წიგნი I წარმოადგენს ქვემო ქართლის (არუხელოს) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილ სხვადასხვა ეპოქის ძეგლებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის შემდგომი პუბლიკაციების მოსამზადებელ ეტაპს.

პირველ წიგნში განხილულია ქვემო ქართლის (არუხელოს) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილი ადრესამიწათმოქმედო კულტურათა ნამოსახლარები, დასახლების ტიპი, სამშენებლო ტრადიცია, წარმოებითი მეურნეობის დარგები - მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ხაზგასმულია მათი კულტურული კუთვნილებისა და კავშირურთიერობის საკითხები.

ნაშრომი განკუთვნილია ისტორიის, არქიტექტურისა და აგრარული დარგის სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის, ასევე არქეოლოგით დაინტერესებულ მკვლევართა ფართო წრისათვის.

The book is a preliminary work for further publications of the materials coming from the sites of different periods excavated by Kvemo (Lower) Kartli (Arukhlo) archaeological expedition.

The first volume deals with the Early Farming period artifacts uncovered at the settlements. It includes the descriptions of various type habitation sites, building traditions and different areas of producing economy such as agriculture and herding practice that have been unveiled by the teams of Kvemo (lower) Kartli (Arukhlo) archaeological expedition. The authors have paid a special attention to the problems of their cultural attribution and interrelation.

The book is designed for archaeologists, architects, agriculturalist, historians and students interested in problems examined in the book.

სამეცნიერო რედაქტორი:

ისტორიის აკადემიური დოქტორი გურამ მირცხვლავა

Scholarly Editor: Guram Mirtskhulava Dr. of History

რევიუზისტები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლამარა ნებიერიძე
ისტორიის აკადემიური დოქტორი ქათევან ესაკია
ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ნანა რუსიშვილი

Reviewers:

Lamara Nebieridze Dr. of History

Nana Rusishvili Dr. of History

Ketevan Esakia Dr. of Biology

პორტატიული უზრუნველყოფა: გიორგი ორბელაძე, ჯონი აბულაძე

Computer design: Giorgi Orbeladze, Joni Abuladze

პორტატიული უზრუნველყოფა: ანა ჩიქოვანი, ინგა ჩხარჩხალია

Correctors: Anna Cikovani, Inga Chkharchkhalia

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა

0108 თბილისი რუსთაველის გამზირი 52.

ტელ. (+995 32) 299 89 10

Printing House of Georgia's National Academy of Sciences

0108 Tbilisi Rustaveli Avenue 52.

Tel. (+995 32) 299 89 10

ეძღვნება ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპლორის ხელმძღვანელების

ტარიელ ჩუბინიშვილისა და დავით გოგელის

ნათელ ხსოვნას

The Book is a Sincere Tribute to the Memory of

Kvemo Kartli (Arukhlo) Expedition Former Directors

Tariel Chubinishvili and David Gogelia

სარჩევი

შესაგადი .	6
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. იგ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვემო ქართლის (არწელოს) არქეოლოგიური ექსპლიციის მონაცილებია სია (1966-1988 წწ) .	13
თავი I.	
ძველი ქართლის მოკლე ისტორიული და ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა .	14
თავი II.	
ძველი ქართლის (არწელოს) არქეოლოგიური ექსპლიციის მიერ გათხრილი ადრესამიზათმოქმედო კულტურის ნამოსახლარები (არუხლო I, არუხლო II, არუხლო III, არუხლო VI, წოფი, წითელი სოფელი, მაშავერას გორა) .	16
თავი III.	
დასახლების ტიპი, არქიტექტურა, სამშენებლო ტექნიკა .	37
თავი IV.	
მოკოვებული მასალა .	43
1. ქერამიკა .	43
2. ნატკეცი ქვის მასალა .	44
3. მასიური ქვის იარაღები .	58
4. ძვლისა და ირმის რქის იარაღები .	60
5. შინაურ და გარეულ ცხოველთა ძვლები .	62
თავი V.	
მეურნეობა .	64
თავი VI.	
კულტურული კუთხიერებისა და ქრონოლოგიის საპირისპირო .	67
ლიტერატურა .	78
Summary .	86
Резюме .	92
ტაბულების აღსანვა .	98
Description of Tables .	100
ტაბულები .	104

ШЕСАВАЛДО

Мრავალწლიანი, გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრებით და ინტერდისციპლინარული კვლევებით დგინდება, რომ კავკასია და განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორია ადამიანთა უძველესი წინაპრების განსახლების ერთ-ერთი პირველი კერა ყოფილა ეგრაზიაში. კავკასიის ტერიტორიაზე შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ბუნებრივი პირობების ცვლილებისა და მასთან ადამიანთა უძველესი წინაპრების შეგუება-ურთიერთობის პროცესს ქვის ხანის ადრეული ეტაპიდან (გ. მირცხულავა, გ. ჩიქოვანი, 2011: 139-155). კავკასიასა და საქართველოში ამ პროცესისა და სხვადასხვა ეტაპის მრავალრიცხვანი ძეგლების შესწავლა-გააზრებაში სხვადთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ქართველ მკვლევართა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს, რომელთაც არაერთი საყურადღებო აღმოჩენა და გამოკვლევა აქვთ გაკეთებული.

დმანისის და ქვის ხანის მომდევნო ძეგლებზე არქეოლოგიურ არტეფაქტებთან ერთად აღმოჩენილია აფრიკული სავანისათვის დამახასიათებელი ბალახოვან და ბუქოვან ხემცენარეთა მტვრის ნაშთები და ცხოველთა ძელები (მ. გაბუნია, ა. ვაკუა 2005; 5-10). დმანისის მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენამ ისევ გამოაცოცხელა კავკასიაში ადრეული ქვის ხანის საღიმების კვლავ შესწავლისა და ახალი ძეგლების ძიების საკითხი. ამ მხრივ, უახლესი აღმოჩენებით საყურადღებო ძეგლები ითხრება ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, მთიან დაღებანში (X. Амирханов 2007; 5-7).

გლობალური კლიმატური ცვლილებების მიუხედავად კავკასიის სხვადასხვა რეგიონში ქვის ხანის ადამიანები ყოველთვის პოუ-

ლობდნენ ცხოვრებისათვის ხელსაყრელ ადგილებს. ამ მხრივ საქართველოში განსაკუთრებით გამორჩეულია დასავლეთ საქართველო, სადაც ქვის ხანის ძეგლები მეტი ინტენსივობით არის შესწავლილი და აღმოჩენილია არაერთი პირველხარისხის ძეგლი, განსაკუთრებით კი ზედაპალეოლიტური სადგომები. ქვის ხანის ადამიანის განვითარების პროცესი კარგად იგრძნობა იარაღთა დამზადების მრავალფეროვნებაში. მკვლევართა დაკვირვებით თუ ქვედა პალეოლიტში ადამიანი 60-ზე მეტი სახეობის და ქვესახეობის იარაღს ამზადებდა (В. Любин, 1965; 7-75), ზედა პალეოლიტში კი იარაღთა სახეობამ 91-ს მიაღწია (А. Черниш, 1967; 3-11).

XX ს-ის 30-იან წლებში ცნობილი ძეგლების მიხედვით ს. ზამიატნინმა გამოყო ზედა პალეოლიტის განვითარების სამი ეტაპი (С. Замятнин, 1935; 116-123). ხოლო 6. ბადერმა მონიშნა ზედა პალეოლიტ-მეზოლიტის კულტურის სამი ვარიანტი (Н. Бадер 1965; 273). 6. ბერძენიშვილმა (კილამე) ახალი მასალის საფუძველზე პირველი ეტაპის ძეგლები დაჲყო ადრეულ და გვიანი ფაზის ძეგლებად (6. ბერძენიშვილი “კილამე” 1964; 77-79), ხოლო დ. თუშაბრამიშვილმა დაამატა მეოთხე, რომელშიაც შევიდა მათთან დაკავშირებული ადრეკოლოცენური ძეგლები (Д. Тушабрамиშვili 1981; 51-56). გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ზედა პალეოლიტის ადრეული საფეხურის ძეგლებში შეინიშნება მუსტიური ფორმების არსებობა, რაც კულტურის განვითარების თანმიმდევრობაზე მიუთითებს (მ. ნიორამე 1975; 107).

საქართველოს ტერიტორიაზე და განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, გათხ-

როლია ზედა პალეოლითის მრავალფენიანი არაერთი პირველხარისხოვანი მდგომური ძეგლი. უახლესი გათხრებით ერთ-ერთ დიდ აღმოჩენად ითვლება ძუძუანას მდგომის ზედაპალეოლითურ ძ ფენაში პალინოლოგიური ანალიზით დადგენილი სელის შედებილი, დაგრეხილი ბოჭკოსა და მატყლის ბოჭკოს დაფიქსირება (თ. მეშვეობიანი 2010; 5-7).

დასავლეთ საქართველოში ასევე მრავლადაა მეზოლითური ძეგლები. საყურადღებოა, რომ ცალკეულ მდგომურ სადგომზე კულტურული ფენები შეიცავენ მასალებს ზედა პალეოლითიდან ადრე ბრინჯაოს ჩათვლით. კავკასიაში შესწავლილი მრავალრიცხოვანი მეზოლითური ძეგლების მიხედვით გამოყოფილია იმერეთის, ჩოხის, შავი ზღვისპირეთის და თრიალეთის მეზოლითური კულტურები (Н. ბადერ, Л. ცერეთელი 1989; 103). ამ კულტურათა უმეტესი არეალი კი ძირითადად საქართველოს ტერიტორიაზე მოდის.

ზედა პალეოლითის ბოლოს, გამყინვარების დასრულებას მოჰყვა პოლოცენის ანუ თანამედროვე კლიმატის თანდათან ჩამოყალიბება, რომელმაც ცვლილებები შეიტანა ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში. მეზოლითის დასასრულს კავკასიაში მიმთვისებლური მეურნეობის ძირითადმა სახემ შემგროვებლობამ, ნაღირობამ, თევზჭერამ საყოფაცხოვრებო და საბრძოლო იარაღების გაუმჯობესებამ, გამოიწვია კარდინალური ცვლილებები და იწყება წარმოებით მეურნეობაზე თანდათან გადასვლის პროცესი. ხატოვნად რომ ვთქათ, მცენარეთა მოშენება და ცხოველთა მოშინაურება მაღლ მიწათმოქმედებად და მესაქონლეობად იქცა (ა. კალანდაძე, 1970; 121).

წარმოებით მეურნეობაზე გადასვლისა და განვითარების ამ უმნიშვნელოვანების ხანას ეწოდება ნეოლითი. ნეოლითში მომხდარმა

ტექნიკურმა და ეკონომიკურმა პროცესმა დააჩქარა ადამიანთა საზოგადოების განვითარება ბოლო 10-8 ათასი წლის განმავლობაში.

საქართველოს ტერიტორიაზე ნეოლითური ნამოსახლარებზე ძველი ტრადიციების გავლენის კვალი გვხვდება როგორც მდგომებში, ისე დია სადგომ-ნამოსახლარებზე. ამ ძეგლებზე მასალის მიხედვით გამოიყოფა როგორც ადრეული, ისე მოგვიანო ძეგლები. რაც მთავარია, იწყება მეტ ნაკლებად მყარი გარკვეული არქიტექტურული გეგმარების საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობა. ძველი, ტრადიციული იარაღების გვერდით ჩნდება ქვის, ირმის რქის და ძვლის ახალი იარაღები. ქვის იარაღებისათვის დამახასიათებელი ხდება დამუშავების ახალი ტექნიკა – გახეხვა-გაპრიალება “მოკოდვა”. შემგროვებლობის, ნადირობის და თევზჭერის გვერდით თანდათან მატულობს მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის წილი, იწყება თიხის ჭურჭლის დამზადება, ჩნდება სპილენძის პირველი ნივთები.

მიმთვისებლურიდან წარმოებით მეურნეობაზე გადასვლას, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ადამიანთა საზოგადოების განვითარების საქმეში ინგლისელმა მეცნიერმა გორდონ ჩაილდმა მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგიური მასალის საფუძველზე “ნეოლითური რევოლუცია” უწოდა (Г. ჩაილდ 1965; 55).

ამ უმნიშვნელოვანების მოვლენის შესწავლამ დიდი ხანია მიიპყრო მკვლევართა შურადლება. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ცნობილმა რუსმა ბოტანიკოსმა ნ. ვაკილოვმა მსოფლიოს მთიან და სუბტროპიკულ ოლქებში გამოყო მიწათმოქმედების წარმოქმნის ჯერ ხუთი, შემდეგ შვიდი და ბოლოს რვა დამოუკიდებელი კერა,

თავისი ქვეტიპებით (Н. Вавилов 1960; 29-57). ნ. გავილოვის მიერ გამოყოფილ დამოუკიდებელ ცენტრებში უპირველესია წინააზიური კერა, რომელიც მოიცავს წინააზიის ტერიტორიას, სადაც შედის მცირე აზია, ამიერკავკასია, ირანი და მთიანი თურქმენეთი. სწორედ ამ კერაში ცნობილია დამჯდარი მიწათმოჭმედების წარმოქმნის უძველესი ოლქები.

თითქმის საუკუნოვანი კვლევის მიუხედავად წარმოებითი მეურნეობის წარმოქმნის და განვითარების პროცესი დღესაც აქტუალურია და გამოქვეყნებულია მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევა. პლეისტოცენის დასასრულიდან წინააზიურ კერაში თანდათან ყალიბდებოდა ხელსაყრელი ეკოლოგიური გარემო და ფაუნის და ფლორის გავრცელების საზღვრები. კლიმატური ცვლილება ნაკლებად შეეხო ცხოველთა განსახლებას, რომლებიც ინარჩუნებდნენ დიდ ეკოლოგიურ პლასტიკურობას, ვიდრე მცენარეები. ამიტომ წინააზიის გვიან-პლეიისტოცენურ ფაუნას უკვე პქნონდა თანამედროვე სახე (В. Шнирельман, 1980; 53), მაგრამ ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი რიგი პრობლემური საკითხი.

პოლოცენის დასაწყისიდან ჩამოყალიბებული ხელსაყრელი კლიმატური და ბუნებრივი პირობების შედეგად კავკასია და საქართველოს ტერიტორია ყოველმხრივ გამორჩეულია. 6000 მცენარეული, 130 ცხოველთა სახეობა, სხვადასხვა ჯიშის კაუის, ობსიდიანის და სხვა საიარაღ ქვების მრავალფეროვნება სავსებით აკმაყოფილებდა ადამიანებს როგორც ქვის, ასევე მომდევნო ჩანებში. კლიმატური პირობების შესაბამისად კავკასიის სხვადასხვა რეგიონში წარმოებითი მეურნეობის წარმოქმნა-განვითარების განსხვავებული სურათი ჩანს. იგივე სურათია საქართველოს ტერიტორიაზეც. საქართველოს უმეტეს რეგიონებში გვხვდება ადგილობრივ ნიადაგზე ჩამოყალიბებული ნეოლით-ენეოლითური

ნამოსახლარები, გარკვეული კულტურული ნოვაცია-ინოვაციებით. ასეთებია მდვიმეებსა და დია ადგილებზე შესწავლილი ერთფენიანი ნამოსახლარები, რომელთა ნაწილზე დადასტურებულია ნახევრადმიწურების და მიწისზედა ნაგებობების კვალი ან ყოფითი კულტურის სხვა ელემენტები, კერა, ორმო, შრომის იარაღები (Г. Григолия, Н. Мгеладзе, 1980; 13-15), ცხოველთა ძვლები (ლ. ნებიერიძე, 1978; 35) და ა.შ. დასავლეთ საქართველოში ცნობილია მდვიმური – სამელე კლდის და ლია, ოდიშის ტიპის სადგომ-ნასახლარები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში “წოფის კულტურის” ნამოსახლარები.

ამასთანავე სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ორ – მარნეულის და ბოლნისის რაიონში, აღმოჩენილი და ნაწილობრივ შესწავლილია მრავალპორიზონტიანი გორა ნამოსახლარები, სადაც დადასტურებულია მახლობელი აღმოსავლეთისა და წინა აზიის რიგი ცენტრებისათვის დამახასიათებელი ალიზის აგურით ნაგები წრიული საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნაგებობანი, კერამიკა, წარმოების იარაღები, კულტურულ მცენარეთა ნაშთები, შინაურ და გარეულ ცხოველთა ძვლები და ა.შ. რომელიც აჩვენებს წარმოებითი მეურნეობის ჩამოყალიბებულ სახეს. მეურნეობის დონე და გეოლოგიური გარემო განაპირობებდა და მათზე პირდაპირ არის დამოკიდებული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საქმე, საცხოვრებლის ფორმები, მასალა, ზომები და ა.შ. (გ. მირცხულავა, 2001; 40-45).

ამიერკავკასიაში ასეთი ნამოსახლარების აღმოჩენა-შესწავლას თავისებური ისტორია აქვს.

მას შემდეგ რაც მახლობებელ აღმოსავლეთსა და წინა აზიაში შეისწავლეს ნეოლითური ხანის სხვადასხვა ეტაპის ნამოსახლარები და გამოყვეს დამახასიათებელი ნიშნები,

ამიერკავკასიაში განსაკუთრებული მოვლენა გახდა პირველი ასეთი ნამოსახლარის აღმოჩენა.

ამიერკავკასიაში მანამდე უცნობი, ახალი კულტურის, პირველი ასეთი მრავალ სამშენებლო ჰორიზონტიანი ნამოსახლარის ქულ თევე I-ის გათხრა დაიწყო 1951 წელს აზერბაიჯანში, ქალაქ ნახიჭევანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 8 კმ-ზე, მდინარე ნახიჭევან ჩაის ნაპირზე (O. აბიულაევ 1981; 16-17). აღრებრინჯაოს ხანის კ.წ. “მტკარ-არაქსის ენეოლითური კულტურის” ძეგლებზე უფრო აღრეული ნამოსახლარის შესწავლის შედეგებმა დიდი ბიძგი მისცა ახალი ძეგლების მიებას აზერბაიჯანში. 50-იან წლებში მილის, ყარაბაღის ველზე და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანში დაზვერვებით გამოვლინდა ქიულ თევე I ფენის თანადროული რამდენიმე ძეგლი (A. იესცენ 1963; 3-14). ხოლო 1961 წელს ყაზახის რაიონში დაიწყო შომუ თევეს ნამოსახლარის შესწავლა, სადაც 1 მ სისქის კულტურულ ფენაში გამოვლინდა ერთოიგად დაწყობილი ამოზურებული აღიზით ნაშენი წრიული ფორმის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. განასხვავებდა რა შომუ თევეს ტიპის ნამოსახლარებს ქიულ თევე I -საგან, ძეგლის გამოხველმა იდეალ ნარიმანოვმა, მას “შომუ თევეს კულტურა” უწოდა (И.Нариманов 1968; 121-125).

აღმოსავლეთ საქართველოში პირველი, უდავოდ აღრებრინჯაოს ხანაზე წინარე ნამოსახლარი აღმოჩნდა 1957 წელს, მარნეულის რაიონში მდინარე ბანუშ ჩაის მარცხენა ნაპირზე – წოფის ნამოსახლარი (გ. გრიგოლია, თ. ტაგიშვილი, 1960; 63-82). ასეთივე მასალა გამოვლინდა ქვემო ქართლში თეთრი წყაროს ნამოსახლარზე (გ. გობეჯიშვილი, 1966; 25-26), 1957 წელს ქოსალარში (ნ. ბერძენიშვილი, 1963; 9-10). აგრეთვე საყურადღებო თეთრი წყაროს რაიონში

სოფელ სამშვილდესთან მეოთხე ტერასაზე საძიებო თხრილის გაფართოებისას გამოვლენილი კომპლექსი (მეორე ფენა) რომლის ქვეშ აღმოჩნდა უფრო აღრეული პერიოდის კულტურული ფენა. აქ მოპოვებული თხრის ჭურჭლის ნაწარმი გამთხველის აზრით წოფის, აბელიას, სამელე, სამერცხლე და სხვა წინამტკარარაქსული წრის ძეგლებში პოულობს ანალოგიებს (გ. მირცხულავა, 1975; 10-11, 21) კახეთში – კი დაზვერვებით ლაგოდების რაიონში სოფ. ულიანოვგასთან აიკრიფა არქაული მასალა (გ. ჯავახიშვილი, 1966; 3-11).


ტ. ჩუბინიშვილის აზრით აღმოსავლეთ საქართველოში უძველესი სამოსახლოების შესწავლა სამ ეტაპად იყოფა – I ეტაპი 1920-1940 წლები, II ეტაპი 1940-1965 წლები. ხოლო მესამე ეტაპი იწყება 1965 წლიდან (ტ. ჩუბინიშვილი, 1973; 99-109).

სწორედ 1965 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში აღრესამიწათმოქმედო კულტურის გორა ნამოსახლარების შესწავლით იწყება ახალი მესამე ეტაპი. ჯერ კიდევ 1964 წელს მარნეულის რაიონში სამეურნეო სამუშაოებისას მთლიანად დაუნგრევიათ ერთი ნამოსახლარი (“დანგრეული გორა”) და დაზიანებით მეორე – შულავერის გორა. სწორედ ამ ორი და შულავერის ჯგუფის სხვა ნამოსახლარების გადარჩენის მიზნით დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერთიანებულმა ექსპედიციამ თ. ჯავარიძის ხელმძღვანელობით (ქვემო ქართლის . . . 1975; 6).

1966 წელს კი ბოლნისის რაიონში სოფელ არუხელოს მიდამოებში არსებული გორა ნამოსახლარებიდან გასათხველად შეურჩევიათ ყველაზე დიდი – შემდეგში არუხელო I-ის სახელით ცნობილი ნამოსახლარი.

როგორც ცნობილია, არუხელო I პერი-

ოდულად ითხოებოდა 1966-1985 წლებში. ამ ნამოსახლარმა თავიდანვე დიდი უერადღება მიიპყრო და მის შესწავლაში არქეოლოგების გარდა მონაწილეობდნენ სხვადასხვა სპეციალობის ცნობილი მკვლევარები. მათ შორის იყვნენ სხვა ქვეწებიდან მოწეული სპეციალისტები და ექსპედიცია ცალკეულ შემთხვევაში საერთაშორისო ხასიათს ატარებდა. 1966 წელს არუხლო I-ის გათხრებში მონაწილეობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლები. ხოლო 1968 წლიდან მუშაობა გააგრძელა საქართველოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის, შემდგომში კი არქეოლოგიის პედაგისტებრის ქვემო ქართლის (არუხლოს) ექსპედიციას.¹ ექსპედიციას 1966-1978 წლებში ხელმძღვანელობდა პროფ. ტარიელ



ტ. ჩუბინიშვილი (1920-1983)

ჩუბინიშვილი. ხოლო 1978-1988 წლებში ახალგაზრდა არქეოლოგი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი დავით გოგელია, რომელიც

სამწუხაროდ 2013 წლის 31 დეკემბერს გარდაიცვალა. დ. გოგელიამ გარკვეული როლი შეასრულა ნამოსახლარის შესწავლის შემდგომი სრულყოფის საქმეში და მასალის პუბლიკაციაში. პარალელურად იგი წარმატებით სწავლობდა ახალმშენებლობასთან დაკავშირებულ როგორც ადრესამიწაომოქმედო, ისე მომდევნო ეპოქის ძეგლებს. დ. გოგელიას დვაწლს შემდეგში კვლავ შევეხებით, ახლა კი მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება მოკლედ მიმოვიხილოთ ბატონ ტარიელის, როგორც არქეოლოგის მოდვაწეობა, სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ – კი მესხეთ-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში.

1. ვინაიდან შულავერისა და არუხლოს ჯგუფის ნამოსახლარებს სწავლობდა ერთი და იგივე სახელის მქონე ორი დამოუკიდებელი ექსპედიცია, ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით დაგვეკონკრეტებინა არუხლოს ჯგუფის ნამოსახლარების შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის სახელწოდება, არუხლოს ჩამატებით.

ბატონი ტარიელი, როგორც ბრინჯაოს ხანის ცნობილი მკვლევარი, XX-ს-ის 50-იანი წლებიდან აქტიურად ჩაება სამხრეთ საქართველოს კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთის სიძველეების კვლევაში. მისი აქტიურობა გამოიწვია არქეოლოგიურ მეცნიერებაში მტკვარ-არაქსის კულტურის გენეზისის ირგვლივ დასმულმა საკითხებმა. ამ დროისათვის აღნიშნულ რეგიონში ორ ათეულადვე მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლი იყო ცნობილი. მესხეთ-ჯავახეთის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ტ. ჩუბინიშვილის ხელმძღვანელობით 1955-1961 წლებში გათხრილი მრავალფენიანი ძეგლი ახალციხეში “ამირანის გორა”, სადაც დადასტურდა ადრე ბრინჯაოს ხანის ე.წ. მტკვარ არაქსის კულტურის ტერასული დასახლება და სამარხები. აქ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოე-

ბი აისახა მის ცნობილ მონოგრაფიაში (ტ. ჩუბინიშვილი, 1963).

ტ. ჩუბინიშვილი ასევე აქტიურად იყო ჩაბმული სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში ადრე ბრინჯაოზე უწინარესი – ნეოლით-ენეოლითური ძეგლების ძიებაში. კერძოდ, 1964 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოსული ცნობის თანახმად, ტ. ჩუბინიშვილმა ე. გოგაძესთან და დ. ქორიძესთან ერთად, ქვემო ქართლში, მარნეულის რაიონში ადგილ შედაგერის მიდამოებში ნახა და შეაფასა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისას ძლიერ დაზიანებული ორი გორა-ნამოსახლარი, რომელიც შეიცავდა წინა მტკვარ-არაქსულ კულტურულ ფენებს. მათი დასკვნების შედეგად მიიღეს საგანგაბო ზომები ამ ტიპის ნამოსახლარების გადასარჩენად (ქვემო ქართლის . . . 1975; 5).

მტკვარ-არაქსისა და წინარე კულტურის პრობლემური საკითხების კვლევამიებას ტ. ჩუბინიშვილმა მალევე მიუმდგნა მორიგი მონოგრაფია (ტ. ჩუბინიშვილი, 1965). ამასთანავე 1965 წელს ის აქტიურ დაზვერვით სამუშაოებს ატარებდა მარნეულისა და თეთრიწყაროს რაიონებში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ერთობლივი ექსპედიციის შემადგენლობაში, ადრე აღმოჩენილ ძეგლებზე – სადახლოს გეო თევზე, წოფსა და აბელიაზე (ტ. ჩუბინიშვილი და სხვა, 1966; 9-11).

როგორც ჩანს, მისი კვლევის ინტერესის სფეროში მოხვედრილა ბოლნისის რაიონში მდებარე ხელოვნური ბორცვები, რომელთა განვითარება უკელაზე დიდზე, სოფელ არუხელოს სამხრეთით მდებარე გეო თევზე (აზერბაიჯანულად მწვანე გორა), სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაიწყო გათხრები 1966 წლის გაზაფხულზე.

ავტორთა მიერ შესრულებული წინამდებარე ნაშრომი ეხება ქვემო ქართლის (არუხელოს) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებს 1966-

1988 წლებში, სადაც ძირითადად განხილულია ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარების გათხრების მოკლე ისტორია და შედეგები. ეს ძეგლებია არუხელო I – III, არუხელო VI, წითელი სოფელი (ხატის-სოფელი), მაშავერას გორა (ყოფილი სოფ. პატარა ახმედლო, ამჯერად ხატავეთი, მამხუტის თემი) – ბოლნისის რაიონში; წოფი – მარნეულის რაიონში (ტბ. I), დმანისის ნეოლითური სადგომი და ჯავახი – დმანისის რაიონში, მდინარე მაშავერას მარცხენა ნაკირზე.

რა თქმა უნდა ნაშრომში მთავარი კურადღება გამახვილებულია სხვებთან შედარებით დიდ და მრავალსამშენებლო ჰორიზონტიან ხელოვნურ ბორცვზე, არუხელო I-ზე, რომლის გათხრას ექსპედიციამ ყველაზე მეტი დრო და უურადღება დაუთმო.

ქვემო ქართლის (არუხელოს) არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა არუხელო I-ზე (1966-1985წწ.), შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ნამოსახლარის შესწავლის წარმატებული ეტაპი, ვინაიდან სწორედ ამ ნამოსახლარს ერგო პატივი კვლავ მოქცეულიყო მეცნიერთა უურადღების სფეროში.

2005 წლიდან გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილებამ საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის კვლევის ცენტრთან ერთად გააგრძელა გათხრები უკვე ნაწილობრივ შესწავლილ გორა ნამოსახლარ არუხელო I-ზე. ექსპედიციას ხელმძღვანელობენ: პროფ. სვენდ ჰანზენი (გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილების დირექტორი) და დოქტორი გურამ მირცხულავა (საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერთანამშრომელი).

პირველივე წელს მ. ულრიხმა შეადგინა არუხელო I-ის ახალი ტოპოგრაფიული გეგმა, აიზომა ბორცვის მიმდებარე ტერიტორია და არუხელო II. გორაზე პირველი გეომაგნიტური აზომვები უფრო ადრე 2004 წელს განხორციელდა ფირმა “ასტერ ატლას”-ის მიერ, ხოლო 2005 წელს კი ჩატარდა ბ. სონგის ხე-

ლმდგანელობით უფრო მასშტაბური აზომვები, რაშიც მიმდებარე ტერიტორიაც შედიოდა. ორივე ღონისძიება უშედეგო აღმოჩნდა რადგანაც, ბორცვის მთელი ზედაპირი დაფარული იყო ლითონის ნივთებით (ნაგვით). (ს. ჰანსი, გ. მირცხულავა და სხვ. 2013; 9).

გასათხრელი ფართობის დაყოფა ხდება 4X4 სიდიდის კვადრატებად, რომელთა შორის 1 მეტრი სიგანის უღელი რჩება (S. Hansen, G. Mirtskhulava. . . Band 38, 2006; 5), კვადრატს შიგნით მდებარე ოთხივე პროფილის ჩახატვის შემდეგ ხდება უღლის აღება და კვადრატების გაერთიანება. ასეთი მცირებასშტაბიანი, პროფილებით კონტროლირებადი პროცესების მეშვეობით, შესაძლებელია ნაგებობების მრავალჯერადი ურთიერთხაჭრის თანმიმდევრობითი განსაზღვრა. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საქმე ეხება არა მხოლოდ წრიულ ნაგებობებს, არამედ მის პატარა ნაწილებს, გადაქცეულ და ცალკეულ კედლებს, ცალკეულ აგურებს და სხვა. ასეთ არეულდარეულ სიტუაციაში, როცა ნაგებობები ერთმანეთთან საქმაოდ მჭიდროდ არიან დაკავშირებული, მხოლოდ ფრთხილი და მცირებასშტაბიანი ჩარევით შეიძლება წარმატების მოპოვება (ს. ჰანსი, გ. მირცხულავა და სხვ. 2013; 10). თანამედროვე ტექნოლოგიები და გამოცდილება ნივთიერი მასალის დამუშავების მეტ საშუალებას იძლევა, ხდება ძეგლზე მოპოვებული მასალის აზომვა (როგორც კოორდინატების, ასევე ღონების), რაც შემდგომში საშუალებას მოგვცემს გავიაზროთ ძეგლის რომელ ნაწილშია კონცენტრირებული იარაღების ესა თუ ის სახეობა. ასევე ხდება თითოეული ნივთის დეტალური აღწერა, ჩახატვა, სურათის გადაღება და ბოლოს ყველა ეს ნივთი თავს იყრის საერთო მონაცემთა ბაზაში.

არუხლო I-ზე მიმდინარე ახალი არქოლოგიური გათხრების ერთერთი მიზანია გარემოს რეკონსტრუქციისათვის შეძლებისდაგვარად აუცილებელი მონაცემების შეგროვება. ბოტანიკური და ზოოლოგიური ნაშთები, დანალექები და სხვა, რომლებიც სამედო რადიოკარბონული თარიღებით შესაძლებელს გახდის ნეოლითური სოფლის რეკონსტრუქციის საქმეს. ახალი გათხრები საშუალებას მოგვცემს მასშტაბურად გავრცელეთ კავკასიაში ადრესამიწათმოქმედო კულტურის ადაპტაციის საკითხებში. (ს. ჰანსი, გ. მირცხულავა და სხვ. 2013; 8).

აგრეთვე თანამედროვე ტექნოლოგიები მეტ ინფორმაციას იძლევა ნამოსახლარის არქიტექტურის და ნივთიერი მასალის შესახებ. ძეგლის შესწავლა მიმდინარეობს უახლესი მეთოდებით და საკმაოდ ცნობილი ქართველი და უცხოელი არქეოლოგებისა და სხვა დარგის სპეციალისტების მიერ.

როგორც ცნობილია, არუხლო I-ზე 1966-1985 წწ. ჩატარებული გათხრების საფუძველზე გამოიყო VII სამშენებლო პორიზონტი ახალი გათხრებით შესაძლებელია გამოყოფილი სამშენებლო პორიზონტების უკეთესად გააზრება. ამ საკითხში მეტი სიცხადის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ერთმანეთზე მდებარე ნაგებობათა შესწავლით და მათი ურთიერთ მიმართებით (ს. ჰანსი, გ. მირცხულავა და სხვ. 2013; 11).

2005 წლიდან არუხლო I-ზე მიმდინარე გათხრებმა და მის გარშემო გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა (S. Hansen, G. mircxulava und andere ... AMIT, Band 38, 2006; 1-34; S. Hansen, G. mircxulava und andere ... AMIT, Band 39, 2007; 1-30; S. Hansen, G. mircxulava, AMIT, Band 44, 2012; 58-86; K. Bastert-Lamprichs und andere, 2011.) მეტი პოპულარობა შესძინა როგორც ნამოსახლარს ისე მთლიანად შომუ თევზე-შულავერის კულტურის მნიშვნელობას.

**საქართველოს მთხოვნებათა აკადემიის აკად. იგ. ჯაგახიშვილის სახელობის,
ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის
პრემი მართლის (არქელოს) არქეოლოგიური ემსახულიციის
მონაწილეთა სია (1966-1988წწ.).**

1966 წ. ტ. ჩუბინიშვილი, ი. გძელიშვილი, გ. გრიგოლია, გ. ფხავაძე, კ. კვიშინაძე, ლ. ნებიერიძე, საქ. ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების გამგე ო. სანებლიძე, ი. ჯანდიერი, მოწვეული თანამშრომლები ნ. ქათარია, ლ. ხვედელიძე, ო. სანებლიძე, ჯ. ნადირაძე, მხატვარი ო. კონიაშვილი, არქიტექტორი შ. გოგოლაძე, ო. ბენდუქიძე, რესტავრატორი ც. აბულაძე.

1968 წ. ტ. ჩუბინიშვილი, კ. კვიშინაძე, ვ. ნიკოლაიშვილი, კ. მაცხონაშვილი.

1969 წ. ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ნებიერიძე.

1972 წ. ტ. ჩუბინიშვილი, შ. ირემაშვილი, ლ. ჭელიძე, გ. ხუბურია. მოწვეული თანამშრომელი გ. ლისიცინა, ნ. გიგაური, დ. ბენაშვილი, რ. სიხარულიძე, ე. სოკოლოვი (ტოპოგრაფი), მ. ყარაშვილი (არქიტექტორი), ნ. არჩვაძე (ფოტოგრაფი). კონსულტანტი პიდრობეგნიკოსი ნ. ცაბაძე, ჭ. ჯანელიძე (გეოლოგი). ლ. ჯავახიშვილი, კამერალური დ. ხახუბაიშვილი, გ. ჯალაბაძე, მდლოლი ვ. სიხარულიძე.

1973 წ. ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ჭელიძე, ლ. ნებიერიძე, გ. მირცხულავა, გ. ლისიცინა, მ. ყარაშვილი.

1974 წ. ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ნებიერიძე, გ. ფხავაძე, გ. გრიგოლია, გ. მირცხულავა, ა. ორჯონიკიძე, ქ. ესაკია, დ. გოგელია, ლ. პრიშიპენკო.

1975 წ. ტ. ჩუბინიშვილი, გ. ფხავაძე, გ. მირცხულავა, ზ. შაბდერაშვილი, ქ. ესაკია, გ. გობგჯიშვილი, დ. ჯანიაშვილი, ლ. სკლიფასოვსკი (ფოტოგრაფი).

1976 წ. ლ. ნებიერიძე, დ. გოგელია, ქ. ესაკია.

1978 წ. დ. გოგელია, ტ. ჩუბინიშვილი (კონსულტანტი), მ. კეშელავა, ლ. გოგიჩაიშვილი (პალინოლოგები), ნ. რუსიშვილი, ა. გორგიძე (პალეობოტანიკოსები), ე. საყვარელიძე, შ. გასაძე ლ. ჭანტურიშვილი (გეოფიზიკოსები).

1979 წ. დ. გოგელია, ტ. ჩუბინიშვილი (კონსულტანტი), მ. კინწურაშვილი, ნ. ხუციშვილი, ნ. რუსიშვილი, ნ. ერგემლიძე (არქიტექტორი), ლ. სკლიფასოვსკი (ფოტოგრაფი), ზ. სვანიძე, ქ. დვალი, ლ. ლიჩენკო, მ. პაპავაძე.

1980 წ. დ. გოგელია, ბ. გამყრელიძე ნ. რუსიშვილი, ე. პატარაია, ნ. ხუციშვილი, ო. იაგორაშვილი (არქიტექტორი), ლ. სკლიფასოვსკი (ფოტოგრაფი), ი. ენუქიძე, ე. ელიბერიძე, დ. ვაჩულია, ზ. ჭიჭიკოშვილი, გ. ქავთარაძე, გ. ჩიქოვანი.

1981 წ. დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, ი. ნუცუბიძე, გ. ქავთარაძე, გ. დგებუაძე, მ. გვარაძე, მ. პაპავაძე, მ. მაჭავარიანი, ნ. ღვდაური (არქიტექტორი), ლ. სკლიფასოვსკი (ფოტოგრაფი).

1982 წ. დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, გ. ჩლაიძე, რ. გზირიშვილი, ზ. ჭიჭიკოშვილი, მ. გვარაძე, ბ. კუჭავა, ნ. რუსიშვილი, ე. პატარაია, გ. ჭიჭინაძე (არქიტექტორი), ვ. ასტახოვი (ფოტოგრაფი).

1983 წ. დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, გ. ავალიშვილი, რ. გზირიშვილი, გ. მელანაშვილი, ნ. ჭანიშვილი, ზ. ჭიჭიკოშვილი, გ. ჩლაიძე, გ. ჭიჭინაძე (არქიტექტორი), ვ. ასტახოვი (ფოტოგრაფი).

1984 წ. დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, გ. ავზლიშვილი, ე. ქორიძე, რ. გზირიშვილი, ზ. ჭიჭიკოშვილი, ნ. ჭონიშვილი, ფ. ჯაფარიძე ბ. ასაბაშვილი (მხატვარ-არქიტექტორი), ვ. ასტახოვი (ფოტოგრაფი).

1985-1986 წწ. დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, გ. ავალიშვილი, რ. გზირიშვილი, ე. ქორიძე, მ. ზაკალიშვილი, გ. ასათიანი, შ. შანშაშვილი, გ. ვაჩნაძე (არქიტექტორი).

1988 წ. დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, რ. გზირიშვილი, მ. გურეშიძე, მ. ძნელაძე (რესტავრატორი).

თავი I.

რეგიონული მოკლე ისტორიული და ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ბოლნისის მუნიციპალიტეტი (რაიონი), სადაც ძირითადად აღმოჩენილია განსახილვები ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამთსახლარები, შედის ქვემო ქართლის სამხარეო აღმინისტრაციაში. თვით ქვემო ქართლი ისტორიულად და გეოგრაფიულად საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარეა, რომელიც აერთიანებს ექვს, ტერიტორიულ – აღმინისტრაციულ მუნიციპალიტეტებს. ესენია: გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, თეთრი წყარო, დმანისი და წალკა. დღეს ქვემო ქართლის სამხარეო აღმინისტრაციული მმართველობის ცენტრია ქალაქი რუსთავი.

ქვემო ქართლის ბუნებრივი საზღვარი ძირითადად მთიან რელიეფზე გადის. სამხრეთით მას საზღვრავს სომხეთის მთიანეთი, დასავლეთით სველი მთები და სამსარის ქედი, ჩრდილოეთით თრიალეთის საშუალო სიმაღლის მთათა წყება, აღმოსავლეთით კი ივრის ზეგანის სამხრეთ-დასავლეთი კიდე. ქვემო ქართლი თბილისზე გავლით შიდა ქართლს უკავშირდება საქართველოს ყველაზე გრძელი მდინარის, მტკვრის ვიწრო ხეობით.

ქვემო ქართლი მრავალფეროვანი რელიეფის მხარეა, სადაც გამოიყოფა ვაკე, მთისწინეთი და მაღალმთიანი ალპური ზონა, რომლებიც ქმნიან მის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებას.

ქვემო ქართლის ბარის პიფსომეტრული ზღვარი მდინარე ხრამის ქვემო წელზე ზღვის დონიდან 265 მეტრზე გადის. მთისწინეთში, თეთრი წყაროს პლატოსთან 1000 – 1200 მეტრზე, ხოლო წალკისა და ბედენის მაღალმთიანეთი 1700 – 2000 მეტრს აღწევს. შესაბამისად ქვემო ქართლის რელიეფში გამოიყოფა ალვეოური ვაკეები, ტექტონიკური სერები, მთისწინა ტერასები, ვულკანური პლატოები და ა.შ. ბარის საშუალო წლიური ტემპერატურაა $11,5 - 13,0^{\circ}$ სითბო. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა $23^{\circ} - 24^{\circ}$ – ია. აღმოსფერული ნალექების ჯამი $350 - 500$

მმ-ია. (ლ. მარუაშვილი, 1964; 45, 58, 60, 79, 85, 87, 94, 109, 202-299).

ქვემო ქართლის მთავარი პიდროგრაფიული ძარღვია მდ. მტკვარი (ძველ-ბერძნულად Kuros) და მისი მარჯვენა შენაკადები; ხრამი, ალგეთი, მაშავერა. აქ არის ასევე იხტიოფაუნით მდიდარი ტბები.

გეოლოგიური და პალინოლოგიური შესწავლის საფუძველზე მარნეულის ველის აგებულების, აღრე და შუა პოლოცენის ლანდშაფტის შესახებ საინტერესო დასკვნებია მიღებული. მარნეულის ველს საფუძვლად უდევს სუბპორიზონტალურად განლაგებული აფშერონულ-გიურგანული ასაკის რამდენიმე ათეული მეტრის სისქის ერთფეროვანი წარმონაქმნი. მის ფორმირებას უკავშირებენ პლიოპლეისტოცენის დროს კასპის ზღვის ტრანსგრესიით გამოწვეულ კონტინენტური წარმონაქმნების აკუმულაციას (კ. მაცხონაშვილი 1979; გვ. 32-35). მარნეულის ვაკის რელიეფის საბოლოო პლანაცია მოხდა პოლოცენში. მანამადე კი ხვალინის ხანაში (18-11 ათასი წელი) მარნეულის ვაკეზე ინტენსიურად მიმდინარეობდა ხრამის, მაშავერას, დებედას და სხვა მდინარეთი ალუვიური (მონატანი) დანალექების განვითარება. ამ პორცესზე გავლენას ახდენდა კასპის ზღვის ტრანსგრესია, როცა მისი სიმაღლე 50 მეტრით მაღალი იყო, ვიდრე აღრე პოლოცენში. ხოლო შემდეგ კასპის ზღვის ღრმა რეგრესის გამო იწყება მარნეულის ვაკის პირველი ჭალისპირა ტერასის ჩამოყალიბება. პოლოცენში ალუვიურ შრეზე ხდება დია მოყვითალო თიხნარი მიწისა და ნიადაგის წარმოქმნა. თანაც ეს პორცესი აშკარად მიმდინარეობდა უფრო მშრალი კლიმატის პირობებში (ყ. ჯანელიძე, 1984; 7-11).

არუხლო I-ზე გაკეთებული ჭრილის მიხედვით შემდეგი სურათი იკვეთება: 1. 5 მეტრი სისქის კულტურული ფენა. 2. განმარხული ნიადაგის პირიზონტი 1,20 მეტრი სისქით. 3. 1,5 მეტრი დია მოყვითალო თიხნარი. 4. წვრი-

ლი კენჭოვანი მსხვილმარცვლოვანი ქვიშიანი ფენა. მექანიკური შემადგენლობით განმარტული და თანამედროვე სარწყავი ნიადაგი თითქმის იდენტურია (Р. Мардалеишвили, Ч. ჯანელიძე 1984; 89- 91).

არუსელოს მიდამოებიდან მიღებულმა თესლ-მტვრიანთა ანალიზმა აჩვენა, რომ აქ განვითარებული ყოფილა უტყველი ლანდშაფტი, ბალახოვან – ბუჩქნარი საფარით, ხოლო მთელ პოლოცენში ვრცელდებოდა მთისწინა და ჭალისპირა დია ტყის ფრაგმენტები, რომელთა არეალი იცვლებოდა მთელ პოლოცენში. მთისწინეთი ეკავა მუხისა და რცხილის, მდინარეთა ნაპირები კი ჭალისპირა ტყეს. შეა პოლოცენში ფართოვდება მთისწინა ტყის არეალი, განსაკუთრებით მუხის. ძირითად ფორმაციას კი შეადგენდა ბალახოვან – ბუჩქნარი მცენარეები (Л. გოგიჩაიშვილი, 1979; 65-67 / Л. გოგიჩაიშვილი, 1984; 15-21).

ნიადაგის საბურველიდან ძირითადად გამოსახულია წაბლა, შავმიწა, ყომრალი, ყავისფერი და სხვა. ვაკე ადგილებისათვის დამახასიათებელია წაბლა ნიადაგი, მთისწინეთისათვის შავმიწისებრი, ხოლო მაღალმთიანეთში ყავისფერი ყომრალი ნიადაგები.

თანამედროვდე მცენარეული საფარიც ზონალობით გამოირჩევა: ველის, ტყე-ველის, ტყის ტიპებით, ხოლო ალპური ზონა უტყველი და დაფარულია მდელოთი.

ქვემო ქართლი მდიდარია ბუნებრივი რესურსებითა და წიაღისეულით, რომელთა მოპოვება უძველესი დროიდან მიმდინარეობდა. აქ მოპოვება სპილენძი, რკინა, ოქრო, ვერცხლი, კვარციტი, კირქვები, მარმარილო, ტუფი, ანდეზიტი, ობსიდიანი, ამეთვისტო, აქატი და იასპი. (А. ძვიდიგური, К. ბეთანელი და დოკორის 1991; 33, 77, 91, 93, 110, 122; Природные ресурсы ... 1958; 33, 36, 70, 87, 109, 140, 224).

ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება, ფართო ველი, მდინარეთა ხევები, საძოვრებით მდიდარი ალპური ზონა პოლოცენის, ანუ თანამედროვე კლიმატის დადგომიდან ქვემო ქართლში ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა შემგროვებლობის, ნადირობის და შემდგომში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებისათვის. აკად. ნ. ბერძენიშვილის

აზრით – თანდათან სინათლე ეფინება ქვემო ქართლს, მისი ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა საფეხურს და სულ უფრო და უფრო საბუთიანი ხდება ის მოსაზრება, ქართის კულტურის აკვანი აქ დაირწა, რომ ქვემო ქართლი არის არა მარტო ქრისტიანული (და ფეოდალური) საქართველოს მოწინავე მხარე, არამედ ქვემო ქართლშია სათავე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი კულტურისა (ქართის კულტურისა) (ნ. ბერძენიშვილი, 1964; 346-366).

შემთხვევითი არაა, რომ ქვემო ქართლშია აღმოჩენილი მსოფლიო მნიშვნელობის პირველხარისხოვანი არქეოლოგიური ძეგლები. ეკრაზიაში უძველესი დანისის სადგომი, თრიალეთის მეზოლითური კულტურის სადგომები, შომუ თევზე-შულავერის კულტურის მარნეულის ველის გორა ნამოსახლარები, მტკვარ-არაქსის კულტურის აღრეული ნამოსახლარები და სამარხები, აღრე ბრინჯაოს ხანის საყდრისის ოქროს მოპოვების სამთო მაღარო, თრიალეთის აღრე ყორლანული კულტურისა და ბედენური კულტურის ყორლანული სამარხები და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელწოდება ქართლი წარმოადგენს, როგორც გეოგრაფიულ ტერმინს, ისე ეთნონიმს, რომლისგან წარმოდგება ქართველთა თვით სახელწოდება და ქვენის სახელი საქართველო. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც (დ. მუსხელიშვილი, 1993; 337-377). ქართლი, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული სახელი, დასტურდება აღრე შეა საუკუნეებიდან ქართლის ცხოვრებაში (ლ. მროველი, 1955; 8), სადაც თხრობა იწყება ქართლის სამეფოს წარმოშობიდან, რომელიც ძირითადად ალ. მაკედონელის აღმოსავლეთში ლაშქრობის პერიოდს უკავშირდება.

ამჯერად, ქვემო ქართლი, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი, ჩვენი კალევისათვის განსაკუთრებით საინტერესოა წარმოებითი მეურნეობის ჩამოყალიბება-განვითარების თვალსაზრისით, სადაც მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრებით კარგად წარმოჩნდა კულტურულ-სამეურნეო განვითარების მაღალი დონე.

თავი II.

ძველი ქართლის (არუბლოს) არტეოლოგიური მშენებილის მიერ გათხრილი

ადრესამიზათმოქმედო პულტურის ნამოსახლარები

(არუბლო I, არუბლო II, არუბლო III, არუბლო VI, წოფი, წითელი სოფელი, მაშავერას გორა)

არუბლო I. არუბლო I მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნახიდურის (არუბლოს) სამხრეთით, თბილისი-ბოლნისის გზატკეცილის მარცხნა მხარეს, თბილისიდან დაახლოებით 50 კმ-ზე, მდინარეების ხრამისა და მაშავერას ხერთვისში მოქცეულ დიდ სამუშავედში. ხელოვნური ბორცვის სიმაღლე დაახლოებით 6 მეტრია, გარშემოწერილობა კი 300 მეტრი. გრძივი ღერძი (ჩრდ. დას-სამხ. აღმ.) 170 მეტრია, განივი ღერძი – კი 130 მეტრი. აღნიშნული გორა ნამოსახლარი მთავარი გზატკეცილიდან დაახლოებით 900 მეტრზე მდებარეობს და წარმოადგენს ქვემო ქართლის გაშლილი ველის ორგანულ ნაწილს. ის ყველა მხრიდან კარგად ჩანს და მოქცეულია საირიგაციო სისტემაზე დაფუძნებულ მრავალფეროვან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რკალში (ტაბ. II. 1).

როგორც ანგარიშიდან ვიგებთ, ქვემო ქართლის (არუბლოს) გაერთიანებულ ექსპლიციას წინასწარ დაუზვერია ბოლნისის რაიონში ადრესამიწათმოქმედო ძეგლები და ოთხი ხელოვნური გორა ნამოსახლარიდან შეურჩევია ყველაზე დიდი და უკეთესად დაცული გეორი-თევზე (აზერბაიჯანულად მწვანე გორა) (ტ. ჩუბინიშვილი, 1967; 21-25).

არქეოლოგიური გათხრები ნამოსახლარზე დაიწყო 1966 წელს (ტაბ. II. 2). გათხრების პირველივე წელს დაგინდა, რომ სამოსახლო, ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფენების გარდა, ზედაპირიდან 1-1,5 მეტრ სიღრმეზე შეიცავდა მოგვიანო რკინის ხანის ნაშთებს, რომლებსაც დაზიანებული პქონდათ უფრო ადრეული აღიზის შენობები.

გამოქვეყნებული მეცნიერული ანგარიშებით და ნაშრომების მიხედვით ირკვევა, რომ თავიდანვე გაკეთებულა ბორცვის ტოპოგეგმა, რომლის მიხედვით ბორცვი დაყოფილია 50X50 მ ფართობებად, რომლებიც აღნიშნულია ლათინური ანბანით (ტაბ. VII), ხოლო თითოეული ფართობი ასევე დაყოფილია

10X10 მ ზომის კვადრატებად და დანომრილია რომაული რიცხვებით. ყოველი ასეთი კვადრატი კი დაფარულია 2X2 მ ზომის ბადით. კვადრატთა ბადები ფართობის ზედა დასავლები კუთხიდან აღმოსავლეთის მიმართულებით დანომრილია 1-დან 25-ის ჩათვლით არაბული რიცხვებით. კვადრატები ერთმანეთისგან არ არის გამოყოფილი ე.წ. “უდლით”. სამწუხაოდ გამოქვეყნებულ გენერალურ გეგმაზე, ან მის ცალკეულ მონაკვეთებზე, შემცირებული მასშტაბის გამო, ხშირ შემთხვევაში წარწერები არ ჩანს, ან კიდევ ფართობებისა და კვადრატთა ბადების მკრთალი ანარეკლია ასახული. თუმცა ცალკეულ ტექსტებზი მოყვანილი დანომრილი არტეფაქტებისა და ნაგებობების მიხედვით შესაძლებელია მათი თავდაპირველი სახის აღდგენა.

1966 წელს ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარის გამოვლენის მიზნით ბორცვის ცენტრალურ ნაწილში მოუნიშნავთ 300 მ² ფართობი (ტაბ. VIII). ამასთანავე სამოსახლოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ძირთან გაუკლიათ 4 მ² ფართობის №1, და №5 შურვი 3,30 და 4,35 მეტრ სიღრმეზე, ხოლო აღმოსავლეთ კალთაზე კიდევ სამი თხრილი (16X1 და 1X2,30 მ ზომის). ამ სამი თხრილის თავზე 150 მ² ფართობზე ჩატარებული გათხრების შემდეგ დაფიქსირებულა სხვადასხვა ეპოქის კულტურული ფენების არსებობა.

გამოხრელთა დაკვირვებით პირველი დასახლება აქ გაჩენილა ძვ.წ.-ის V-ათასწლეულში, თანამედროვე ზედაპირიდან 2 მეტრ სიღრმეზე არსებულ განმარტულ შავ ნიადაგზე (ტ. ჩუბინიშვილი, 1967; 21-25).

არქეოლოგიური გათხრებისა და მოპოვებული მასალის საფუძველზე სამეცნიერო ანგარიშში გაკეთებულია რამდენიმე სერიოზული დასკვნა, რომელმაც ბორცვზე შემდგომი გათხრების თავისებურებას დაუდო სათავე და დღესაც აქტუალურია.

ბორცვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ კალთაზე ადრე ანტიკური ფენის ქვეშ აღმოჩნდა ბათქაშით შელესილი და 32X18X6 ზომის ძირბრტყელი, ამოზურგული აღლიზის აგურით ნაგები 6 წრიული შენობა, რომელთა და 2,70-3,30 მეტრი იყო. შემორჩენილი კედლის სიმაღლე 0,80 მ. მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ყველა დონეზე თითქმის ერთგვაროვანია, განსაკუთრებით კი კერამიკა. თიხის ჭურჭელი ძირითადად ოდნავ მუცელ გამობერილი, ან სწორგანიანი, ქილისებრი, პირმოყრილი და ქუსლებამოყვანილია. ჭურჭლები ამოყვანილია უშორგვოდ და გასამჭლევებლად ურევია ქვიშა და შავი ბაზალტის ნაფხვენი. ჭურჭლის ძირებს ეტყობათ წნევლის ან ჭილოფის ანაბეჭდი, მათ ნაწილს პირს ქვემოთ მიძერწილი აქვთ შვერილები და სხვადასხვა რელიეფური ნაძერწები ან მათი კომბინაცია. მცირე რაოდენობით გვხვდება თხელკეციანი ჭურჭლის სადა ნატეხები, კეცში ქვიშის მინარევით, რომლებსაც ზედაპირი ნაპრიალები და წითლად შედგილი აქვთ.

ასევე ჭარბად არის ქვის სასრესები ე.წ. გრდემლები, ხელსაფქავები, პირლესილი ცულები და სათლელები, სალტებიანი ბირთვები, რქის წერაქვისებრი, თოხისებრი იარაღები, ლულოვანი ძვლის საღისები, ნემსები, ნეპნისაგან დამზადებული საპრიალებლები და საქონლის ბეჭისაგან დამზადებული ბარისებრი იარაღები.

ასევე აღსანიშნავია ბორცვის დასავლეთ კალთაზე 2,30 მ სიღრმეზე არქაული ჭურჭლის ნატეხებთან ერთად აღმოჩენილი ქარგვალი, რომელზეც ამოკაწრული დია-წითელი საღებავით შევსებული ადამიანის სახის გამოსახულება.

განსაკუთრებით საინტერესოა ბორცვის აღმოსავლეთ ფერდობის ძირთან, აღრესა-მიწათმოქმედო კულტურის ფენის ქვეშ და-დასტურებული სხვადასხვა კონტურის ორი თხრილი, რომელმაც გამოხრელებს საფუძველი მისცა ევარაუდათ ადრესამიწათმოქმედო კულტურის დასახლების თანადროული სარწყავი სისტემის არსებობა. მათი დაკვირვებით გარეთ თხრილის აღმოსავლეთი კედლის გამოვლენას ხელს უშლიდა 4 მეტრით მაღლა გამავალი თანამედროვე მოქმედი

არხი. (ტ. ჩუბინიშვილი, 1967; 21-25).

ზემოთ მოხმობილ თავის ერთგვარად საპროგრამო სტატიაში 6. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ „ქართული აღგილობრივი კულტურის და მეურნეობის აღმავლობის გზა მელიორაციის განვითარებას კვალდაკვალ მისდევდა“ (ტ. ბერძენიშვილი, 1964; 352). ამიტომ გასაგებია თუ რა ენთუზიაზმით შეხვდა ტ. ჩუბინიშვილი არუბლო I-ის ძირზე, სამ მონაკვეთში, ძველი თხრილების დაფიქსირებას, რომელთაგან ერთ-ერთი გარეთა „სველი თხრილი“ გათხრების პირველი წლიდან განიხილებოდა, როგორც გამდინარე წყალმომარაგებისა და საირიგაციო სისტემის ერთ-ერთი რგოლი.

აქვე უნდა ავდნიშნოთ, რომ სამოსახლოზე 1966 წელს ჩატარებული პირველი გათხრების შედეგებს ტ. ჩუბინიშვილის ზემოთ აღნიშნული მეცნიერული ანგარიშის გარდა, ცალკე მიეძღვნა მეორე მეცნიერული ანგარიშიც, სადაც განხილულია აქ აღმოჩენილი მოგვიანო ხანის კერამიკული ნაწარმი, რომელიც ძირითადად წითელი, მოყავისფრო და ლეგა ფერისაა. აქვე გაითხარა ფილებით შედეგენილი ერთი ქვის სამარხი და მეორე ქვაყრილიანი ორმოსამარხი. ნამოსახლარზე მოპოვებული კერამიკა და ქვის სამარხის ინგენტარი აღრე ანტიკური ხანისაა, ხოლო ქვაყრილიანი ორმოსამარხის ინგენტარი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. ექსპედიციას ასევე თეორი წყაროს რ-ნში ხოფ. ასურეთში „სამაჩვეთში“ გაუთხრია ძვ.წ. VI-IV სს. 19 სამარხი (კ. კვიჭინაძე, 1967; 64-66).

1967 წელს გამოქვეწებულ მეცნიერულ ანგარიშებსა და სტატიებში ბორცვი მოხსენიებულია, როგორც „გეო თევზ“ (ტ. ჩუბინიშვილი, 1967; 22), არუბლოს „გეო თევზ“ (კ. კვიჭინაძე, 1967; 64), არუბლოს გორა (ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, 1967; 299), არუბლოს ნამოსახლარი (თ. ჭუბინიშვილი, კ. კუშნარევა, 1967; 338, 349, 358, 360, 362). ხოლო 1968 წლის მეცნიერულ ანგარიშში ის მოიხსენიება არუბლო I-ის სახელით (ტ. ჩუბინიშვილი და სხვა. 1969; 4), რომლითაც საბოლოოდ დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში.

როგორც ცნობილია, არუბლო I-ზე დაწებულ არქეოლოგიურ გათხრებთან ერთად, ოთარ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით 1965-

1966 წწ. მიმდინარეობდა სამუშაოები მარნეულის რაიონში, სადგურ შულავერის მიდამოებში, შულავერისა და იმირის გორაზე ორივე ექსპედიციის არქეოლოგიური გათხრების შედეგებს 1967 წელს ცალ-ცალკე მიეძღვნა განმაზოგადებელი სტატია.

ტ. ჩუბინიშვილისა და კ. კუშნარევას სტატიაში განხილულია კავკასიის მასშტაბით წარმოებული სამუშაოები და მოცემულია იმ ძეგლების ჩამონათვალი, სადაც დადასტურდა სხვადასხვა ტიპის ნამოსახლარები და არქეოლოგიური მასალა. სტატიაში განსაკუთრებით მეტი ყურადღება გამახვილებულია ამიერკავკასიის არქელო I-ის ტიპის ხელოვნურ გორა ნამოსახლარებზე დადასტურებულ არქეოლოგიურ მასალაზე, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობების თავისებურებაზე და მათ კავშირზე წინააზიურ ცენტრებთან. საზგასმულია ირანის, მესოპოტამიის კულტურულ ცენტრებთან კავშირი და იქიდან მომდინარე იმპულსები ძვ.წ.-ის V-IV ათასწლეულში (Т.Чубинишвили, К. Кушнareva, 1967; 336-362).

უფრო კონკრეტულია მეორე ექსპედიციის მუშაობაზე მიძღვნილი სტატია, რომელიც მირითადად ეხება შულავერისა და იმირის გორის პირველი წლების გათხრების შედეგებს. ამ საყურადღებო სტატიიდან განსაკუთრებით საინტერესოა მონაკვთი, რომელიც ეხება წრიული გუმბათოვანი სახლების მშენებლობის ტექნიკას.

„სამშენებლოდ გამოყენებულია, ბაცი, ყვითელი ფერის ნამჯანარევი ალიზი სხვადასხვა ფორმის და ზომის; მცირე სამეურნეო შენობებისათვის უმთავრესად გამოყენებულია ე.წ. პლანო-კონვექსური ძირბრტყელი, მოგრძო გუნდისებრი ალიზი – 30X20X8 სმ; 25X15X8 სმ. ნიშანდობლივია რომ ყველა შემთხვევაში დაცულია ერთნაირი სისქე – 8 სმ, რაც წყობის პორიზონტალურობისთვისაა აუცილებელი. ალიზი დაწყობილია მეტ-ნაკლებად წესიერ პორიზონტულ რიგებად 2-3 სმ სისქის მოყავისფრო მეტად მკვრივ თიხის სხნარზე, რომელიც მთლიანად ავსებს ალიზებს შორის დატოვებულ 2-3 სმ არესაც. წყობა თავისუფალია და ამიტომ ზოგჯერ (მცირე შენობებში) გადაუქმელიც, თუმცა ძირითადად გადაბმულია.

წყობის ყოველი ახალი რიგი წინაა წამოწეული 2-3 სმ-ით (ალბათ იგულისხმება გუმბათის დონე). ავტორთა შენობის დმის თანდათან შემცირება და საბოლოოდ გუმბათურობა. კედლის უსწორმასწორობა გასწორებულია თიხის ორმხრივი, სქელი ნასოლებით. კედლის სიმტკიცე ძირითადად დამოკიდებული უნდა ყოფილიყო წყობის თანაზომიერებასა და სხვარის სიმკვრივეზე, რითაც აიხსნება მისი განსაკუთრებით წმინდა სტრუქტურის თიხისგან დამზადება. დამატებით გასამაგრებლად, კედლის ძირში, გარედან მიტკეპნილია მეტად მკვრივი თიხის „ბალიში“ (სისქე 50 სმ, სიმაღლე 70 სმ), რომელიც საძირკვლის მაგივრობას სწევდა. კონსტრუქციაში მას ძირითადი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რადგან ამ ფორმის შენობაში პირველ რიგში აუცილებელია გამბჯენი ძალების განეკიტრალება. ასეთ მიღებული ერთი შეხედვით მარტივი და სუსტი, სინამდვილეში – კი მონოლითური საკმაოდ მტკიცე შენობა, რომლის გამძლეობას თუნდაც ის მოწმობს, რომ დიდი წილი გადარჩენილია 2 მეტრის სიმაღლეზე და გათხრის შემდეგაც ერთი წლის მანძილზე გაეხვევ დგას. ცხადია დროთა განმავლობაში საჭირო ხდებოდა მათი განახლება, რისი ერთეული მიზეზი იატაკის აწევა და შინაგანი სივრცის შემცირებაც ყოფილა. ასეთ შემთხვევაში იძულებული ყოფილან დაენგრიათ და აეწიათ გუმბათი. №1 და 3 სახლები ამის კარგ მაგალითს იძლევა” (ო. ჯაფარიძე, ა. ჯაფახიშვილი, 1967; 292-298). სამშენებლო ტექნიკაზე საუბრისას მოყვითალო-მონაცრისფრო თიხისგან დამზადებულ აგურებსა და სხნარზე საუბარია ავტორთა მეორე ნაშრომშიც (ო. ჯაფარიძე, ა. ჯაფახიშვილი, 1971; 52).

არქელო I-ზე შემდგომი გათხრების დროს ძირითადი ყურადღება ექცეოდა ბორცვის გარშემო უძველესი საირიგაციო თუ წყალმომარაგების სისტემის გამოკვლევას, ვინაიდან როგორც ავღნიშვნეთ, ის საკმაოდ დაშორებულია მდინარეების ხრამისა და მაშავერას კალაპოტისგან. ხოლო მუდმივი წყლის გარეშე ასეთი მოზრდილი დასახლების ყოველდღიური საქმიანობა შეუძლებელი იქნებოდა.

1966-1968 წლების გათხრებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ანგარიშში ბორცვის

ცენტრალური და აღმოსავლეთ ნაწილში ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე გამოვლენილი მასალა დათარიდებულია ძვ.წ.-ის VI-IV სს-ბით, ხოლო აღრესამიწათმოქმედო კულტურის დასახლების ნაშთების გამოვლენის მიზნით, აღრე გავლებული თხრილების გვერდით ნასახლარის ცენტრისკენ რადიალურად გაიჭრა 10 ტრანშეა (სიგანე – 4 მ, სიგრძე – 50 მ, სიღრმე 5 მ) (გაბ. VII). აღსანიშნავია რამოდენიმე ტრანშებში დაფიქსირებული ორი სხვადასხვა დროის თხრილი. ერთი გარეთა „სველი“ თხრილი უფრო ადრეულია, მეორე უფრო მოგვიანო, „მშრალი“ ბორცვთან უფრო ახლოს მდებარეობს. გარეთა თხრილის სიგანე ზედა ნაწილში 9,5 მეტრია, ფსკერზე კი 2,5 მ. ფსკერზე დალექილია ძლიერ ჰუმუსოვანი 1 მ სისქის თიხა, რომელიც შეიცავს წყლის ისლის, ლერწამის, ლაქაშის და სხვა მცენარეთა სპორებსა და მტვრიანებს. გამოხველთა აზრით „სველი“ თხრილის ზედა შეგსებაში აღრესამიწათმოქმედო მასალის აღმოჩენა მიუთითებს „სველი“ თხრილისა და ნასახლარის თანადროულობაზე. სველი თხრილის აღმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადრესამიწათმოქმედო კულტურის შესწავლის, კერძოდ მორწყვითი მიწათმოქმედების არსებობის დამტკიცების საქმეში (ტ. ჩუბინიშვილი და სხვა. 1969; 4-5).

ტ. ჩუბინიშვილი უველმხრივ ცდილობდა უფრო რეზონანსული უოფილიყო არუხელო I-ის გათხრების შედეგები, ამიტომ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე წაიკითხა მოხსენებები და გამოაქვეყნა სტატიები (Т.Чубинишвили, Л. Небиериძე, 1966; 32-33 / Т.Чубинишвили, 1968; 250-255 / ტ. ჩუბინიშვილი, 1968 ; 75-79 / Т.Чубинишвили 1969; 10-12 / ტ. ჩუბინიშვილი 1970; 129-131 / Т.Chubinishvili 1971; 1-7 / Т.Чубинишвили, 1973; 37-48).

ქვემო ქართლის (არუხელოს) არქეოლოგიური ექსპედიცია სხვა ექსპედიციების მსგავსად თავის სამუშაოებს აფართოვებდა ახლომშენებლობებთან დაკავშირებით. ამიტომ 1969 წელს ექსპედიცია მუშაობდა სამძებლზე.

წოფი. ერთ-ერთი იყო წოფის ნამოსახლარი, რომელიც მდებარეობს მარნეულის რაიონში, სოფ. წოფის სამხრეთით 1 კმ-ზე, მდ. ბანუშჩაის მარცხენა კონცხისებურ ტერასაზე.

(გაბ. I) აქ ძირითადად ორმოქბში აღმოჩნდა არქეოლოგიური მასალა. ტ. ჩუბინიშვილი უურადდებას ამავილებს არქაული ტიპის გეომეტრიულ მიკროლითებზე, ხოლო თიხის ჰურკლებიდან გამოყოფს შედარებით უხეშ კერამიკას კვარცის და დანაურელი ობსიდიანის მინარევით. ზოგ ჰურკელს პირთან მიძღვნილი აქვს კოპები, ხოგს კი პირის ქვემოთ აქვს გამჭოლი ნასვრებები. მათ გვერდით გვხვდება მოვარდისფრო-მოყავისფრო, უფრო დახვეწილი თიხის ნაწარმი კეცში ქვიშისა და ბზის მინარევით, რომელიც 1965 წელს მოპოვებული კერამიკის მსგავსია და თავიდანვე „იმპორტულად“ მიიჩნეოდა (გაბ. LXXIII).

ა. ვებუასა და ო. ბენდუქიძის დასკვნით წოფში მოპოვებული ძვლოვანი მასალიდან განიჩრხა – ძაღლის, ძროხის, ცხვრის, თხის, ფრინველის (ბატი), ველური კატის, თახვის, ტახის, დომბის, ჯიხვის, მუფლონის ძვლები (ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ნებიერიძე, 1971; 9-10).

წოფში არქეოლოგიური სამუშაოები 1973 წელსაც გრძელდებოდა. აქ გაიჭრა ორი სადაზვერვო თხრილი, ერთი აღმოსავლეთით 2X4 მ² ზომის, მეორე კი დასავლეთით 3X6 მ². ორივე თხრილში კულტურული ფენა დარღვეული იყო, სადაც აღმოჩნდა წინა მტკარ-არაქსული მასალა (Т. Чубинишвили и др. 1976; 16-18). წოფში ბოლო სამუშაოები ჩატარდა 1976 წელს. სულ გაითხარა 270 მ² ფართობი, სადაც გამოვლინდა 1 დან 2 მ-დების ყვითელ თიხნარში, სხვადასხვა სიღრმეში ჩაჭრილი, არქეოლოგიური მასალით მდიდარი 31 სხვადასხვა დანიშნულების ორმო თუ ნახევრადმიწური (ლ. ნებიერიძე 2010; 11-13) ვინაიდან ძეგლი მონიგრაფიულად შესწავლილია ამიტომ მასზე ამჟამად ჰურადდებას არ გაგამახვილებთ.

არუხელო III. 1969 წელს ექსპედიციამ სამუშაოები ჩატარა არუხელო III-ზეც, რომელიც მდებარეობს არუხელოს ჯგუფის ნამოსახლარების II და IV ბორცვს შორის (გაბ. I). მისი დიამეტრი 80 მ-ია, სიმაღლე-3,5 მ.

ბორცვის აღმოსავლეთ ნაწილში 4X4 მ² ფართობზე გაიჭრა საცდელი თხრილი, რომელიც შემდეგ აღმოსავლეთი კედლიდან გაგრძელდა 20X1 მეტრის სიგრძის სადაზვერვო თხრილით, სადაც გამოიყო ორი ფენა.

ქვედა კულტურული ფენის სისქე 15 სმ-ია, ხოლო ზედას სისქე 1,8 მეტრამდე აღწევს და არქეოლოგიური მასალის ინტენსივობითაც გამოირჩევა. აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ობსიდიანის იარაღები, ძვლის სადგისები და საპრიალებელი არუხლო I-ის მსგავსია. გათხრილ ფართობზე ასევე დადასტურდა 1,5 მ სიღრმის მსხლისებრი ფორმის ორმო და ცუდად დაცული ორმოსამარხი. ჩონჩხი დამხრობილი იყო თავით ჩრდილოეთით. არუხლო III-ზე აღმოჩენილი ძვლებიდან განირჩევა, როგორც შინაური, ასევე გარეულ ცხოველთა ძვლები; ძროხის, ცხვრის, თხის, დორის, ძაღლის, კეთილშობილი ირმის, ტახის, დომბის, ნიამორის და ფრინველის (ქათმის) ძვლები. (ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ნებიერიძე, 1971; 11).

არუხლო I. 1969 წელს არუხლო I-ზე შედარებით მცირე სამუშაოები ჩატარდა. ამ წელს მთავარ ამოცანად კვლავ რჩებოდა ბორცვის გარშემო გამოვლენილი ძველი თხრილების თაგისებურების გარკვევა. გამოხრელთა აზრით უძველესი „სველი“ თხრილის გაუქმებისა და ამოვსების შემდეგ ბორცვის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფერდობების ფარგლებს გარეთ დაწყებულა მიწურების ნაგებობების გამართვა. მათი ნაწილი „სველი“ თხრილის შევსების ზედა უნებშიც გვხვდება.

სამოსახლოს თავდაპირველი კონტურებისა და მისი ცენტრალური ადგილის გასარკვევად გასათვალისწინებელია „სველი“ თხრილის გარშემოწერილობა, რომლის ცენტრი თანამედროვე ბორცვის შუა ადგილიდან დაცილებულია დასავლეთის მიმართულებით 10-20 მეტრით. როგორც ჩანს, დორთა განმავლობაში არუხლო I-ის სამოსახლოს ზრდა ხდებოდა არა მარტო სამშენებლო დონეების ერთიმეორებზე გამართვით, არამედ მისი თანდათანობით გაფართოებით ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. თუმცა ამის დადგენა მომავალი გათხრებით თუ შეიძლება (ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ნებიერიძე, 1971; 12).

ტ. ჩუბინიშვილი მისთვის დამახასიათებელი აქტიურობით ცდილობდა მკვლევართა ფართო წრისთვის დროულად გაეცნო ექსპედიციის საველე კვლევა-ძიების შედე-

გები. მან 1970-1971 წლებში რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებში გარკვეული ადგილი დაუთმო ქვემო ქართლის აღრესა-მიწათმოქმედო ნამოსახლარების გათხრებს. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია არუხლო I-ზე თხრილებითა და ტრანშეუბით დაფიქსირებული კულტურული ფენების დაცულობასა და განფენილობაზე, აღმოჩენილი მასალის დახასიათებაზე. ცალკეული მონაცოვრებიდან გამოყოფს თიხისაგან დამზადებულ ხარის მცირე ფიგურას, მე-11-ე თხრილში ეწ. „სველი თხრილის“ ძირზე აღმოჩენილ ქარაგვალს „პირქუში“ ადამიანის სახის გამოსახულებით და ბორცვის აღმოსავლეთით მეორე ფართობზე აღმოჩენილ ასეთივე ქარაგვალს „მომდიმარი“ ადამიანის სახის გამოსახულებით (ტაბ. XLIII. 1-3). აღწერილია ბორცვის სხვადასხვა მხარეს დადასტურებული „სველი“ და „მშრალი“ თხრილები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სველ თხრილში“ ერთმეტრიანი დანალექი წარმოქმნილია გამდინარე წყლისგან, რომლითაც სავარაუდოდ მარაგდებოდა სარწყავი არხები (К. კუშნარევა, ტ. ჭუბინიშვილი, 1970; 22-26).

მეორე მონოგრაფიაში კვლავ აღნიშნულია, რომ ბორცვის ძირზე სხვადასხვა მხარეს გავლებულია 4 მეტრი სიგანის, 50 მეტრამდე სიგრძის და 5 მეტრამდე სიღრმის 10 რადიალური ტრანშეა. ავტორთა აზრით ძველი თხრილები ბორცვის ყველა მხარეს არ აღმოჩნდა. ძველი თხრილების დაუზიანებელი ზედა კიდეები დაფიქსირდა მხოლოდ ბორცვის დასავლეთით. აქ შიდა „მშრალი“ თხრილის სიგანე „სველზე“ უფრო ფართო და 11 მეტრს შეადგინს. აქ საყურადღებოა ავტორის მოსაზრება, რომ შიდა „მშრალი“ თხრილის სხვადასხვა სიღრმე გამოწვეულია ადგილის რელიეფით და აქედან არათანაბრად ამოღებული სამშენებლო თიხის გამო (ტ. ჭუბინიშვილი, 1971; 31-32).

მეტად შრომატევადი და ნაყოფიერი იყო ექსპედიციისათვის 1972-1973 წლები (ტაბ. III. 1). 1972 წელს ველზე მუშაობდნენ არა მხოლოდ არქეოლოგები, არამედ პიდროტექნოლოგი, გეოლოგი და მოწვეული პალეოგეოგრაფი გ. ლისიცინა.

არქეოლოგიური გათხრების გარდა

ბორცვიდან აღმოსავლეთით, ყანაში, ორი მეტრი სიღრმიდან აღებულიქნა განმარტებული ნიადაგის სინჯები მორწყვის დასადასტურებლად. ამასთანავე ლ. ჭელიძემ სტატისტიკურად და ფუნქციონალურად შეისწავლა საბაზო არუბლო I-ზე ქვის ნატკეცი მასალა. მან არუბლო I-ზე 1972 წელს მოპოვებულ 1711 ობიექტისა და კაუის ნატკეცი ქვის მასალას მიუმდგნა სტატია, სადაც

მოცემულია მათი ტიპოლოგია, მეორადი დამუშავების ტექნიკა და ფუნქციონალური ანალიზი (ლ. ჭელიძე, 1979; 19-21). ამავე წელს ო. ბენდუკიძემ შეისწავლა 1966-1972 წლებში მოპოვებული გარეულ ცხოველთა და ფრინველთა ძვლები სახეობის მიხედვით (ცხრ. №1) (ო. ბენდუკიძე, 1979; 61-64).

ცხრილი №1. არუბლო I. გარეულ ცხოველთა და ფრინველთა ძვლები.

Nº	გარეულ ცხოველთა და ფრინველთა ძვლები სახეობების მიხედვით			რაოდენობა	ინტენსიურობის მაჩვენებელი
1	მტკვრის წვერა	Barbus cyri	Куринский усач	1	1
2	ხმელეთის კუ	Testudo graeca ibera	Греческая Черепаха	12	2
3	ხოხობი	Phazianus colchicus	Фазан	11	2
4	როჭო	Lirurus mlokosiewczi	Кавказский тетерев	1	1
5	ხოფო	Aleqtoris graeka	Кеклик	1	1
6	გარეული იხვი	Anas platvhnchos	Кряква	1	1
7	სავათი/ინდაური	Otis tarda	Дрофа	1	1
8	სარსარაკი	Otis tetrix	Стрепет	1	1
9	რუხი ყვავი	Corfus corone	Серая Ворона	1	1
10	ზღარბი	Erinaceus euronaeus	Еж	2	2
11	რუხი კურდღელი	Lepus europaeus	Заяц-Русак	1	1
12	თახვი	Castor fiber	Речной Бобр	3	1
13	სახლის თაგვი	Mus alf. musculus	Домовая Мышь	2	1
14	ზელა	Fulves vulpes	Лисица	1	1
15	მაჩვი	Meles Meles	Барсук	1	1
16	ტურა	Canis aures	Шакал	2	2
17	კვერნა	Martes sp.	Куница	1	1
18	ცხენი	Equus caballus	Лошадь	11	2
19	კეთილშობილი ირემი	Cervus elaphus	Благородный Олень	9	2
20	ჯეორანი	Cazella subguturosa	Джейран	7	1
21	გარეული თხა	Capra algagrus	Безоаровый Козел	3	1
22	გარეული ცხვარი	Ovis ophion	Дикий Баран	1	1

1972 წლის საყურადღებო მონაპოვარი იყო ბორცვის ცენტრალურ ნაწილში ერთ-ერთ ორმოში აღმოჩენილი 67 სმ სიგრძის, ირმის რქის დატოტვილი ეწ. „კავისებრი“ იარაღი, რომლის როგორც სახნავი იარაღის რეკონსტრუქცია გააკეთა ცნობილმა ეთნოლოგმა გ. ჯალაბაძემ (ტ. ჩუბინიშვილი, 1973; 17-20).

1973-1974 წლებში სოფ. არუელოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე საირიგაციო სისტემის გაფართოება შეეხო არუელო II-საც, რომელიც მდებარეობს არუელო I-ის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 150 მეტრზე.

არუელო II. არუელო I – თან ერთად გააკეთდა არუელო II-ის ტოპოგეგმა (ტაბ. LIV), რომელიც იგივე მეთოდით დაკვადრატდა (ტაბ. VII). ბორცვის ჩრდილოეთ ნაწილში CY ფართობზე გაკეთდა სადაზვერვო თხრილი, ზომით 6X4 მ². გამოვლინდა სამი სამშენებლო ჰორიზონტი და განმარტული ნიადაგი. 0 ხაზიდან 1 მეტრამდე აღმოჩნდა 25 სმ-მდე სისქის დამწვარ-დანახშირებული ფენა, რომლის სიმკვეთო უფრო და უფრო მატულობდა და გრძელდებოდა 1,85 მეტრამდე. ხოლო ქვევით იწყებოდა მესამე ჰორიზონტი და 2,25 მეტრზე გამოჩნდა 5-7 სმ სისქის თხავის და 20 სმ სიგანის ხელსაფქვავი, ძვლის სახვრეტები, ძვლის ორი ისარი და არუელო I-ის მსგავსი თიხის ჭურჭლის ნატეხები. III ჰორიზონტის ქვემოთ დეკს 50-55 სმ სისქის განმარტული ნიადაგი. არუელო II-ზე ფენები დარღვეულია გვიანბრინჯაოს ძეგლებით, ფერდალური ეპოქის სამარხებითა და ორმოებით და ისინი ხშირად 3 მეტრამდე არიან ჩაშვებული (ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ჭელიძე და სხვ. 1974; 16-18).

არუელო II-ზე 1974 წელს კვლავ გაგრძელდა გათხრები. ძველ თხრილს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიება ახალი თხრილი (ტაბ. VII) და ძირითადად განმეორდა წინა წლის სტრატიგრაფია. 40 სმ სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან მოხვნის გამო კულტურული ფენა დარღვეული იყო. შემდეგ გამოჩნდა

ქვის ოთხეუთხა ნაგებობა, რომლის იატაკი მდებარეობდა 80 სმ სიღრმეზე და აქ ძირითადად აღმოჩნდა ანტიკური და ფერდალური ეპოქის თიხის ჭურჭლის ნატეხები და სხვა არტეფაქტები. უფრო სიღრმეზე გვიანი მასალის რაოდენობა მცირდება, ხოლო 0 ხაზიდან 2 მ სიღრმეზე აღმოჩნდა თიხატკებილი, წითლადშეღებილი იატაკი და არუელო I-ის მსგავსი კერამიკა, ძვლის სადგისები, გრძელფუნქციანი ფოთლისებრი ისრისპირები და ობსიდიანის იარაღები. აქ აღმოჩენილი ალიზის კედელი ეკუთვნოდა წინა წელს აღმოჩენილი კედლის ნაწილს, შენობის დიამეტრია 2,60 მ². თხრილის დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა მეორე შენობის ფრაგმენტი. იატაკზე ეყარა წიდისებრი ნატეხები. 0 ხაზიდან 2,30-2,70 მ სიღრმეზე გამოვლენილი ჭურჭლის ნატეხების ნაწილს ჰქონდა კონუსური კოპები (ტაბ. LV. 18) (Т. Чубинишвили, Л. Небиериძე и др. 1976; 14-15).

არუელო I. არუელო I-ზე 1973 წელს ბორცვის აღმოსავლეთ ნაწილში ხელახლა გაიწმინდა №3, 4 და 5 საკონტროლო თხრილი და 1972 წლის სტრატიგრაფიული შურფიდან გაიჭრა 34X6 ზომის ახალი თხრილი, რომელმაც გააერთიანა № 1, 15 და 16 ფართობი. ძველი თხრილები გაიწმინდა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ პალეოგრაფიის გ. ლისიცინას აზრით ბორცვის ძირის სხვადასხვა მონაკვეთზე აღმოჩენილი “სკელი” თხრილები მუდმივობის არ უნდა ყოფილიყო. “სკელი” თხრილების ერთმანეთისგან განსხვავებული ლინზების, დონეების და მიმართულების გამო დაუშვებელია ბორცვის ირგვლივ ერთიანი წყალსაცავი სისტემა არ უნდა ყოფილიყო, უფრო სავარაუდო, რომ ისინი ერთიმეორისგან დამოუკიდებელი არხების განტოტებას წარმოადგენდა (ტ. ჩუბინიშვილი, 1973; 99-109). ახალ თხრილში 0 წერტილიდან 3 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ორი წრიული შენობის ნაშთი. ზედა ჰორიზონტის შენობებისგან განსხვავებით ეს შენობები ნაგებია პლანოკონვექსური აგურით. ერთი შენობის შიგნით აღმოჩნდა ოვალური ჯამისებრი მოყვანილობის კერა.

კედელს და იატაკს ეტყობა ცეცხლის კვალი. იატაკზე არსებულ ნაცროვან-ნახშიროვან ფენაზე გახვდება კომპაქტურად დაწყობილი რიყის პატარა ქვები. თიხატკეპნილი იატაკი შესამნევად დაქანებულია დასავლეთისკენ. შენობის დიამეტრია 2,55მ², მეორის კი 1,60 მ². ბორცვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ფერდობთან გამოვლენილი ძველი არხის ჭრილები განსხვავებულია. ჩრდილოეთის ფერდობის არხი შეესაბამება სარწყავის კონფიგურაციას, აღმოსავლეთის კი არა, ვინაიდან განამარხებული ნიადაგი ზედაპირიდან დრმად მდებარეობს.

1974 წელს ბორცვზე პალავ გაგრძელდა ძველი სარწყავი არხების შესწავლა და მათი კავშირის დაღენა სამოსახლოსთან და განამარხებულ ნიადაგთან, რისთვისაც ბორცვის ჩრდილო-დასავლეთით გაიჭრა №20,23 და 24-ე ტრანშეა, რომელებშიც “სველი” თხრილის კონტურები არ დაფიქსირდა. ამასთანავე პარალელურად გრძელდებოდა გათხრები №13 და 19 ტრანშეაში. №13 ტრანშეაში წინა წლებში გამოვლინდა “მშრალი” და “სველი” თხრილი, რომელთა კონფიგურაცია და ზომები მსგავსია სხვა თხრილებში გამოვლენილი კონტურებისა. არხის შევსებაში კი გვხვდება ადრესამიწათმოქმედო კულტურის თიხის ჭურჭლის ნატეხები, ხელ-საფქვავები, ობიექტების იარაღები. ასევე გამოიკვეთა ნახევრადმიწურების კონტურები. საყურადღებოა, რომ №5 ტრანშეაშიც აღმოჩნდა ადრე გამოვლენილი “მშრალი” თხრილი. აქვე აღმოჩნდა მეორე “მშრალი” თხრილი, რომელიც კონფიგურაციით განსხვავებულია.

№13 ტრანშეაში “მშრალი” თხრილიდან ჩრდილოეთით შემაღლებული მატერიკული დონე, უნაგირისებრი ტეხილით ეშვება სველ თხრილში, რომლის ძირი 1,20 მ მაღლა მდებარეობს ვიდრე “მშრალისა”, ხოლო “სველი” თხრილის შემაღლება ჩრდილოეთ ფერდობზე 60 სმ-ით მაღლა გრუნტზე (ტაბ. IX. 2).

“სველი” თხრილი შევსებულია ერთმეტრიანი სისქის წვრილმარცვალმინარევიანი თიხით, რომელიც ჭრილში ტალღისებურადაა განფენილი. შევსების ძირზე დაფიქსირდა ბაჟაფის (Rana sp) ჩონჩხი. შევსებაში ასევე გვხვდება ადრესამიწათმოქმედო კულტურის თიხის ჭურჭლის ნატეხები და მხოლოდ “სველი” თხრილის სამხრეთ შემაღლებაზე, 2 მ-ის დონეზე შერეულია უძველესი და გვიანი ეტაპის მასალა. ხოლო ფსქერიდან 2,60 მ სიმაღლეზე მასალა ძირითადად ერთგვაროვანია, წარმოდგენილია ობსიდიანის, კაჟის, ბაზალტისა და არგელიტის იარაღები.

1974 წელს ექსპედიციის მიერ ჩატარებული მრავალმხრივი და შრომატევადი სამუშაოებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია წრიული შენობების აღურებზე ჩატარებული ანალიზის შედეგები.

მიწათმოქმედების დონისა და საერთოდ მეურნეობის განვითარების შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ლ. პრიშიპენკოს მიერ ალიზის აგურის ნატეხებში აღმოჩენილი და შესწავლილი კულტურულ (ცხრ. №2) და გარეულ მცენარეთა (ცხრ. №3) ნაშთები და ანაბეჭდები. აქ აღმოჩენილია ველური მცენარეები, ავტორთა აზრით დამახასიათებელია საგაზაფხულო და საშემოდგომო ნათესებისათვის.

ცხრილი №2. არუბლო I, კულტურულ მცენარეთა ნაშთები.

1	რბილი ხორბალი	Triticum aestivum
2	ორმარცვალა	Triticum dicoccum
3	ჯუჯა ქონდარა	Triticum compactum Host
4	ერთმარცვალა	Triticum monococcum
5	სპელტა	Triticum spelta
6	მრავალმწარიგა ქერი	H.vulgare
7	ორმწკრივა ქერი	H.distichum H.sativum
8	ჩვეულებრივი ქერი	Hordueum
9	შიშველმარცვალა ქერი	H. sativum ssp
10	ფეტვი	Panicum mi lliaceum
11	ოსპი	Lens esculenta
12	ბარდა	Pisum sativum

ცხრილი №3. არუებლო I, ველურ მცენარეთა ნაშთები.

1	ცერცველა	Vicia tetrasperma	Вика четырехсемянная
2	ქვათესლა	Lithospermum arvense L.	Воробейник полевой
3	ჰელიოტროპე	Heliotropium europaeum L.	Гелиотроп европейский
4	წალიკა	Polygonum hidropiper	Горец перечный
5	შავთარა	Fumaria Schleicheri Soy-Will	Дымянка Шлейхера
6	შალგი	Brassica campestris L.	Капуста полевая
7	ბანის ჰვრიელა	Bromus tectorum L.	Костер кровельный
8	თათაბო	Atriplex nitens Schkuhr	Лебеда лоснящаяся
9	ყაყაჩო	Papaver hybridum L.	Мак гибридный
10	ომისებრი ფეხვი	Panicum capillare L.	Просо волосовидное
11	ჩვეულებრივი ჭვავი	Secale cereale	Рожь
12	დედაფუტებრა	Stachys annua L.	Чистец однолетний
13	ჩვეულებრივი ჯიჯლავა	Amaranthus retroflexus L.	Щирица запрокинутая
14	ლურჯი ძირწითელა	Echium vulgare L.	Синяк обикновенный
15	ყაყაჩურა	Glaucium flavum Gran tz	Глауциум желтый
16	თეთრი სამყურა	Trifolium repens	Клевер шуршащий
17	წითელი სამყურა	Trifolium pratense L.	Клевер луговой
18	ქაფუნა	Herniaria glabra L.	Грыжник гладкий
19	ჩვეულებრივი იონჯა	Medicago sativa L.	Люцерна посевная
20	მჟავნა	Runex acetosa L.	Щавель кислый
21	ღოლო	Runex comfertus Willd	Щавель конский

საქართველოს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის (ამჟამად აგრარული უნივერსიტეტის) პროფესორის ზ. კეშელაშვილის მიერ მოწოდებული მონაცემებით სულ განსაზღვრულია 45 სახეობის ველური მცენარე (Т. Чубинишвили, Л. Небиериძე и др. 1976; 55-61).

გ. ლისიცინასა და დ. დეკაპრელევიჩის აზრით საგაზაფხულო ნათესებზე მოსავლის მიღება არუებლოს ტერიტორიაზე თანამდროვე კლიმატურ პირობებთან მიახლოებულ დროში შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ არარეგულარული მორწყვის პირობებში. არუებლო I-ზე ჩატარებული პალეობოტანიკური და პალინოლოგიური ანალიზის შედეგები მახლობელი აღმოსავლეთის კულტურული ცენტრების მასალებთან კონტაქტში განხილული აქვთ გ. ლისიცი-

ნას და დ. პრიშინიშვილს და მაღალ შეფასებას აძლევენ მას (Г. Лисицына, Л. Пришипенко, 1977; 61).

1974 წელს სამოსახლოს აღმოსავლეთით, ბორცვის სიახლოებებს გაიჭრა №22 ტრანშეა, რომელიც შემდეგ გაფართოვდა ჩრდილოეთით და სამხრეთით. თავდაპირველად ტრანშეის ჭრილში გამოჩნდა ტექნიკით დაზიანებული, არქეოლოგიური მასალითა და ნაცრით შევსებული სამი ორმო. ტრანშეის ორივე ნაპირზე მიწის მოხსნისა და გაწმენდის შემდეგ გამოიკვეთა №11, 12, 13 და 14 ოვალური, 4,10–4,60 მ. დიამეტრის ნახევრადმიწურის კონტრური (ტაბ. XIII). ოთხივე ში დაფიქსირდა იატაკის ორი ღონებ. №11 და №12 მიწურის ცენტრში გამოიკვეთა ცენტრალური ბოძის ფოსო. მიწურებში აღმოჩნდა ქერამიკა, ობსიდიანი და ძვალი.

№14 მიწურში ზედა იატაკი დაფარული იყო ნაცრით, ხოლო იატაკებს შუა დასავლეთ კედელთან გამოიკვეთა 25 სმ პლატფორმა, შუაში ფოსოთი, რომელშიც იყო ცხოველის ძვლები, ობსიდიანი და კერამიკა. აღსანიშნავია ამავე მიწურში აღმოჩენილი წაბლისფერი ჭურჭელი, რომელზეც სქემატური ანტროფომორფული ფიგურაა გამოსახული, რომლის მსგავსი თვით სამოსახლო ბორცვზეც აღმოჩნდა.

22-ე ტრანშების ორივე ფართობზე, მის ჩრდილოეთ ნაწილში გამოვლინდა კიდევ სამი ნახევრადმიწური (15, 16, 17). №13 ნახევრადმიწურის დმ-ია 2,60 მ და უერთდება ადრე გათხრილ №14 ნახევრადმიწურს. უფრო ჩრდილოეთით მდებარე №15 ნახევრადმიწურის დმ-ია 2,40 მ და უერთდება №16 ნახევრადმიწურს. თუმცა №16 ნახევრადმიწური უფრო დიდია და მისი დმ შეადგენს 4,90 მ და მომრგვალებულ ოთხეუთხა ფორმისაა. №13 და 14 ნახევრადმიწურებს არ აქვს თიხატებანილი იატაკი და შევსებულია ნახშირმინარევიანი ნაცრით, ხოლო ცენტრში გამოიყოფა ცეცხლის ნანთები გამომწვარი აღგილი.

გამოხატულია აზრით ნახევრადმიწურების ასეთი განლაგება შეიძლება მიუთითებდეს გარკვეულ სისტემაზე, სადაც დიდები გამოიყენებოდა საცხოვრებლად, ხოლო პატარები სამეურნეო დანიშნულებით. აქ მოპოვებული თიხის ჭურჭლის ნატეხები, ობსიდიანის ლამელა-ანატეტები და ძვლის იარაღები არ გამოირჩევიან დანარჩენი მასალისგან.

1974 წელს ქვემო ქართლის (არუბლოს) არქეოლოგიური ექსპედიციის ერთი რაზმი (გ. ფხავაძე) მუშაობდა სოფელ კოდაში ადრე ბრინჯაოს პერიოდის სამაროვანზე, ხოლო მეორემ (ა. ორჯონიძიძე) სამცხეში, სოფელ ზევლში 1500 მ სიმაღლეზე ჩატარა დაზევრითი გათხრები. აქ 2,50 სისქის კულტურულ ფენაში დადასტურდა III და II ათასწლეულების არქეოლოგიური მასალა.

1974 წელს შედგნილი ტოპოგრაფიული გენგეგმის მიხედვით არუბლო I-ზე 1966-1974 წლებში ბორცვის ოთხივე მხარეს და უფრო მეტად მის აღმოსავლეთ კალთაზე გაკეთებულია 24 თხრილი (ტაბ. VII), რომელთაგან

ზოგიერთის სიგრძე 40-50 მეტრს აჭარბებს (T. ჭუბინიშვილი და სხვ.).

ამრიგად ექსპედიციამ 1966-1974 წლებში სხვადასხვა ნამოსახლარზე და განსაკუთრებით არუბლო I-ზე მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარა და გარკვეული სიახლეების შემცველ წარმატებასაც მიაღწია.

მეტად საინტერესო იყო ექსპედიციისათვის 1975 წელი. წინა წლებში I ფართობზე გამოვლინდა ალიზის ორი შენობა №4 და №5. ამ წელს გათხრები მიმდინარეობდა I ფართობის ჩრდილო-აღმოსავლეთით 25 და 26-ე ფართობზე (172 მ²). აქ ერთ მეტრის სისქის კულტურულ ფენაში გამოვლინდა ანტიკური, ფეოდალური და მცირე რაოდენობით ადრესამიწათმოქმედო კულტურის მასალა. I ფართობისაგან განსხვავებით აქ გვიანი მასალა გახვდება არა ორმოებში, სამარხებსა და ნაგებობებში, არამედ მთელს ფართობზე. გამონაკლისია მხოლოდ №26 ორმო.

25-ე ფართობზე აღრესამიწათმოქმედო კულტურის მასალა გამოჩნდა 0 ხაზიდან 0,18-0,25 სმ-ზე. ამავე დონეზე გაიწმინდა 0,50-0,60 მ დიამეტრის კერა. გამოხატულია აზრით კერიდან სამხრეთ-დასავლეთით 2,20 მეტრზე, ნაცროვან ფენაში გამოვლინდა კერამიკის გროვა, მათ შორის წოფის კერამიკის მსგავსი პროფილირებული ჯამის, ასევე სქელკეციანი, დაბალყელიანი, შავპრიალა ჭურჭლებისა და ერთი ყურის ფუძის ფრაგმენტი (როგორც ჩანს, კერაც და მის გარშემო აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნატეხები ჩვენი აზრით ანტიკურ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. ავტორთა შენიშვნა).

BD 1, 2, 3, 18, AD 22 და 23 კვადრატზე 0,63 სიღრმეზე გაიწმინდა ალებასტრის დატკეპნილი, ბათქაშოვანი დონე, რომლის აღების შემდეგ გამოიკვეთა №24, 25 და 26 ორმო. 25-ე ფართობზე სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა ჭურჭლის პირის ნატეხები შიდა და გარეზედაპირზე შვერილებით. ასევე საყურადღებოა სარტყლითა და შვიდი დანაძერწით შემკული ჭურჭლის ნატეხი.

26-ე ფართობზეც 0 ხაზიდან 0,48 სმ აღმოჩნდა სხვადასხვა სახის აღრეული ჭურჭლის ნატეხი. ამავე დონეზე სხვადასხვა

ადგილას აღმოჩნდა კბილის მმივისებრი საკიდი, ნემსი, ცხოველთა ძვლები, საპრი-ალებელი, გახვრეტილი ნიჟარა, ობსიდიანის ახალი კავშირი და ლამელები.

II სამშენებლო პორიზონტზე 0 ხაზიდან 0,58-1,05 მეტრზე გამოვლინდა ოთხჯუთხა და წრიული ნაგებობები (ტაბ. IV. 2). მათ შორის, ჯერ კიდევ 1966 წელს გამოვლენილი №4 და 5 შენობა, რომელთა დმ-ია 2,20-2,40 მ² და 3,50 მ²-ია. №4 შენობა დეფორმირებული ტიხარით უერთდება №19 ოთხჯუთხა ნაგებობას, რომლის კედლების ზომებია 2,20-2,24 მ. სიმაღლე 0,68 სმ. სათავსი ნაგებია პლანოკონკრექტური აგურით, ზომით 42X17X8. შესასვლელი აქვს აღმოსავლეთით, რომლის სიგანე ძირზე 1,10 მ-ია, სიმაღლეზე კი ვიწროვდება. პირველი იატაკის დონეზე 0,78 სმ-ზე კუთხეში გაიწმინდა გამოუწვევით თიხის კერა. კერის გვერდით იდო რქის 2 თოხისებრი იარაღი. შენობის აღმოსავლეთ კედლებითან აღმოჩნდა სხვა ფორმის თოხი. იატაკზე ასევე იდო ძვლის საპრიალებელი, დანაძერწიანი და შვერილებიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები. II იატაკის დონეზე 0,98 სმ-ზე და პირველ იატაკს შორის იდო 20 სმ სისქის ძლიერ ნახშიროვანი ფენა. აქ აღებული ნახშირიდან C¹⁴-ის მეთოდით მიღებულია თარიღი 6720±60 წ. II იატაკის დონეზე აღმოჩნდა ქალის პატარა დაზიანებული ქანდაკება და ფრინველის ფორმის მაღალ ყელიანი ჭურჭლისა (ტაბ. XLIII. 5) და სქელ კეციანი პირგადაშლილი ჭურჭლის ნატეხები, ძვლის თოხისებრი იარაღი, სადგინისა და რქის იარაღის ნამზადი.

მე-ХІХ შენობის დონეზე დასავლეთი
BC 15 კვადრატში აღმოჩნდა ხელსაფქავის
ქვედა ქაქბისაგან შედგენილი კერა (ტაბ. V.
2). XXV ფართობის აღმოსავლეთ კედელთან
0,35 სმ სიღრმეზე გაიწმინდა ალიზის გრო-
ვა. მის ქვეშ კი BD 1-19 კვადრატში 0,93 მ
სიღრმეზე გამოვლინდა სერპანტინის თხელი
მძივი და ქილისებრი ჭურჭლის კოპებიანი
ნატეხი, კოპებს შორის წრიული, რელიეფუ-
რი დანაძერწით. XXI შენობაში (2, 25, 2, 10 მ²)
იატაკზე იღო დანაძერწიანი ქილისებრი, ჭუს-
ლიანი ჭურჭლის ნატეხები. აქვე აღმოჩნდა
ძვლის საპრიალებელი.

BD XXV ფართობზე 19,20 კვადრატში გაი-
წმინდა გვიანი ნაგებობის ქვების გროვა.

ასეთივე სურათი იყო AD XXI 23, 13, 16 და BD 1, 2, 7, კვ-ბში. ამ ფენის ქვეშ 0,50 მ სიღრ-მეზე 0 ხაზიდან BD 1, 10 და AC XXII 24 კვ-ში გაიწმინდა ალიზის გამომწვარი ფენა.

№ 4 შენობაში აღმოჩნდა ანტიკური გვოქის მასალა. აქედან აღებული ნახშირიდან C^{14} -ის მეთოდით მიღებულია თარიღი 2030 ± 40 წელი.

სევე გაგრძელდა სამუშაოები №10 ფარ-
თობზე, რომლის ჩრდილოეთ კედელთან 0
– ხაზიდან 5,35 მეტრზე აღმოჩნდა ძვლები
და ჭურჭელი. როგორც ცნობილია, არუხლო
I-ზე აღმოჩნდიდა ადრესამიწათმოქმედო
კულტურის კუთვნილი 6 მცირე ქვაყრილია-
ნი ორმო სამარხი. საინტერესოა, რომ ეს სა-
მარხები აღმოჩნდა სამოსახლოს გარეთ მიმ-
დებარე ტერიტორიაზე. სამწუხაროდ ისინი
საკმაოდ დაზიანებულია და ფრაგმენტულად
იყო შემონახული.

სამარხი №7 თითქმის დანგრეულია. მიწის ზედაპირიდან 0,70 მ სიღრმეზე ქვაყრილში აღმოჩნდა სხვადასხვა ეპოქის მასალა. სამარხი ორმოს სიღრმე 0,40 მ-ია. დანგრეული ჩონჩხი მოკრუნჩხული ესვენა მარჯვენა გვერდზე. თავის ქალა დაზიანებული იყო.

ქბილის მიხედვით ჩონჩხი ეკუთვნოდა 12-14 წლის მოზარდს. სამარხში იდო ცილინდრულყელიანი ჭურჭელი, ყელზე ოთხმწკრივა ვერტიკალური დანაძერწებით. ჭურჭლის სიმაღლეა 14,5 სმ, პირის დმ-8,5 სმ, ყელის სიმაღლე-5,3 სმ, ძირის დმ-7,5 სმ (გაბ. XLIV. 3). სამარხში ასევე აღმოჩნდა პრიზმული ფორმის ორი დაკბილულ სამუშაო პირიანი დიდი ზომის ობსიდიანის ნამგლის ჩასართი. ასევე ძლიერ გაცვეთილი ორ სამუშაო პირიანი ობსიდიანის ნამგლის ჩასართის ნატეხზე დამზადებული ჯუთხის საჭრისი და ურეტუშო, მცირე ანატკეცზე დამზადებული დანისებრი ხოჭი.

№7 სამარხის პარალელურად 4 მეტრზე, იმავე დონეზე გაიწმინდა კიდევ ორი სამარხის ქვაყრილი. ძლიერ დაზიანებული №8 სამარხი №7 სამარხთან შედარებით უფრო ღრმად მდებარეობს. მისი იატაკი მოფენილი იყო წითელი ოქრით. აქ აღმოჩენილი ობიექტის იარაღები №7 სამარხის იდენტურია (Т.Чубинишвили, Г. Пхакадзе и др. 1979; 9-13).

1976 წელს არუხელო I-ზე გათხრები გაგრძელდა, როგორც ბორცვის ცენტრალურ ნაწილში (140 მ²), ისე სამოსახლოს გარეთ ძველი თხრილებისა და სამარხების გა- მოვლენის მიზნით.

№22 ტრანშეაში, სადაც წინა წლებში გამოვლინდა ნახევრადმიწურები, გათხრები გაგრძელდა დასავლეთით, რომლის შედეგად ჭრილში გამოიკვეთა 10,5 მ სიგანის ჩაღრმავებული ლინზა. ლინზის შეესებაში აღმოჩნდა კასრისებრი ლია-მოვარდისფრო ჭურჭლის შვერილიანი პირის ნატეხი. ნატეხს შიდა სარჩულზე ეტყობა წითელი სადებავის კვალი. მეორე დია ფერის ჭურჭლის მიძერწილია კოპები. ასევე აღსანიშნავია მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვლისგან დამზადებული საპრიალებელი.

№7 სამარხის პარალელურად, სამხრეთ-აღმოსავლეთით, გათხრები დაიწყო ახალ №28 ფართობზე (90 მ²) გორა-ნამოსახლარის გარეთ, სადაც არ დადასტურდა სამარხები. სამაგიეროდ ჩნდებოდა არუხელო I – ისათვის და- მახასიათებელი სხვადასხვა ეპოქის მა- სალა. სამუშაოები გაგრძელდა ასევე №1, 2, 16, და 26-ე ფართობზე. №1 ფარ- თობის გაგრძელებაზე მოინიშნა ახალი №29 ფართობი, რომელიც მოიცავს №15 ფართო- ბის სამრეთ ნაწილს. აქ გამოვლინდა №29, 30, 31, 32, 33, და 34 ორმოები, რომელთა დო 0,80-1,40 მ-ია. ორმოებში აღმოჩნდა ანტიკუ- რი და უფრო მოგვიანო ხანის მასალა. ამ ორმოებს ჩაჭრილი აქვთ ადრესამიწაომოქმე- დო კულტურის მასალის შემცველი ფენა (ლ. ნებიერიძე, დ. გოგელია დр. 1979; 27-29).

სამწუხაოდ ტ. ჩუბინიშვილის აგადმყო- ფობის გამო 1976 დასრულდა მისი საველე საქმიანობა. 1978-1979 წლების სამეცნიე- რო ანგარიშების მიხედვით ბატონი ტარიე- ლი კონსულტანტის ფუნქციას ასრულებდა. 1978 წელს ექსპედიციის ხელმძღვანელად დაინიშნა ახალგაზრდა არქეოლოგი დავით გოგელია, რომელიც მანამდეც იყო ერთერ- თი წამყვანი საველე მუშაკი. დ. გოგელი- ას ხელმძღვანელობით ითხრებოდა ახალი ფართობები ბორცვის აღმოსავლეთ მხარეს. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გამოვლინ-

და ალიზის უმრავლესი შენობები, დალაგდა სამშენებლო პორიზონტების მიხედვით და გამოიყო ცალკეული კომპლექსები



დ. გოგელია (1952-2013)

პარალელურად 1977-1978 წლებში დ. გო- გელია ეინვალის არ- ქეოლოგიურ ექსპ- დიციაში სწავლობდა ბოდორნისა და ახა- ლი უინვალის (ქვემო არანისი) ადრესამი- წათმოქმედო ნამოსა- ხლარს. მაგრამ ქვემო ქართლის (არუხელოს) არქეოლოგიური ექს- პედიციის ხელმძღვა- ნელად მისი დანიშ- ვნის გამო არაგვის ხეობის ადრესამიწათ- მოქმედო ნასახლა- რების შესწავლა ჩვენ გავაგრძელეთ (შენიშ- ვნა: გ. ჩიქოვანი).

დ. გოგელიამ თავი- სი რამდენიმე წლია- ნი მუშაობის დაკირ- ვებას არუხელო I-ზე მიუმდვნა საყურადღებო სტატია, რომელშიც რიგ საკითხებთან ერთად განხილულია ხე- ლოვნურ ბორცვზე დადასტურებული ალიზის შენობებისა და სამოსახლოს გარეთ გრუნტ- ში ჩაჭრილი ნახევრადმიწურების ურთიერთ- მიმართების საკითხი. იგი არ იზიარებს ცნო- ბილი მკვლევარის რ. მუხნაუვის მოსაზრებას, რომელიც ზოგიერთ ხელოვნურ ბორცვზე დადასტურებულ ნახევრად მიწურებს არ გა- ნიხილავდა ამ კულტურის დამახასიათებელ ნიშნად. მათ მიიჩნევდა ძველი ტრადიციე- ბის გადმონაშთად (Р. Мунчაев, 1975; 89). დ. გოგელია უფრო ემსრობა ა. ჯავახიშვილის აზრს, რომელიც ქვემო ქართლის შულავერის ნამოსახლარის მიხედვით მიუთითებდა ალი- ზის აგურის სამშენებლო ტრადიციისა და მიწურ-ნახევრადმიწურების უწყვეტ კავშირ- ზე (ა. ჯავახიშვილი, 1973; 210). დ. გოგელია არუხელო I-ზე შესწავლილ XIX ოთხეულობა ნაგებობაზეც ამახვილებს უურადღებას და აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანის რიგ ძეგლ- ზე დადასტურებულ წრიულ და ოთხეულია

შენობების მიუხედავად, მათი სავარაუდო თანაარსებობის დრო ჯერჯერობით ლიად უნდა დარჩეს (დ. გოგელია, 1979; 13-18).

1978 წელს ნამოსახლარის შესწავლაში სიახლე იყო გეოფიზიკოსების მონაწილეობა. ელექტრო დაზევერვის მიზანი იყო ვერტიკალური ზონდირება და ელექტრონული პროფილირება. რამდენიმე პროფილი გაკეთდა ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე, სადაც აღმოჩნდა ორი ძველი, ღრმა თხრილი. პროფილირება ხდებოდა სავარაუდო თხრილის ან ჩაღრმავების პერკვიდიკულარულად. შედეგი საინტერესო აღმოჩნდა. თითოეულ პროფილში შეინიშნებოდა ანომალიები (Pk – მნიშვნელობის აწევა). ელექტრომეტრული მონაცემების შესამოწმებლად მე-10-ე პროფილის გვერდით გაიჭრა ახალი №31-ე ტრანშეა, სადაც ანომალია მკვეთრად იყო გამოსატული. ტრანშეა გაიჭრა ბორცვის დასავლეთ ძირთან ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე AB კვადრატში, ზომით 3X25 მ-ზე. ტრანშეას სამხრეთ ნაწილში 4,60-5 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა 4 ორმო (დმ-1,0 – 1,20მ). №31 ტრანშეას ცენტრალურ ნაწილში 0 ხაზიდან 5,50 მეტრ სიღრმეზე გაიწინდა არქეოლოგიური მასალის შემცველი დამწვარი ფენა, ხოლო მის ჩრდილოეთ გვერდზე №36 და 37 ორმო. №36 ორმოში აღმოჩნდა მხოლოდ ძვლები, მათ შორის ადამიანის კბილი. №10 პროფილმა, რომელიც №13 ტრანშეას დასავლეთით მდებარეობს, ვერ მოიცვა მახლობელი „სეგლი“ თხრილის არსებობა. გამოხსრელთა აზრით საჭიროა №31 ტრანშეის გაგრძელება სამხრეთით, ბორცვის W-O დერძის პერპენდიკულარულად და ასეთ შემთხვევაში შეიძლება „სეგლი“ და „მშრალი“ თხრილების კონტურების გამოვლენა. №31 ტრანშეაში აღმოჩნდა შვერილებიანი და კოპებიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, მსხვილფეხა საქონლის ბეჭისაგან დამზადებული საგნის ფრაგმენტი და სატარე ნახვრებში გადატეხილი ძვლის იარაღი.

ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც 1975 წელს აღმოჩნდა ადრეული სამარხი, სხვა სამარხების გამოსავლენად გეოფიზიკოსების მიერ გატარდა რამდენიმე პროფილი. პროფილების გატარების შემდეგ, შეირჩა ანომალიური აღგილები და CD-IV კვადრატში გაიჭრა ახალი (4X4 მ) №32

ტრანშეა, ხოლო №28 ტრანშეა დაღრმავდა გრუნტამდე, ზომით 1X4 მ-ზე. ჭრილში გამოჩნდა ნახევრადმიწურების კონტურები, რომელთა კიდეებზე დაფიქსირდა შემაღლებული თიხნარი გრუნტი. გრუნტის უსისტემო შემაღლება დაფიქსირდა №32 ტრანშეაშიც. აქ მხოლოდ ტრანშეას დასავლეთ ნაწილში შეინიშნება ნაყარი გრუნტის შემაღლება. გათხრების შემდეგ გამოიტქვა მოსაზრება, რომ ანომალიური შემაღლებები წარმოადგენენ თიხნარი გრუნტის არათანაბარ გავრცელებას და მათ შორის ნაყარი ფენის არსებობას. №32 ტრანშეაში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი შვერილით და დაბალი ჯამის ნატეხი. ერთს კი ეტყობა შავი საღებავით შესრულებული 4 ზოლი.

CD-IV-24 კვადრატში 0-ხაზიდან 5,90 მ სიღრმეზე აღმოჩნდა №8 სამარხი, რომელიც დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. დარკბალული იყო მოზარდი, მოხრილ პოზაში, მარჯვენა გვერდზე. სამარხი ორმოს ძირს ეტყობოდა წითელი ოქრის კვალი. ასევე აღმოჩნდა წითლად შედებილი თხელკეციანი ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი, ხოლო ჩონჩხის კვეშ სარდიონის წაგრძელებული მძივი განივი ნახვრებით.

№9 სამარხი აღმოჩნდა CD-IV-25 კვადრატში 0 ხაზიდან 6,18 მ სიღრმეზე. №9 სამარხი, №7 და 8 სამარხის მსგავსად მცირე ქვაყრილით იყო დაფარული. გრუნტისა და შევსების ერთფეროვნების გამო სამარხის ზუსტი კონტური ვერ დადგინდა. სამარხის იაგა-კი ნაწილობრივ დაფარული იყო წითელი ოქრით. სამარხი დამხრობილი იყო W-O მომართულებით. ჩონჩხი ესვენა მარჯვენა გვერდზე მოკრუნებულად, თავით აღმოსავლეთით და ეპუთვნოდა 50-55 წლის ქალს. სამარხში აღმოჩნდა სარდიონის ორი მძივი, ოვალური ფორმის ბრტყელი, „ცრემლის“ ფორმის მცირე მძივი და ძვლის ორი სადგინი (ტაბ. XLIV. 1,2).

ასევე გათხრები გრძელდებოდა 25-ე ფართობზე, მე-16-ე ფართობის დასავლეთ ნაწილსა და I ფართობის BD-VI კვადრატში. მიზანი იყო გამოვლენილი სათავსების ურთიერთკავშირის დადგენა. მთელი გათხრილი სათავსები უკუთვნის ოთხ სამშენებლო პორიზონტებს. პირველ სამშენებლო პორიზონტს

ეკუთვნის № 4, 5, 6, 19, 21, და 22 სათავსები. მეორეს სამშენებლო პორიზონტს № 25, 26, და 27 სათავსები. მესამეს № 7, 8, 9 და 10, მეოთხეს კი № 20 სათავსი (გაბ. X). ვერ მოხერხდა № 1, 2 და 3 სათავსების რომელიმე პორიზონტისადმი მიკუთვნება.

I ფართობის BD-VI ქვადრატში აღმოჩნდა № 26 და 27 შენობა. წინა წლებში ამ ოხრილში გვიანბრინჯაოს ხანის ჩაშვებული სამარხები და მოგვიანო ორმოები აღმოჩნდა.

BD-I-23, 24 და BD-VI-3, 4 ქვადრატში აღმოჩნდა № 26 სათავსი. მისი დმ-3, 20 მეტრია. ხოლო შემორჩენილი კედლის სიმაღლე 1,05 მეტრი. აქ აღმოჩნდა ირმის რქის ყუანახვრებიანი ოოხი, ქვის ვიწრო სათლელი, ძლის საპრიაღებელი და სადგისები და ობსიდიანის ლამელა-ანატკეცები.

№ 27 სათავსი აღმოჩნდა BD-VI-12, 13 ქვადრატში. აღსანიშნავია BD-VI-18 ქვადრატში ოვალური მოხაზულობის დამწვარი ფენა. აქ აღებული მუხის ნახშირიდან C¹⁴ მეთოდით მიღებულიქნა თარიღი (T. 6. 277-6950±60).

1978 წელს ა. გორგიძის ხელმძღვანელობით გაკეთდა ახალი პალეობოტანიკური ანალიზები (A. გორგიძე, 1979; 425-427). ანალიზის შედეგად მეორე პორიზონტის კუთვნილი № 27 სათავსის ალიზის აგურებში აღმოჩნდა კარბონი-ზირკებული კულტურულ მცენარეთა ნაშთები. ერთმარცვალი (*T. monococcum*), მაგარი ხორბალი (*T. durum*), რბილი ხორბალი (*T. aestivum*), ქერი (*Hordeum*), ეგილოპსა (*Aegilops*), შვრია (*Avena*), ჭავი (*Panikum*), ლომი (*Setaria*) და ხორბლის ენდემური ჯიში მახა (*Macha*) და ძველი კოლხური ხორბალი (*T. Paleo Colchicum*) (T. ჭუბინიშვილი, D. გოგელია, 1981; 35-42 / A. გორგიძე, N. რუსიშვილი 1984; 15-21).

შემდგომმა პალეობოტანიკურმა კვლევებმა არუბლო I-ზე კიდევ უფრო გაამჟარა წინა წლებში ჩატარებული ანალიზების შედეგები (Z. იანუშევიჩ, N. რუსიშვილი, 1984; 21-31 / N. რუსიშვილი, 1990; 6-10).

წინა წლების მსგავსად არუბლო I-ზე მაგისტრალური წყლის მომწოდებული არხის (რუ) მოძიების მიზნით, 1980 წელს არუბლო

I-სა და არუბლო II-ს შორის გაიჭრა 100 მსივრძის საკონტროლო ტრანშება № 33. მის ჩრდილოეთ ნაწილში არუბლო I-თან ახლოს თიხნარ გრუნტში გამოიკვეთა ლინზისებრი ჩავარდნა, რომლის ძირი მოგებულია ქვებით.

ამავე დონეზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები და ობსიდიანის ანატკეცები. ლინზისებრი ჩავარდნის მიმარტვების დასადგენად № 33 ტრანშეას აღმოსავლეთით გაიჭრა № 34, 35 და 36 ტრანშეა. თუმცა ქვით მოგებული ანალოგიური ლინზისებრი ჩავარდნა და არქეოლოგიური მასალა დაფიქსირდა მხოლოდ № 34 და 36 ტრანშეაში. ტრანშეების მიხედვით გამოიკვეთა ნახევრადწრიული მიმარტვების ლინზისებრი ჩავარდნა, რომელიც კონფიგურაციით განსხვავდება „სველი“ და „მშრალი“ თხრილებისგან.

ასევე არუბლო I ზე სტრატიგრაფიისა და ალიზის არქიტექტურის გამოვლენის მიზნით გათხრები გაგრძელდა № 1, 2, 15, 16, 25 და 26 ფართობზე. აქ პირველი პორიზონტის კუთვნილი სათავსები არ დადასტურდა. მეორე სამშენებლო პორიზონტს კი მიეკუთვნება № 28, 29, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40 სათავსი.

№ 28 სათავსი აღმოჩნდა BD-VII-1, 2 კვ-ში. მისი დმ 2, 30 მ-ია. კედლის სიმაღლე 1, 40 მ.

მის სამხრეთ-აღმოსავლეთით BD-VII-8, 9, 13, 14, კვ-ში აღმოჩნდა № 29 სათავსი. მისი დმ-3, 5 მ-ია, ხოლო კედლის სიმაღლე 1, 53 მ.

სათავსი № 34 აღმოჩნდა AD-XXI-17, 22, 18 და 23 კვ-ში. № 37 სათავსი აღმოჩნდა BD-II-3, 4, 8, 9 კვ-ში. მისი დმ-1, 85 მეტრია. № 37 შენობა დასავლეთის მხრიდან ტიხით უერთდება № 38 სათავსს. № 40 სათავსი აღმოჩნდა 25 ფართობზე № 19 ოთხეუთხა სათავსის ქვეშ. მისი დმ-1, 80 მ-ია.

I ფართობზე, II სამშენებლო პორიზონტის კუთვნილი ალიზის კედლების ფრაგმენტები წინა წლებში გამოვლინდა. წელს კი BD-VI-1, 2, 6, 7, 8 ქვადრატებში გაიწმინდა სავარაუდო ცენტრალური მოედნის კუთვნილი ნაცროვანი ფენა. აქ არც III პორიზონტის კუთვნილი შენობები დადასტურდა.

III სამშენებლო პორიზონტს ეკუთვნის № 15 ფართობზე BD-VII-15, 20 გამოვლენილი № 30 სათავსი. მისი დმ-1, 8 მ-ია. დასავლეთი მხრი-

დან ის ტიხრით უერთდება № 45 სათავსს. აღსანიშნავია № 30 სათავსის იატაგზე აღმოჩენილი გამოუწვავი თიხისაგან დამზადებული მსხლისებური ფორმის საკიდო.

№ 31 სათავსი აღმოჩნდა მეორე ფართობზე BD-II-2, 16 და 17 კვ-ებში. მისი დმ-2,50 მ-ია, კედლის სიმაღლე აღწევს 1,30 მ-მდე და მდებარეობს 0 ხაზიდან 3,05 – 4,36 მ-ზე. ის შეიძლება ეპუთვნის როგორც მეოთხე, ისე მეხუთე სამშენებლო ჰორიზონტს. ეტყობა გადაკეთების კვალი, 3,65 მ დონეზე თრმაგი კედლის სახით.

IV სამშენებლო ჰორიზონტს ეპუთვნის № 43 სათავსი, რომელიც აღმოჩნდა BD-VI-10 და BD-VII-16 კვ-ბში. მისი დმ-2,10 მ-ია.

V სამშენებლო ჰორიზონტი წარმოდგენილია № 16 ფართობზე. აქ გაიწინდა № 23, 24 და 42 სათავსი, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ტიხებით და წარმოადგენს ერთ კომპლექსს. 23-ე და 42-ე სათავსის იატაგი მოგებული იყო შურდულის ქვებით. ამ ჰორიზონტს ეპუთვნის ასევე № 20 სათავსის ფრაგმენტი BD-VII-3 და 4 კვადრატიდან.

VI სამშენებლო ჰორიზონტს ეპუთვნის № 32 სათავსი და № 33 და 42 კედლის ფრაგმენტები BD-VII-23 და 24 კვ-ში. № 37 მორკალული კედელი და № 44 ოვალური ნაგებობა, რომლის დმ-4,20 მეტრია.

აღსანიშნავია, რომ V ჰორიზონტის მოტკებილი ფართობის ქვეშ BD-XII-11 და BD-VII-25 კვ-ში. 0 ხაზიდან 4,07 – 4,20 მ დონეზე გამოვლინდა № 10 და 11 სამარხი.

№ 10 სამარხი დამხრობილია W-O დერძზე. მოზარდის ჩონჩხი ესვენა მარჯვენა გვერდზე, მოხრილ პოზაში, თავით აღმოსავლეთით. სამარხი უინვენტაროა. სამარხი ორმოს ქვეშ აღმოჩენილი ძვლის თოხი სატარე ნახვრებით ზემოდან და გვერდიდან, ძვლის სადგისი და ობსიდიანის ანატკეცი სამარხს არ უნდა ეპუთვნოდეს.

№ 11 სამარხი ასევე დამხრობილია W-O დერძზე. ჩონჩხი ესვენა მოკრუნჩეულად, მარცხენა გვერდზე. თავით აღმოსავლეთით. სამარხში აღმოჩნდა ნეკის ძვლისაგან ნაკეთები, თავთან ნახვრებით დანისებრი იარაღი და ძვლის სადგისი.

მეორე ფართობზე BD -VIII-17, 18, 22, 23 და BD-XIII-2, 3, 4 კვადრატში 0 ხაზიდან 5,99 მ-ზე იწყება გრუნტი, რომელიც ჩაჭრილია 2.0 მ და 0.60 მ სიგანის კულტურული ფენით. ამ დონეზე C¹⁴ მეთოდით ნახშირისგან მიღებულია თარიღი 5400±70 წ. ჩვ.წ-მდე. ფენის აღების შემდეგ გამოვლინდა 0 ხაზიდან 7,78 მ დონეზე გრუნტში ჩაჭრილი ფართო და ვიწრო ტრანშეა, რომლებიც კვეთენ ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ ორივე ტრანშეას გვერდით №33, 44 და ნაწილობრივ №32 სათავსი გამართულია განმარტეულ ნიადაგზე, რომელსაც აქაც ჭრის ორივე ტრანშეა (ტაბ. XI. I). თავისი მექანიკური და ქიმიური შემადგენლობით განმარტეული ნიადაგი და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის თანამედროვე მთათაშორისი მოშავო-მოყავისფრო სარწყავი ნიადაგები თითქმის ანალოგიურია. ეს გარემოება გამორიცხავს ამ ძველი თხრილების გამოყენებას სარწყავად, ვინაიდან გრუნტში ჩაჭრილებია 2,30 მ სიღრმეზე.

1980 წელს ექსპედიციამ ასევე სადაზვერვო სამუშაო ჩაატარა დმანისის რაიონში მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ჯავახთან, სადაც აღმოჩნდა საყურადღებო ეხთან მდებარე სადგომი. ეხის ქვეშ გაჭრილ შურფზე აღმოჩნდა საყურადღებო ადრეული მასალა. მათ შორის პირს ქვემოთ ნასვრეტიანი ჭურჭლის ნატეხი და დაბალ ტანიანი ჯამი. ასევე აღმოჩნდა გულგულები, რეტუშიანი ლამელები, მათ შორის ურთიერთსაწინააღმდეგო, ამოღარული და სუბპარალელურ რუტუშიანი ლამელები, მრგვალი და ნახევრად მრგვალი ანატკეცები და ა.შ (ტაბ. LXXIX).

საინტერესოა აგრეთვე დმანისის რაიონულ ცენტრში, მდინარე მაშავერას მარჯვენა ნაპირის ფერდზე გაჭრილ შურფზე აღმოჩენილი მასალა. აქ ჭურჭლის ნატეხები არ დადასტურდა, მაგრამ აღმოჩნდა ობსიდიანის სხვადასხვა ტიპის იარაღები, მათ შორის დაბალი, სიმეტრიული სამკუთხედი და დამაბლაგვებელ რეტუშიანი მიკროლამელა. ძეგლი შეიძლება ე.წ. უკერამიკო ნეოლითს ეპუთვნოდეს (Д. გოგელია, 1982; 13-17).

1981 წელს არუბელო I-ზე ისევ გრძელდებოდა არქეოლოგიური გათხრები. ექსპედიციამ მიზნად დაისახა ნამოსახლარზე სხვადასხვა თხრილების გაერთიანება საერთო გეგმისა

და სტრატიგრაფიის დასადგენად. გათხრილ ფართობზე ასევე ყურადღება მიექცა მეორე და მეოქვემდება ტრანშეაში ქვედა პორიზონტებს.

ახალ მონაკვეთზე BD-I-15, 20, 25 და BD-II-11, 25 კვადრატში ითხრებოდა პირველი და მეორე პორიზონტები. პირველ სამშენებლო პორიზონტს მიეკუთვნება №48 სათავსი, რომელიც მდებარეობს BD-II-16, 21 და 22 კვ-ში. მისი დმ-2,40 მ-ია. №48 სათავსი აღმოსავლეთით BD-I-23, და 24 კვ-ში გაიწმინდა №49 და 50 კედლის ნაშთი, რომელიც შეიძლება შიდა ეზოს სხვადასხვა დროინდელი ტიხარი ყოფილიყო.

BD-II-11 და 12 კვადრატში გაიწმინდა №52 კედლის ნაშთი, რომელსაც აღმოსავლეთით ეკვრის კარგად მოტკეპნილი დონე, სადაც 2,02 ნიშულზე აღმოჩნდა ხელსაფქავის 2 ნატეხი, ერთი შიდა მხრიდან შედებილი ჭურჭლის ფრაგმენტი და თიხის კოვზის ნატეხი.

BD-II-8, 11 და 12 კვ-ში 2,31 დონეზე გამოვლინდა №47 წრიული შენობის ნაშთი, რომლის დმ-1,67 მეტრია. აქ აღმოჩნდა პირდამუშავებული რქის თოხი, პერპენდიკულარული სატარე ნახვრეტით. ასევე აღსანიშნავია BD-II-24 კვ-ში 1,60 მეტრ დონეზე აღმოჩნდი ნასვრეტან გადატეხილი “ცრემლისებრი” სარდიონის საკიდო.

25-ე ფართობზე BD-I-6 და BD-V-10 კვადრატში მოიხსნა №19 სათავსი, რომლის ქვეშ წინა წელს გამოვლინდა მეორე პორიზონტის კუთვნილი №40 სათავსი და გაიწმინდა მასთან მიერთებული ტიხარი.

BD-I-11, 17 და 18 კვადრატში გაიწმინდა №54 შენობის ნაშთი, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი დაზიანებული იყო მოგვიანო ორმოს მიერ.

BD-I-18,29 (უნდა იყოს 19, აგტორების შენიშვნა), 20, 23 და 24 კვ-ბში აღრესამიწათმოქმედო ფენა დაზიანებული იყო ფეოდალური ეპოქის ორმოებით.

გათხრები მიმდინარეობდა მე-2-ე და მე-16-ე ფართობზე, სადაც შეისწავლეს ქვედა სამშენებლო პორიზონტები. BD-XII-2, 3 და 4 კვ-ში №20 და №44 სათავსის სამხრეთით ჩაღრმა-

ვდნენ 4,40 მეტრზე. აქ აღმოჩნდა V და VI პორიზონტის კუთვნილი რელიეფურ ორნამენტიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რქის ცული, ძვლის სახვრეტი, ძვლის მრგვალი, ნაპრიალები, ბოლოწამახვილებული ღერძულა, ობსიდიანის ბლაგვი და მახვილ რეტუშიანი ლამელები და სხვა იარაღები. ხოლო BD-VII 22 კვ-ის დასავლეთ ნაწილში 3,90 მეტრ დონეზე აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ლულოვანი ძვლის ზედაპირ ნაპრიალები თოხი, ვერტიკალური სატარე ნახვრეტით. მისი სიგრძეა 18 სმ.

BD-VII-5 და 6 კვ-ში გაიწმინდა №55 მე-6-ე პორიზონტის კუთვნილი კედლის ნაშთი, რომელიც შედიოდა მე-16-ე ფართობის სამხრეთი კედლის ქვეშ. წინა წელს აღინიშნა BD-VIII-16, 21, 22 და 23 კვ-ში თიხნარში ჩაჭრილი ორი ძველი ტრანშეის აღმოჩენა, წელს კი ფართო ტრანშეას განივ ჭრილში გამოვლინდა VI სამშენებლო პორიზონტის სათავსის ნაშთები. გაირკვა, რომ ესენი განსხვავდებიან სამოსახლო ბორცვის გარეთ აღრე გამოვლენილი ტრანშეებისაგან, ამიტომ გამოხრელები მათ ქვაბულებს უწოდებენ. დ. გოგელია სხვა ავტორებზე დაყრდნობით (Р. Мукаев, Н. Мерперт, 1981; 29-33) მათ სამშენებლო თიხის კარიერებად მიიჩნევს.

№2 ქვაბულის დასავლეთი საზღვრის დასადგენად შეურფი გაფართოვდა №44 სათავსის გარეთ და გაირკვა, რომ BD-XII 3 და 4 კვ-ში არსებობს მესამე ქვაბულიც. №2 ქვაბულის მიმართულების დასადგენად მოიხსნა № 23, 24 სათავსი და VI სამშენებლო პორიზონტის კუთვნილი №46 სათავსის ადგილზე კულტურული ფენა გაიჭრა გრუნტამდე. აღმოჩნდა რომ ქვაბული ფართოვდება BD 19, 20 და 25 კვ-ში და გადის მე-16 ფართობის ჩრდილოეთი კედლის ქვეშ. №2 ქვაბულში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ძვლის 6 სადგისი, რქის ორი თოხი და ობსიდიანის იარაღები (Д. Гогелиა, Л. Челиძე, 1984; 13-15).

1982 წელს არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა არუბლო I-ის ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. აქ მესამე პორიზონტის შენობების შესწავლის მიზნით ითხრებოდა ახალი მე-40 ფართობი, რომელიც გააერთიანა №1, 2, 15, 16, 25 და 26 ფართობი და მიუახლოვდა ბორცვის ძირთან მდებარე

№22 ფართობს (გაძ. XII). ამით შესაძლებელია ერთმანეთს დაკუპავშიროთ ბორცვის შიგნით გამოვლენილი ალიზის სათავსები და ბორცვთან მდებარე ნახევრადმიწურები. BD-VI, BD-I კვადრატში ალიზის ნაგებობები არ დადასტურდა ეს აღილი თანხვდება ნამოსახლარის იმ ნაწილს, სადაც შეიმჩნევა ნაცრიანი ფენების ჩაგარდნა.

გამოვლენილი ალიზის აგურით ნაშენი შენობებიდან სიდიდით გამოირჩევა №45 და № 61 სათავსი, რომელთა დმ-ია 4,40 მ და 4,0 მ-ია. ხოლო №58-ე სათავსის დმ-ია 3,50 მ, №62-ის კი 3,30 მ.

№58 სათავსის კედელს, რომელიც მდებარეობს BD-I-24, 25 და BD-II-16, 21 კვ-ში, შიდა მხრიდან ეტყობა ცეცხლის კვალი და აგურები გამომწვარია. შენობის იატაკის დონეზე კი გაიწმინდა სამარხი №12. ჩონჩხი ესკენა მოკრუნებულად, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით.

ერთი შეხედვით №57,58 და 59 შენობა ქმნის ერთიან კომპლექსს, რომელთა ეზო სამხრეთიდან ესაზღვრება ნამოსახლარის ცენტრალურ ფართობს. ასეთივე შტაბეჭდილებას ტოვებს №30, 45 და 60 შენობა. მათი საერთო ეზო მდებარეობს №45 შენობის აღმოსავლეთით.

აღსანიშნავია 0 ხაზიდან 2,80 მ დონეზე AD-XXII-23 კვადრატში პატინიზირებული მეტალის გაურკვეველი დანიშნულების ბრტყელი საგნის აღმოჩენა, საქართველოს ერთვნულ მუზეუმში გაკეთებული ანალიზით, საგნის ძირითადი შემაღვენლობა სპილენძია, ვერცხლის მცირე მინარევით. სხვა მასალიდან აღსანიშნავია თიხის ჭურჭლის ნატეხები, თბილიანის, რქისა და ძვლის იარაღები. ხოლო მასიური ქვებიდან სანაყები, როდინები, ნავისებრი და უნაგირისებრი ფორმის ხელსაფქვავები (დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, 1985; 13-16).

1983 წელს აღებულიქნა II სამშენებლო პორიზონტის კუთვნილი №29, 34, 35, 36, 37, 48 ნაგებობა და დაიწყო III პორიზონტის შენობების შესწავლა.

ალიზის აგურის სათავსების შესწავლის შემდეგ შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე

სამშენებლო კომპლექსი. ერთ კომპლექსად შეიძლება გამოიყოს № 30, 45 და 69 სათავსი, რომელიც თავის შერიც დაკავშირებულია მეორე № 47, 58 და 60 სათავსის კომპლექსთან. ისინი ისეა განლაგებული, რომ მათ შორის რჩება ეზო. მესამე კომპლექსი №57, 55 და 59 სათავსები, ხოლო მეოთხე №60, 61, 72 და 74 სათავსი.

IV სამშენებლო პორიზონტის აღმოსავლეთ ნაწილში 0 ხაზიდან 4 მეტრზე, კულტურული ფენი და №62, 63 და 64 სათავსი დაზიანებულია შევიდი სხვადასხვა სიდიდის სამეურნეო ორმოთი. AD-XIX-16, 21 და 22 კვ-ში გაიწმინდა სამი ორმო. ცდის მიუხედავდ სტრატიგრაფიულად ვერ მოხერხდა აღიზის შენობებისა და ნახევრადმიწურების დაკავშირება (დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, 1986; 13-15).

1985-1986 წლებში ქვემო ქართლის (არუბლოს) არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა სხვადასხვა ძეგლზე.

1985 წელს არუბლო I-ზე ცენტრალური ფართობის აღმოსავლეთ ნაწილსა და № 40 ტრანზეაში ჩატარდა გათხრები. როგორც ცნობილია, №40 ტრანზეა აერთიანებს ბორცვის ძირთან გამოვლენილ ნახევრადმიწურებს და სამოსახლოს სამშენებლო პორიზონტებს. №40 ფართობზე AD-XIX-3, 8 და AD-XIX-9, 14 კვ-ში, სხვა ფართობების მსგავსად 0 ხაზიდან 5,90 – 6,0 მეტრ სიღრმეზე დაფიქსირდა თიხნარი გრუნტი, ხოლო სხვა აღგილებში კულტურული ფენი უფრო ღრმად ვრცელდება.

№40 ფართობზე, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოჩნდა კიდევ თრი ძველი ტრანზეა. პირველი გარეთა ლინზისებრი ფორმისაა და გაიწმინდა 5 მეტრზე. მისი სიგანე 4,05 მეტრია და სწორი გრუნტის დონეზე 0 ხაზიდან 7 მეტრზე მდებარეობს. მისი კედლები ცერად ეშვება ძირისკენ, რომლის სიგანე 2,15 მეტრია და თითქმის პორიზონტალურად დამხრობილია 8,30 სიღრმეზე.

AD-XIX-15 და AD-XX-16 კვარატებში ძველი ტრანზეა ჭრის №17 ნახევრადმიწურს, ხოლო 22 ფართობზე №16 ნახევრადმიწურს. №17 ნახევრადმიწურის შემორჩენილი დმ-4,20 მეტრია. მიწურის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუ-

დელი განადგურებულია ძველი ტრანშეის გათხრისას.

ძველი ტრანშეიდან დასავლეთით 6 მეტრის დაშორებით გაიწმინდა მეორე ტრანშეა, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი ჭრის №18 ნახევრადმიწურს. ნახევრადმიწურის შემორჩენილი დმ3,60 მეტრია. მისი ნაცრიანი იატაკის დონე მდებარეობს 0 ნაზიდან 7,20 მეტრზე. მიწურის დაზიანებულ სამხრეთ ნაწილში გაიწმინდა თიხნარი ფენა, რომელიც ალბათ აქ მოხვდა ძველი ტრანშეის გაჭრის დროს. ტრანშეას ჩრდილოეთი კედელი ციცაბოდ ეშვება ოვალურ ძირზე და მდებარეობს 0-ნაზიდან 9,83 მეტრზე. სამხრეთ კედელს 0-ნაზიდან 8,50 მეტრზე აქვს 0,70 მ ვიწრო ბაქნისებრი ფართობი, შემდეგ კი ციცაბოდ ადის მაღლა კულტურულ ფენაში 0,45 მ სიგანის თხემით, რომელიც მიემართება წრიულად ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. №40 ფართობზე ალიზის ნაგებობები არ დადასტურდა. მხოლოდ ტრანშეის თხემზე გაიწმინდა ორი ნაგებობის ფრაგმენტი. გამოხრელთა აზრით ძველი ტრანშეას თხემი წარმოადგენს ნამოსახლარის საზღვარს. ხოლო თვით ტრანშეა თავდაცვითი სისტემის ფუნქციას ასრულებდა. აქ პირველმოსახლეთა კვალი შეინიშნება ნახევრადმიწურებში, რომლებიც დაზიანებულია მოგვიანოდ გაჭრილი ტრანშეებით. მონაპოვარი მასალიდან აღსანიშნავია №40 ფართობში აღმოჩენილი მოხატული კერამიკის ფრაგმენტები (Д. გოგელია, Л. ჭელიძე და... 1991; 10-11).

არუბლო VI. პარალელურად ქსავედიციამ არუბლო I-დან ჩრდილო-აღმოსავლეთით 700 მეტრზე შეისწავლა ყორდანული სამარხის შესწავლის შემდეგ დაიწყო ნამოსახლარის შესწავლა. 6X6 მეტრზე გაჭრილ საკონტროლო თხრილში აღრესამიწამოქმედო კულტურის ფენის სისქე ერთ მეტრამდე. ნამოსახლარზე რაიმე ნაგებობის კვალი არ დადასტურდა, ხოლო ველის დონიდან 0,20-0,30 მ სიღრმეზე კულტურული ფენა ჭარბად შეიცავდა არქეოლოგიურ მასალებს. ფენაში აღმოჩნდა ასევე ბათქაშის რამდენიმე ფრაგმენტი და ბრტყელ ზედაპირიანი ქვა, რომელ

იც შესაძლოა ბოძის საყრდენი ყოფილიყო. 0,30-0,40 მეტრ სიღრმეზე გამოვლინდა სამი ორმო.

ორმოები ოვალურია. მათი დიამეტრი 0,80-0,90 მ-ია, ძირისკენ თდნავ ფართოვდება. სიღრმე შეადგენს 0,30-0,50 მ-ს (ტაბ. LXIV. 1). ნამოსახლარზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ობსიდიანის, ძვლისა და ქვის იარაღები.

თიხის ჭურჭლი ბრტყელმირიანია, ზოგი თდნავ გამოყვანილი ქუსლით, რამდენიმე ფრაგმენტს აქვს რელიეფური ორნამენტი, კოპი და რელიეფური სარტყელი. ზოგს პირს კვემოთ აქვს გამჭოლი ნახვრეტი, ორს კი მიძრწილი აქვს ოვალურგანიკვეთიანი ყური. აქ ასევე გვხვდება ირიბი ხაზებით პირდაჭდებული ჭურჭლის ნატეხი და თიხის კვირისთავი (ტაბ. LXIV. 1-LXV). ასევე მრავალფეროვანია ნატკეცი ქვის იარაღები (ტაბ. LXVI.), ხოლო ძვლის სადგისი ორი ცალია, საპრიალებელი კი – ერთი.

წითელი სოფელი. შემდეგი ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარი ექსპედიციამ შეისწავლა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხატისსოფლის (ყოფილი წითელი სოფელი) ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კმ-ზე (ტაბ. I). აქ გათხრილ 18 ორმოში, რომელთა შემორჩენილი სიღრმე 0,30-1,10 მეტრია აღმოჩნდა აღრესამიწამოქმედო კულტურის მასალა. ორმოები ძირისკენ ფართოვდება, ხოლო პირის დიამეტრია 0,60-1,10 მ. (ტაბ. LXXVI-LXXVII).

ორმოებში აღმოჩნდა ხელით ნაძერწუხეშ თიხის ჭურჭლის ნატეხების კუცში ურევია დანაყილი ობსიდიანი. პირზე დატანილი აქვთ ირიბი ნაჭდევები, ფოსოები, ხოლო ერთ ნატეხის ეტყობა საგარცხელისებრი შტამპით ირიბად დატანილი წერტილოვანი ორნამენტი. მცირე რაოდენობით აღმოჩნდა კაუისა და ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები (ტაბ. LXXIX), ერთი გატეხილი ხელსაფქვავი (Д. გოგელია და... 1991; 10-14. დ. გოგელია, ლ. ჭელიძე 1992; 48-62). და ასევე სხვადასხვა დანიშნულების მასიური ქვისგან დამზადებული იარაღები (ტაბ. LXXVIII).

მაშავერას გორა. ქვემო ქართლის (არუბლოს) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თავისი

მრავალ წლიანი მუშაობის ბოლო, 1988 წელი მნიშვნელოვანი აღმოჩენით დასრულდა.

როგორც ცნობილია ექსპედიცია სახელმწიფო დაფინანსებით მხოლოდ არუხლო I-სა და წოვის ნამოსახლარზე მუშაობდა. დანარჩენი ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარები არუხლო II, III და VI, წითელი სოფელი, ასევე ბრინჯაოს სანის სხვადასხვა პერიოდის ყორდანული სამარხები და შუა საუკუნეების ნამოსახლარები ახალმშენებლობებთან იყო დაკავშირებული. ექსპედიციამ ადრესამიწათმოქმედო კულტურის სრულიად უცნობი ახალი ნამოსახლარი შეისწავლა 1988 წელს. ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდინარე მაშავერას მარჯვენა ნაპირზე, სოფელ სატავეთთან (ყოფილი სოფ. პატარა ახმედლო) 2 კმ-ის მოშორებით (ტაბ. I). აქ მეცხოველეობის ფერმის მშენებლობისას დაზიანდა არქეოლოგიური მასალის შემცველი 3 მეტრი სიმაღლის ბორცვი.

ექსპედიციამ გათხარა სამშენებლო ზონაში მოქცეული ბორცვის ჩრდილოეთი დაფერდება (ტაბ. LXVII. 1, 2). გასათხრელი მონაკვეთი დაიყო 20X20 მ ფართობებად (ტაბ. LXVIII). და დაიფარა კვადრატთა ბადით (ტაბ. LXVIV. 1). სამუშაოები ჩატარდა AB, AC, BB, BC ფართობზე სადაც, მთელ ფართობზე გამოჩნდა ალიზების გროვა, გამომწვარი ფენები, მოყითალო თიხნარი და ქვის კედლის ფრაგმენტები. ქვის კედელი BB 14 კვ-ში კვეთდა ალიზის შენობას, ასევე AB 96 კვ-ში ქვის კედელს დაზიანებული ჰქონდა №1 შენობის ჩრდილოეთი ნაწილი. ქვის კედლების ფრაგმენტების გამო ძნელია მათ დანიშნულებასა და გაგმარებაზე საუბარი. აქ ძირითადად ჩნდებოდა განვითარებული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი კერამიკა, მათ შორის მოჭიქულიც.

AB 06, BB 05 კვ-ში გამოვლინდა 3,50 მ დიამეტრის სწორკუთხა, ამოზურგული ალიზის აგურებით ნაგები ოვალური ფორმის №1 შენობა (აგურებს აქვთ ამოზურგული ზურგი, სწორი კუთხე და მათი ზომა ძირითადად

შეადგენდა 40X20X10 სმ-ს). მას სხვადასხვა მხრიდან ებმის 4 კედელი, რომელთაგან ერთ-ერთი გადის გაუთხრელ ფართობში. სავარაუდოდ ეს არის ადრესამიწათმოქმედო კულტურისთვის დამახასიათებელი საცხოვრებელი კომპლექსი.

AB 79-89 კვ-ში 0 ხაზიდან 3,54 მეტრზე გაიწმინდა 1,50 დიამეტრის №10 შენობა, რომელიც სამხრეთიდან ლია იყო, ხოლო აღმოსავლეთით მას ებმის ტიხარი.

AB 77-78 კვ-ში 0 ხაზიდან 3,60 მეტრზე აღმოჩნდა №11 კედლის ნაშთი, რომელიც აღმოსავლეთით ჩაჭრილი იყო შუა საუკუნეების დიდი ზომის ქვევრით, ხოლო დასავლეთით ქვაყრილის მიერ. ქვაყრილს აქვს დაზიანებული №12 კედელიც BB 14 კვ-ში. AC 60 კვ-ში 0 ხაზიდან – 2,68 მეტრზე, დასავლეთი ნაწილში გაიწმინდა 0,55 დიამეტრის თიხის კერა, რომელიც მდებარეობს – 3,90 მ დონეზე.

ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნატეხები ნაძერწია ხელით, კვეში ეტყობა არაორგანული მინარევები, ჭურჭლის ზოგიერთი ნატეხის ზედაპირი ნაპრიალებია. ერთი ნატეხი შეიცავდა ორგანულ მინარევებს, ხოლო რამდენიმე ნატეხის ზედაპირი შეღებილია მოწითალოდ. ძირითადად წარმოდგენილია ქილისებრი ფორმის ბრტყელძირა ნატეხები, ასევე გახვედება სწორტანიანი და პირგადაშლილი ჭურჭლის ნატეხები. ორ ნატეხს აქვს მცირედ მოყრილი პირი. ორნამენტი ძირითადად რელიეფურია – კოპები და ტეხილი ხაზები. საინტერესოა ჭურჭლის ძირი, რომელსაც მოგრძო ოვალური ფორმა აქვს (ტაბ. LXX. 1, 2). ნატეხეცი მასალიდან იყენებდნენ როგორც ობსიდიანს ისე კაჟს. უფრო მეტია ლამელები. გულგულებიდან 2 კაჟისაა, 2 ობსიდიანის. ასევე აღმოჩენილია ორი სატეხისებრი იარაღი, გაპრიალებული ქვები, მასიური როდინი, გრდემლი, სათხრელი ჯოხების ქვის დამამდიმებლის ნატეხი, ხელსაფქავი (ზედა ქვა), ქვის საპრიალებელი (ტაბ. LXXI. 2 - LXXII), სადგისები, ირმის რქის თოხის 4 ფრაგმენტი და ძელისგან დამზა-

დებული სხვადასხვა სახის იარაღები (ტაბ. LXXI. 1). გამოხატულთა აზრით ეს ნამოსახლარი უფრო ადრეულია ვიდრე არუხელო და ხრამის დიდი გორა.

ქსპედიციამ პარალელურად სოფელ ზემო არქევანთან (ყოფ. ქოშა ქილისა), ორსაუდრების ეკლესიიდან 40 მეტრზე სკოლის ასაშენებლად გათხრილ ქვაბულში შეისწავლა შუა საუკუნეების ნამოსახლარი, ხოლო 1 კმ-ით ჩრდილოეთით ბრინჯაოს ხანის ყორდანი (Д. გოგელია, Л. ჭელიძე, 1997; 30-35).

ამით დასრულდა 1988 წელს ქვემო ქართლის (არუხელოს) არქეოლოგიური ექსპედიციის საველე არქეოლოგიური პრელევა-ძიება.

ქვემო ქართლის (არუხელოს) ექსპედიციის მონაწილეთა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ გათხრების დამთავრებამდე 1979 და 1984 წლებში ორ კრებულში გამოაქვეყნეს ყველა ძირითადი მოსაზრება ნამოსახლარზე გამოვლენილი სამშენებლო ტრადიციის, მოპოვებული მასალის, მეურნეობის ფორმებისა და განსაკუთრებით წყალმომარაგებისა და სარწყავი სისტემის შესახებ. ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავთ 1979 წელს გამოქვეყნებულ ე.წ. “სველი” და “მშრალი” თხრილებისადმი მიძღვნილ სტატიებს.

I კრებულში კვლავ აქტუალურია არუხელო I-ის წყლით მომარაგებისა და საირიგაციო სისტემის მოწყობის საკითხი, განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია №11 და №13 საკონტროლო ტრანზეაში გამოვლენილ ორ ძველ თხრილზე (ტაბ. IX. 1, 2).

კ. მაცხონაშვილის აზრით “განაპირა” თხრილი (სველი) თავის დროზე გაჭრილია პლიპლეისტოცენური ასაკის მიკროკონგლომერაციების ლინზებთან მტკიცედ შეცემნებულ ქვიშიანი თიხების წყებაში თხრილის შევსება ორ განსხვავებულ ლითოლოგიურ დასტად იყოფა. ქვედა 0,8 მ სისქის შევსება გამოირჩევა შავი ფერის ჰუმურის შემცველობით, რომელიც დაღექილია 10 სმ სისქის ზოლებად და ურევია პორფირიტის,

ალბიტოფირის, 2-3 სმ ზომის ქვარგვალების და სხვა პეტროგრაფიული შემადგენლობა. ასევე კარგად ჩანს ტირიფის, ლაქაშის, ლერწამის და ტენიანი გარემოსათვის დამახასიათებელი სხვა მცენარეთა ნაშთები. თხრილში დალექილი თიხნარი არ უნდა იყოს მოძრავი წყლისთვის დამახასიათებელი ნალექი, თუმცა არც გამორიცხვა შეიძლება. ჰუმურის პლიტურ თიხნარს აღევს ორი-ორნაცევარი მეტრი სისქის დელუვიური გენეზისის ნაცროვან-ქვიშიანი თიხების მორიგეობა. ლინზები 35-40° დაქანებულია სამხრეთით და ამ მიმართულებით ისოლებიან. ავტორის დაკვირვებიდან საინტერესოა №11 ტრანზეას სამხრეთ კიდეში საალიზე თიხისთვის განკუთვნილი ბრტყელძირიანი ორმო, რომლის ფსკერი დაფარული იყო სხვადასხვა ქანების მიკრონატებით და აზელილი თიხის 1-3 სმ სისქის შეზავებული ფენით (კ. მაცხონაშვილი, 1979; 33-34).

ვ. კოლესნიკოვი ცოტა საეჭვოდ უყურებს “სველი” და “მშრალი” თხრილების ხელოვნურობას, თუმცა არ გამორიცხავს ნამოსახლარზე ცხოვრების ადრეულ ეტაპზე დიდი მოცულობის წყლის გამოყენებას. მისი აზრით საინტერესოა “სველი” თხრილის 11,5 მეტრიანი სიგანე, სადაც გაეტეოდა მდ. მაშავერას გამდინარე წყლის მთელი მოცულობა. ის ნაწილობრივ იზიარებს ტ. ჩუბინიშვილის შეხედულებას, რომ “სველი” თხრილი წარმოადგენდა წყალსატევს, საიდანაც ხდებოდა წყლის გამოყენება სარწყავად, თუმცა მისი აზრით უფრო მოსახერხებელი იქნებოდა მცირე ზომის რუს გაჭრით წყალი გაეყვანათ საჭირო მიმართულებით. ძველი თხრილების სარწყავად გამოყენების დასამტკიცებლად კი საჭიროა პლევის გაგრძელება (B. კოლესნიკოვ, 1979; 35-36).

გ. ლისიცინა კი ყურადღებას ამახვილებს №13 ტრანზეაში გამოვლენილ ხელოვნურ თხრილზე, რომელიც განსხვავებულია სამოსახლოს აღმოსავლეთ და სამხრეთ ძირიბაზე აღმოჩენილი ორი ძველი თხრილისგან, არა მხოლოდ ფორმით, არამედ ზომითაც.

№13 ტრანშეაში აღმოჩენილი ძველი თხრილი ვარცლისებ-ბურია, აქვს ციცაბო კიდეები და ბრტყელი ძირი. ეს თხრილი გაჭრილია სხვადასხვა წვრილ ჩანართებიან მოყვითალო თიხნარ გრუნტში. თხრილის ორივე კიდეზე დევს იგივე თიხა, რომელიც წარმოქმნილია ძველი თხრილის გაჭრისას ამოყრილი თიხისაგან. სამოსახლოს ორ სხვა მონაკვეთზე დაფიქსირებული ორი ძველი თხრილის ზომა 9,5 მ X 2 მ; 11 მ X 5 მ. გაცილებით მეტია №13 ტრანშეაში გამოვლენილ ძველი თხრილის ზომისგან, რომლის სიგანე ზედა ნაწილში შეადგენს 4,7 მეტრს, სიღრმე – 1,6 მეტრს, სადაც ჩამდგარი წყლის სავარაუდო დონე შეიძლება ყოფილიყო 1-1,2 მ.

გ. ლისიცინას დაკვირვებით თხრილების შეგსება გამოირჩევა მექანიკური ნაერთების შეფერილობით, რომლის ძირიდან 0,60 მ სისქეზე მოშავო-მოყავისფრო-მოწაბლისფრო თიხნარს ურევია კერამიკა და ნახშირის ფრაგმენტები, როგორც ჩანს დანალექს ერთვოდა დელუვიური ჩამონარეცხი. თხრილში ამ ფენას აღვას ქვიშიანი, თიხიანი, მეტად ჭრელი დელუვიური დანალექი, რომელსაც უფრო მეტი რაოდენობით ურევია კერამიკა, ძვალი, ქვა და ნახშირი. ამ დანალექს გარდნა ეტყობა ნამოსახლარის მხრიდან. საყურადღებოა, რომ თხრილის ძირის დონე დრმავდება ჩრდილოეთ ნაწილში და სავარაუდო წყლის დინება ამ მონაკვეთში უხვევდა აღმოსავლეთით.

№13 ტრანშეაში გამოვლენილი ძველი თხრილის ფორმა და ზომა შეესაბამება მომიჯნავე რეგიონების არიდული ზონის სარწყავ არხებს და სავარაუდო ეს წარმოადგენდა არა სამოსახლოს ირგვლივ გაჭ-

რილ თხრილს, არამედ სარწყავ არხს. ეს არხი სავარაუდოდ წყალს ატარებდა არუხელო I-მადე, თუმცა მას არ ეტყობა რაიმე შეკეთების კვალი და ალბათ ის დიდხანს არ ფუნქციონირებდა. შესაძლოა ენეოლითის პერიოდში ქვემო ქართლის ვალი ირწყვებოდა, მაგრამ ამის დასამტკიცებლად დამატებითი სამუშაოებია ჩასატარებელი. დასაზუსტებელია მორწყვის ხასიათი, რომელიც ალბათ უფრო არარეგულარულ ხასიათს ატარებდა (Г. Лисицина, 1984; 85-89).

ი. კიკვიძე, ხაზს უსვამს ტ. ჩუბინიშვილის დამსახურებას, რომელმაც პირველმა ივარაუდა ჯერ კიდევ ენეოლითის პერიოდიდან ქვემო ქართლში სარწყავი მიწათმოქმედება. შემდეგ იგი განიხილავს ტ. ჩუბინიშვილისა და გ. ლისიცინას მოსაზრებას არუხელო I-ის სამ მხარეს აღმოჩენილი კონფიგურაციით, დონით და მიმართულებით ერთმანეთისაგან განსხვავაბულ ძველ თხრილებს და გამორიცხავს ბორცვის ირგვლივ ერთიანი წყალსაცავის არსებობას. მისი აზრით თითოეული “სველი” თხრილი ალბათ დამოუკიდებელ განმტკიცებას წარმოადგენდა და არხებიც დროებით მოქმედებდნენ. ქვემო ქართლში ხელოვნური მორწყვის არსებობაზე შეიძლება მიუთითებდეს, აქ ენეოლითში დროის ხანგრძლივ მანძილზე, ერთ ადგილას ცხოვრების უწყვეტი ქვალი და ისეთივე კლიმატი, როგორიც დღეს არის. მისი შეხედულებით გორა ნამოსახლარების მწარმოებლური მეურნეობის ბაზა მესაქონლეობაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული და აქ პირველად სათიბები უნდა მოერწყაო, რომელმაც საფუძველი დაუდო სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებას (ი. კიკვიძე, 1976; 30-39).

თავი III.

დასახლების ფიატ, არქიტექტურა, სამშენებლო ტექნიკა

ქვემო ქართლის (არუელოს) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბოლნისის და მარნეულის მუნიციპალიტეტში გათხრილ ადრესა-მიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებს რიგ საერთო ნიშნებთან ერთად, განმასხვავებელი ნიშნებიც ახასიათებთ.

რა თქმა უნდა მათი პირველი განმასხვავებელი ნიშანია დასახლების ტიპი. ამ მხრივ ექსპედიციის მიერ შესწავლილი ნამოსახლარები შეიძლება ორ ჯგუფად დაყორო.

პირველ ჯგუფში შედიან წოფი, არუელო VI, წითელი სოფელი და დაზვერვებით შესწავლილი ჯავახი და დმანისი. ხოლო მეორე ჯგუფის ნამოსახლარებია არუელო I-III და მაშავერას გორა. პირველი ჯგუფის ნამოსახლარები ზედაპირულად არ ჩანახ, 1 მეტრამდე სისქის კულტურული ფენა მდებარეობს თანამედროვე ზედაპირიდან სხვადასხვა სიღრმეზე. კულტურული ფენის გარდა დასახლებათა ძირითადი ელემენტია სხვადასხვა სიღრმისა და ზომის არქეოლოგიური მასალის შემცველი ორმოები, კერა და ა.შ. ამ ნამოსახლარებზე არ იყითხება გამოკვეთილი გეგმარების დასახლება.

მეორე ჯგუფის ნამოსახლარები კი პირიქით, მიწის ზედაპირიდან არიან ამოზიდული სხვადასხვა სიმაღლეზე, ხელოვნური გორა ნამოსახლარების სახით. კულტურულ ფენათა სისქე ხშირად რამდენიმე მეტრია, სადაც გამოიყოფა სამშენებლო პორიზონტები. ამ ტიპის ნამოსახლარებზე სამშენებლო მიხედვით კარგად იკითხება საცხოვრებელი და სამურნეო ნაგებობების არქიტექტურული გეგმარება, გამოკვეთილად ჩანს კულტურულ-სამეურნეო განვითარების გაცილებით მაღალი დონე და არქეოლოგიური მასალის შედარებით განსხვავებული სახე და მრავალფეროვნება.

წარმოებითი მეურნეობის ჩამოყალიბება და განვითარება პირდაპირ კავშირშია გეოეკოლოგიურ გარემოსთან, მეურნეობის დონესთან, ტრადიციასთან, საზოგადოების სტრუქტურასთან და ა.შ. ამ მხრივ საინტერესო ვითარებაა ქვემო ქართლში, სადაც ფიქსირდება ქრონოლოგიურად მონაცემები დასახლებათა ზემოთ აღნიშნული ორი ტიპი, რომელთაგან პირველი ადგილობრივ კავკასიურ ტრადიციაზეა დაფუძნებული, ხოლო მეორე მახლობელი და წინააზის ტრადიციის გაგრძელებაა ამიერკავკასიაში. ამიტომ ორივე ტიპის ნამოსახლარების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარები საქართველოში უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ითხრება და გათხრები დღესაც გრძელდება. მისი მიზანია უკათესად გავიაზროთ ნამოსახლართა კულტურულ-სამეურნეო ხასიათი და დონე.

სიამოვნებით უნდა ავდიშნოთ, რომ ექსპედიციამ წარმატებით გაართვა თავი როულ სამუშაოებს და ახალი კვლევა-ძიების ერთგარი გზამკვლევი გახდა. ექსპედიციამ ეველაზე მეტი დრო თავისი მასშტაბურობის გამო არუელო I-ს დაუთმო, მაგრამ დანარჩენი გათხრილი და შესწავლილი ნამოსახლარების მონაცემებიც მეტად მნიშვნელოვანია, ამიტომ მათ განხილვას ვიწყებთ I ჯგუფის წოფის ნამოსახლარით.

როგორც ავდიშნეთ, წოფის ნამოსახლარი ადრესამიწათმოქმედო კულტურის სხვა ნამოსახლარებთან შედარებით ყველაზე ადრე, 1957 წელს მოექცა მკვლევართა უურადღების ცენტრში და ქვემო ქართლის (არუელოს) ექსპედიცია გარკვეული შეალებებით სწავლობდა მას 1965, 1969, 1973, 1976 წლებში.

კელზე მდებარე არუელოს ჯგუფის ხე-

ლოვნური გორა ნამოსახლარებისგან განსხვავებით წოფის ნამოსახლარი მდებარეობს შემაღლებულ კონცხზე, სადაც ზემოთ აღნიშნულ წლებში გაიჭრა ერთმანეთს მიბმული 9 თხრილი. სულ გაითხარა 270 მ² ფართობი, სადაც გაიწმინდა სხვადასხვა სიღიდის და სიღრმის 31 ორმო 0,9 მ-დან 2 მეტრამდე დმ-ით, ხოლო სიღრმით კი 0,15 – 0,60 მ-მდე. ასევე ერთი, ქვებით შემოწყობილი ნაცროვანი კერა, ზომით 6X1,2 მ და მცირე ზომის ბრტყელი ქვებით ნაგები სათავსი.

წოფის ნამოსახლარის ერთ-ერთ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ გათხრილ ფართობზე, როგორც ზედა ფენა – პუმუსი (0,15 სმ) ისე მომდევნო ლორდნარევი (0,15 სმ) და რა თქმა უნდა ერთი მეტრი სისქის ნაცროვანი კულტურული ფენა შეიცავდა არქეოლოგიურ მასალებს. წოფის ნამოსახლარზე რაიმე საყურადღებო არქიტექტურული გეგმარების შენობები არ დადასტურდა. ნამოსახლარი დაზიანებული იყო მრავალ-წლიანი მოხვნისა და დაქანებულ ფერდობზე ეროზიული პროცესების გამო. წოფში ნამოსახლარის ძირითადი ელემენტია ყვითელ თიხნარში ჩაჭრილი ორმოები, რომელთა ნაწილი მიჩნეულია საცხოვრებელ მიწურებად. ნაწილი ალბათ სამეურნეო დანიშნულების ან შესაძლოა საკულტო ორმოს წარმოადგენდა. №1-ლი 1 მ დიამეტრის ორმოს იატაკი და კედელი ბათქაშით იყო მოლესილი, ხოლო იგივე დიამეტრის №12 ორმოს იატაკი რიყის ქვებით იყო მოგებული. ასევე ქვებით შედგენილი დიდი ზომის კერის იატაკი მოგებული იყო დიდი ბრტყელი ქვებით. კერის 0,30 სმ სისქის ნაცროვანი ფენა ჭარბად შეიცავდა თიხის ჭურჭლის, ხელსაფქვავის, სანაჟის, ბათქაშის ნაგებებს და ობსიდიანის იარაღებს. ორმოებში არქეოლოგიურ მასალებთან ერთად ჩნდება მოზრდილი ზომის ქვები, რომელთა ფუნქცია გაურკვეველია. ორმოების უმეტესობიდან თითოეული ასზე მეტ არქეოლოგიურ მასალას შეიცავდა. №3 ორმოში თიხის ჭურჭლის, ბათქაშის, ძროხის, ცხვრის, ჯიხვის ძვლებთან ერთად 277 ობსიდიანის იარაღ-ნამზადი აღმოჩნდა, ხოლო არ-

ქეოლოგიური მასალის შემცველი №21 ორმო სხვებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მოტკებილ იატაკზე იდო დაზიანებული ოვალური ხელსაფქვავი, რომლის თავდაპირველი სიგრძე 55 სმ უნდა ყოფილიყო (ლ. ნებიერიძე, 2010; 10-40).

წოფის ნამოსახლარი დასახლების ტიპის, არქიტექტურისა და სამშენებლო ტექნიკის შესახებ მეტი ხელშესახები მასალა არ არსებობს, ამიტომ მხოლოდ ვარაუდის დონეზე თუ შეიძლება საუბარი. მკლევართა აზრით ამ ტიპის უმრავლეს ნამოსახლარზე ივარაუდება მიწისზედა, ბათქაშით შელესილი ხის მსუბუქი კონსტრუქციები.

წოფის მსგავსია წითელ სოფელთან გათხრილი ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარიც, სადაც გაიწმინდა 0,60-1,10 დიამეტრის და 0,30-1,10 მ სიმაღლის 18 ძირფართო ორმო. მიჩნეულია რომ შედარებით ვიწრო პირიან ორმოებს პირზე ეფარათ მათში ჩაგარდნილი ბრტყელი ქვები. აქაც ნამოსახლარის ძირითადი ელემენტია ორმოები, სადაც ძირითადად აღმოჩნდა არქეოლოგიური მასალა.

ამავე რიგისაა არუხლო VI-ც, სადაც 6X6 მ² ფართობზე გამოვლინდა არქეოლოგიური მასალის შემცველი 1 მ სისქის კულტურული ფენა და 0,50 მ სიღრმისა და 0,80 მ დიამეტრის მქონე სამი ორმო, აქაც რაიმე გამოკვეთილი გეგმარების საცხოვრებელი ან სამეურნეო ნაგებობა არ დადასტურდა.

სულ სხვა ვითარებაა არუხლოს ჯგუფის გორა ნამოსახლარებზე და უმთავრესად არუხლო I-ზე. ამ ტიპის ნამოსახლარების არქიტექტურასა და სამშენებლო ტრადიციაზე ბევრია დაწერილი და კიდევ ბევრიც დაიწერება. თუმცა საკითხი იმდენად ფართოა და პრობლემური, რომ შევეცდებით გამოვთქმათ ზოგიერთი ვარაუდი არუხლო I-ის გარშემო.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ არუხლო I-ის მსგავსი გორა ნამოსახლარების მოსახლეობა წარმოადგენს წარმოებითი მეურნეო-

ბის მრავალდარგოვან, სოციალურად კარგად ორგანიზებულ უჯრედს, რომელთაც შეუძლიათ საყოფაცხოვრებო და კულტურულ სამეურნეო პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა.

როგორც ჩანს, ადრესამიწათმოქმედო კულტურის შემქმნელი მოსახლეობა, ზედმიწევნით კარგად იცნობს კონკრეტული რეგიონის გარემო და ბუნებრივ პირობებს და მიზანმიმართულად ირჩევს დასასახლებელ ადგილს. არ გვითხოვთ დღეს ბოლომდე ჩავწერ არუხლო I-ის მოსახლეთა აზროვნების სამყაროს და ჩანაფიქრს, მაგრამ აქ ჩატარებული მრავალწლიანი გათხრების მონაცემების საფუძველზე შეიძლება ზოგიერთი სიახლე შევიტანოთ ადრე გამოთქმულ მოსაზრებებში.

მკვლევართა მიერ აღიარებულია, რომ არუხლო I-ის მსგავსი გორა ნამოსახლარების წარმოებით მეურნეობაზე დაფუძნებული ბინადარი მოსახლეობა, ერთ ადგილზე ხანგრძლივი ცხოვრებისა და აღიზის შენობების პერიოდული ნგრევის, ადგილის მოსწორებისა და მათ ადგილზე ახალი შენობების აგების გამო, დასახლება რელიეფთან შედარებით სიმაღლეში მატულობდა და მოსახლეთა თანდათანობით ზრდის შედეგად ფართოვდებოდა კიდეც. ასე იქმნებოდა წარმოებითი მეურნეობის ადრეულ და მომდევნო ეტაპზე მოწინავე რეგიონებში რამდენიმე მეტრი სიმაღლის ნამოსახლარები, რომელთა დიამეტრი ზოგჯერ რამდენიმე ჰექტარსაც აჭარბებს. ზოგიერთი სადისკუსიო საკითხის გასაღებიც სწორედ აქ დევს. დღეს რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ იქმნებოდა არუხლო I-ზე დასახლება, დახლოებით ასეთი სურათის წარმოდგენა შეიძლება. ტრადიციული არქიტექტურული გეგმარებისა და სამშენებლო ტექნიკის მიმდევარი მოსახლეთა ჯგუფი სპეციალურად ირჩევს მშენებლობისათვის ხელსაყრელ ადგილს, სადაც მოიპოვება სამშენებლო თიხა, რომლის სამშენებლო მასალად ქცევისათვის აუცილებლად საჭიროა წყალი.

მნელი წარმოსადგენია ერთ ჰექტარზე მეტ ფართობზე, 6 მეტრი სიმაღლის ბორცვის შესაქმნელად თიხის კარიერიდან რამდენი და რა რაოდენობით სამშენებლო მასალის მოთხოვთ იყო საჭირო. არუხლო I-ის მოსახლეობისთვის ეს იქნებოდა ყველაზე რთული სამუშაო და ისინიც შეეცდებოდნენ ადგილზე მოეპოვებინათ სამშენებლო თიხა, ვინაიდან შორიდან მისი მოტანა რამდენჯერმე გაართულებდა მათ ისედაც მძიმე შრომას. დღეს ძნელია გამოვიცნოთ, თუ რატომ აირჩიეს კონკრეტულად ეს ადგილი, როცა მარნეულის ვალზე და არუხლო I-ის გარშემო საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, სადაც დასახლება და სამშენებლო მასალის მოპოვება შეიძლებოდა. მეტი რომ არ გავაგრძელოთ, საკითხი პირდაპირ კავშირშია ბორცვის გარშემო და მის შიგნით გამოვლენილ თხრილებთან, რომლის შესწავლას ექსპედიციამ დიდი დრო დაუთმო.

ქსპედიციამ ჯერ კიდევ მუშაობის პირველ წლებში ბორცვის აღმოსავლეთ სამხრეთ და დასავლეთ ნაწილში №5, №11 და №13 ტრანშეაში დაადასტურა ორი ძველი “მშრალი” და “სველი” თხრილი, რომლებიც თავიდანაც მიიჩნიეს თავდაცვით და სარწყავი თხრილებად. განსაკუთრებით კი გარეთა “სველი” თხრილი წყალგამტარ არხად იქნა აღიარებული, თუმცა საბოლოოდ ერთმნიშვნელოვანი აზრი ვერ ჩამოყალიბდა. ეს საკითხი დღესაც ლიად რჩება. გამოთქმული გარაუდების მიუხედავად, საჭირო იქნება მომავალი სპეციალური კვლევების ჩატარება. რაც შეეხება ძველი თხრილების ერთ-ერთ უპირველეს ფუნქციას ჩვენი აზრით ეს იყო დასახლების მომარაგება სამშენებლო თიხით, რომლისთვისაც იყენებდნენ შავ განმარტულ ნიადაგს და მის ქვეშ არსებულ ყვითელ თხნარს. ამ საკითხზე გაკვრით საუბრობდა ტ. ჩუბინიშვილი. სავარაუდოდ თავდაცვითი შიდა თხრილის (იგულისხმება “მშრალი”, ავტორთა შენიშვნა) უსწორმასწორო სიღრმე გამოწვეული უნდა ყოფილიყო ადგილის რელიეფითა და თხრილიდან თიხის სამშენებლო მასალის არათანაბარი ამოღების

გამო, თუმცა ავტორის აზრით ეს მხოლოდ სამუშაო პიპოთებაა (Т. Чубинишвили, 1971; 32). ჩვენ სრულიად ვეთანხმებით სამუშაო პიპოთების სახით ავტორის გამოთქმულ მოსაზრებას და პირდაპირ ვიტყვით რომ, ბორცვის გარშემო სამ მონაკვეთზე გამოვლენილი “შშრალი” თხრილის უპირველესი ფუნქცია იყო დასახლების მომარაგება სამშენებლო თიხით. როგორც ცნობილია, შემდგომი სამუშაოებით დადგინდა, რომ დასახლების შიგნით კიდევ არსებობდა სხვადასხვა კონფიგურაციის თხრილები, რომელთა ნაწილი ნახევრად მიწურებს ჭრიდა, ნაწილი კი უშუალოდ დასახლების ქვეშ მდებარეობდა. BD VIII 16, 21, 22, 23 და BD VII 3, 4 კვ-ში დადასტურდა სულ სხვა კონფიგურაციის სამი თხრილი, რომელთაც დ. გოგელიამ თიხის კარიერის ქვაბულები უწოდა. მათ შევსებაში მცირე რაოდენობით აღმოჩნდა არქეოლოგიური მასალა (Д. Гогелия, Л. Челиძე, 1984; 13-15). ო. ჯაფარიძის აზრით შუდავერის გორაზე ძირითადი სამშენებლო მასალა იყო თიხა, რომელსაც მოიპოვებდნენ აღგილზე (О. Джапаридзе, 1989; 183). იმირის გორის ნახოვდარის დასავლეთ ნაპირთან გაჭრილ სადაზვერვო თხრილში გამოვლინდა 6,5 მ. სიგანისა და 1,25 მ. სიღრმის ქველი თხრილი თუ არხი, რომელიც არუხლო I-ზე გამოვლენილ თხრილებს მოგვაგონებს (ა. ჯაფარიშვილი, 1972; 8-9).

ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, იარიმ თეფუ I-ის გამოხელთა აზრით, მომავალი დასახლების ადგილას ზედაპირის მიზანმიმართული, ხელოვნური ცვლილების ნიმუშებია სხვადასხვა სიდიდის, სამშენებლო თიხის მოსაპოვებლად ამოთხრილი ქვაბულები. ისინი იარიმ თეფუ I-ზე გამოვლენილია გრუნტამდე გათხრილ ყველა კვადრატზე. ერთ-ერთი სწორი ოთხეუთხა ფორმის ქვაბულის სიგრძე 4,5 მ-ზე მეტი იყო, სიგანე-3 მეტრი, ხოლო სიღრმე გრუნტზი 1,02 მ. ქვაბულის სამხრეთ ნაწილში კი გამართული იყო 3X1,5 მ ზომის ვარცლისებრი ღუმელი (Р. Мунчაев, Н. Мерперт, 1981; 29).

ამ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას განჯა-ყაზახის ველზე მდებარე შომუ თეფუს ნამოსახლარის გამოხრელი ი. ნარიმანოვი. კულტურული ფენის ქვეშ, გრუნტზი 2 მეტრ სიღრმეზე სამშენებლო თიხის ამოსაღებად გაჭრილ ორმოს შევსებაში აღმოჩნდა მრავალრიცხვანი არქეოლოგიური მასალა. მისი განმარტებით გაიწმინდა 10 მეტრი სიგრძის ორმოს მხოლოდ მცირე ნაწილი (И. Нариманов, 1987; 15). ამ ორმოზე ოდნავ განსხვავებულ ინტერპრეტაციას იძლევა ტ. ახუნდოვი. დაახლოებით 25 მ² ყვითელ თიხნარში 2,2-2,3 მეტრ სიღრმეზე ჩაჭრილ ორმოს მკვეთრი მოსაზულობა არ ჰქონდა. ჩრდილოეთ ნაწილში მისი სიგანე დაახლოებით 2 მეტრი იყო, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მნიშვნელოვნად ფართოვდებოდა. მისი სამხრეთი ნაწილი მოჭრა ექსკავატორმა, სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი შედიოდა გაუთხრელ ფართობში. ორმო გაიჭრა აღრესამიწათმოქმედ კულტურის მობინადრეთა მიერ, თიხის მოსაპოვებლად, რომლითაც ამზადებდნენ აღიზის აგურებს და სამშენებლო მასალებს (Т. Ахундов, 2012; 20).

ყვითელ თიხნარში ჩაჭრილი აღიზის აგურებით გადაღობილი ვიწრო თხრილი დადასტურებულია, აზერბაიჯანში, ქამილ თეფუზე (B. Helwing, T. Aliev, 2012; 8-9).

ყვითელ თიხნარში ჩაჭრილი, ორი პარალელური თხრილი გამოვლინდა მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარზე, თიანეთის რაიონში, ხოლო ბადაანში (Г. Мирцхулава, Н. Мирцхулава, 1986; 30-31).

ამ საკითხზე საუბრის დასასრულს შეიძლება ავღნიშნოთ, რომ წესით ნამოსახლარზე ან მის სიახლოესში ასეთი თხრილები და ქვაბულები უნდა აღმოჩნდეს აღრესამიწათმოქმედო კულტურის თუ მომდევნო ხანის ყველა ხელოვნურ გორა ნამოსახლარზე, სადაც სამშენებლო მასალად უპირატესად თიხა გამოიყენებოდა.

არუხლო I-ზე, აღრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარის თანადროული ძვე-

ლი თხრილების აღმოჩნამ, მის შესწავლას თავისებური ელფერი შესძინა. წყალმომარაგებისა თუ სარწყავ სისტემასთან ძველი თხრილების დაკავშირებას მეტად რეზონანსული ხასიათი მიეცა და ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ ერთგვარი კრიტიკაც დაიმსახურა, არქეოლოგიური სამუშაოების თითქოს და ვიწრო მიზანმიმართულების გამო (A. ჯავახიშვილი, 1973; 74). ოუმცა სრულიად ვეთანხმებით ტ. ჩუბინიშვილის აზრს, რომ 1966 წელს არუხელო I-ზე ნამოსახლარის მისადგომებთან “სველი” თხრილების აღმოჩნამდე ნიადაგის ხელოვნური მორწყვის დაშვება არც კი ივარაუდებოდა (T. ჭუბინიშვილი, 1976; 283-290). ეს საკითხი დღესაც აქტუალურია და მისი შესწავლა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

ძველი თხრილებისა და სარწყავი სისტემის კვლევისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიუხედავად, ექსპედიციამ 1966-1985 წლებში გამოქვეშებული ანგარიშების მიხედვით, არუხელო I-ზე გათხრილ 936 ზე ფართობზე გამოავლინა 94 შენობა, ან სხვადასხვა დანიშნულების კედელი. შენობების შესწავლა ხდებოდა გამოთხრელთა მიერ გამოყოფილი სამშენებლო პორიზონტების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა შენობების განლაგებას, მათ ურთიერთ კავშირს და არქეოლოგიური მასალის ფიქსაციას. გამოყო ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე საყოფაცხოვრებო და სამეურნეო კომპლექსი. იყო ცდა გაერკვიათ ალიზის აგურით ნაშენი შენობებისა და სამოსახლოს მისადგომებთან აღმოჩნილი ნახევრად მიწურების ქრონოლოგიური ურთიერთ მიმართების საკითხი. ბორცვის ცენტრალურ ნაწილში გამოიკვეთა შენობებისგან თავისუფალი ნაცარმინარევიანი თიხნარი ფართობი, სადაც ივარაუდება ცენტრალური მოედნის არსებობა. მსგავსი სიტუაცია დაფიქსირდა იმირის გორაზე, სადაც სამი სამშენებლო პორიზონტის სიღრმეზე იხაზება ნაცრის სქელი ფერით დაფარული, დაახლოებით 12 მ² მოედანი, რომლის გარშემო შენდებოდა წრიული სათავსები (ა. ჯავახიშვილი, 1972; 8-9).

ექსპედიციამ არუხელო I-III-ზე, დასახლების ტიპს, არქიტექტურულ გეგმარებას, სამშენებლო ტექნიკას, სტრატიგრაფიას, პერიოდიზაციას მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო, მაგრამ უფრო სამართლიანია ამ საკითხების შესწავლაში შეულავერის ჯგუფის ნამოსახლარების გამოხრელებს მივანიჭოთ უპირატესობა, რაც აისახა კიდევ მათ მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში. თიხის ხსნარით, ალიზის გამოუწვავი აგურებით და ბათქაშით შედესილი წრიული გუმბათური შენობების შენებისას მკვლევარები მირითადად მიუთითებენ სამი ზომის სიგრძის, სიგანისა და სისქის აგურების გამოყენებას. ამ მაჩვენებელში უფრო მყარია აგურების სისქე 7,8,9 სმ. სამშენებლოდ გამოიყენებოდა ბაცი მოყავისფრო აგურები, მოყავისფრო თიხის ხსნარი (ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, 1967; 292-298). ეს ძირითადად გამოიყენებოდა შესავლელი კარის თუ დიობის მოწყობის დროს, ოუმცა ერთ წრიულ შენობაში დადასტურდა ორთოსტატის წყობის მსგავსი, კერტიკალურად დაყენებული აგურების წყობა. საცხოვრებელი სახლები გამოირჩევიან არა მხოლოდ სიდიდით, არამედ მასში გამართული კერით, უქრობი ცენტრისთვის. იაგაპზე ზოგჯერ ფიქსირდება 20-30 სმ სისქის თეთრი ფერის ნაცრისა და ფერფლის ფენა, რომელიც ალბათ იქმნებოდა სათბობად წიგის გამოყენების შედეგად (A. ჯავახიშვილი, 1973; 19-23).

არუხელო I-ზე ცენტრალური თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში თითქმის ზედაპირიდან გამოვლინდა დამწვარი წიგისა და ნამჯის გროვა, რომელიც ღრმად ჩადიოდა და ალბათ წარმოადგენდა ძველ მობინადრეთა გათბობის მარაგს (K. კუშნარევა, T. ჭუბინიშვილი, 1970; 21-22).

ამ საინტერესო აღმოჩნა-დაპირვებიდან სამწუხაროდ არ ჩანს ორმოში აღმოჩნილი დამწვარი წიგის მარაგი ეპუთვნოდა თუ არა ადრესამიწათმოქმედო კულტურის მოსახლეობას, მაგრამ ამ კუთხით დაკვირვება საკმაოდ პერსპექტიულია არა მხოლოდ სათ-

ბობი საშუალების დადგენის, არამედ ყოფით კულტურაში მესაქონლეობის როლის უფრო მეტად წარმოქმნის თვალსაზრისითაც.

შომუ თევეს ნამოსახლარზე წრიული შენობების სამშენებლო ტექნიკაზე განსხვავებული აზრი აქვს ტ. ახუნდოვს. მისი აზრით წრიული შენობების ასაგებად იყენებდნენ ახალ დაყალიბებულ ნედლ აგურს, რომელიც მოღუნებლია ოვალური კედლის შესაბამისად. სველ აგურებზე ჭარბად მიკრულია ნაცარი. იატაკი და კედლები ჩვეულებრივ ილესებოდა მოყვითალო ბათქაშით. ერთი აგურის მწკრივით ნაგები წრიული შენობის კედლებზე ყოველი ახალი წყობის რიგი დაახლოებით 1 სმ-ით შეწეულია ცენტრისკენ და ალბათ ასე ვიწროვდება შენობის დიამეტრი გარკვეულ სიმაღლემდე (T. Ахундов, 2012; 11-12).

არუხლო I-ზე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა სამშენებლო დონეებისა და სტრატიგრაფიის დადგენას. მრავალწლიანი სამუშაოების შედეგად არუხლო I-ზე გამოიყო ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარის კუთვნილი 7 სამშენებლო ჰორიზონტი და თითოეული ჰორიზონტისადმი კუთვნილი ალიზის აგურით ნაგები შენობები. ეს მეტად მნიშვნელოვანი დაპკირვება სტანდარტად ვერ გამოდგება, რადგან სხვა ახალ გათხრილ ფართობზე შეიძლება

განსხვავებული სიტუაცია დაფიქსირდეს. ამიტომ ახალი მონაცემები ძველის რევიზიად და ცდომილებად არ უნდა ჩაითვალოს. ისეთ მასშტაბურ დასახლებაზე, როგორც არუხლო I-ია, სამოსახლოს არსებობის სანგრძლივ პერიოდში, მის ცალკეულ მონაკვეთებზე მოსალოდნელია მეტ-ნაკლები სამშენებლო ინტენსივობა.

არუხლო I-ზე 1966-1985 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების საფუძვლზე ადრესამიწათმოქმედო კულტურის კუთვნილ ნამოსახლარზე საყოფაცხოვრებო და სამეურნეო განვითარების პროცესი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ. უძველესია სამოსახლოს შიგნით გამოვლენილი თიხის კარიერის ქვაბულები, საიდანაც ამოდებული სამშენებლო თიხით ხდებოდა განმარტეულ შავ ნიადაგზე სამშენებლო მოედნის შექმნა, სამშენებლო მასალის (აგური, შემაკავშირებელი სსნარი, ბათქაში) მომზადება და სხვადასხვა დანიშნულების შენობა ნაგებობების გამართვა. ხოლო დასახლების მისადგომებთან გარკვეულ მონაკვეთებზე გაჭრილი “მშრალი” თხრილები მომდევნო ინტენსიურ სამშენებლო პერიოდს უნდა დაუკავშირდეს. ძველი თხრილების გაჭრა ალბათ ხდებოდა წინასწარი ჩანაფიქრით, მათ აძლევდნენ სასურველ კონფიგურაციას და მიმართულებას, რომლებსაც შეეძლოთ ერთდროულად შეერულებინათ სხვადასხვა ფუნქცია.

თავი IV.

მოაღვეული მასალა

1. კერამიკა

ქვემო ქართლის (არუხელოს) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილ ადრესა-მიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებზე ადმოჩენილი მრავალრიცხოვანი თიხის ჭურჭლის ნატეხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს, როგორც ტიპოლოგიურად, გამოწვის ტექნიკისა და ორნამენტის თვალსაზრისით.

არუხელო I-ზე ხელოსნობის ერთ-ერთი გამორჩეული დარგია მეოუნეობა. აქ თიხის ჭურჭლის ნატეხები გვხვდება ყველა სამშენებლო პორიზონტში (ტაბ. XIV – XXVI), მათ შორის ძველ თხრილებსა და მიწურებშიც.

შიგიდვე სამშენებლო პორიზონტიდან მოპოვებული თიხის ჭურჭელი ნაძერწია ხელით, კეცში შესამჩნევად ურევია მსხვილ-მარცვლოვანი ქვიშა, დანაყილი ბაზალტი. ასეთი თიხის ჭურჭლის ნატეხებს შიდა და გარე სარჩული მსუბუქად აქვთ ნაპრიალები, თუმცა ემჩნევათ დამჭერების კვალი. კეცის სისქე საშუალოდ 1 სმ-ია, თუმცა გვხვდება შედარებით თხელკეციანი და სქელკეციანი ნატეხები. ჭურჭლებს გამოწვის შემდეგ აქვთ მოვარდისფრო-მოჩალისფრო, მოჩალისფრო-მონაცრისფრო ფერი. გვხვდება მოშავო ფერის ნაწარმიც. გადანატებში ერთ ან ორფერიანია, თუმცა გვხვდება სამფერიანიც. სშირ შემთხვევაში შიდა და გარე სარჩული ზოგჯერ სხვადასხვა ფერისაა. მცირე რაოდენობით გვხვდება კარგად განლუქილი, თხელკეციანი, წითელი ფერის თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელთაგან ერთს აქვს ვერტიკალური ნასვრეტიანი ცრუ ჭური.

პირის პროფილისა და ძირის მიხედვით შეიძლება გამოიყოს 3 ტიპის ჭურჭელი. 1) ბრტყელძირა ქილისებრი ფორმის ჭურჭლის

ნატეხები ცილინდრული კორპუსით და სწორი პირით. 2) ბრტყელძირა ქოთნისებრი ჭურჭლის ნატეხები მომრგვალებული ტანით და ოდნავ მოყრილი პირით. 3) ბრტყელძირა ჯამები (Т. ჭუბინიშვილი, Л. ნებიერიძე და... 1976; 55-61).

ჭურჭლის ნატეხთა უმრავლესობას ქუსლი 0,5-1 სმ-დენე გამოყოფილი აქვთ და ეტყობათ ჭილოფის სპირალური ანაბეჭდები. ჭურჭლები უყუროა მაგრამ ზოგს აქვს მრავალფეროვანი რელიეფური, გეომეტრიული ორნამენტი, მათ შორის კომბინირებულიც. გამოქვეყნებული მასალის მიხედვით შესაძლებელია ტიპოლოგიის გაზრდა და ახალი ფორმების გამოყოფა. აქ აღმოჩენილი კერამიკული ფორმები და ორნამენტი ძირითადად დამახასიათებელია შომუ თევზ-შულავერის კულტურის ნამოსახლარებისათვის.

შომუ თევზ-შულავერის კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩენილია ასევე არუხელო II (ტაბ. LV. 17, 18, 19), არუხელო III (ტაბ. LXIV. 2 - LXV) და მაშავერას გორაზე (ტაბ. LXX. 1, 2).

საინტერესოა რომ, ასეთივე სხვადასხვა სახის ორნამენტი ახასიათებს გაცილებით უფრო ადრეული ტელ-სოტოს უხეშ კერამიკასაც (Н. ბადერ, 1989; 176-178).

რაც შეეხება წოფის კულტურის ნამოსახლარების კერამიკას ის გარკვეული თავისებურებით გამოირჩევა და ზოგიერთი საერთო ნიშნის მიუხედავად განსხვავდება შომუ თევზ-შულავერის კულტურის კერამიკისგან. განსხვავებაა კერამიკის ცალკეულ ფორმებში, ორნამენტში, ჩნდება ყურიანი ჭურჭლები, მაღალხარისხოვანი კერამიკა მათ შორის ბზე ნარევიც და ა.შ. (გ. ჩიქოვანი, 2010; 83-91).

კერამიკის მიხედვთ ჩანს როგორც შომუ თეფე-შულავერის ისე წოფის კულტურის ნამოსახლარების კულტურული მემკვიდრეობისა და განვითარების ეტაპები.

2. ნატკეცი ქვის მასალა

როგორც ავღნიშნეთ, ქვემო ქართლის (არუბელოს) არქოლოგიური ექსპედიციის მიერ ადრესამიწაომოქმედო კულტურის ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალიდან ყველაზე კარგად არის შესწავლილი ქვის ნატკეცი მასალა. ეს ეხება არა მხოლოდ არუბელო I-ს, არამედ არუბელო II-ს და არუბელო III-ს და წოფის ნამოსახლარსაც.

აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწაომოქმედო ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელია ობსიდიანის ინდუსტრია, რომლის მთავარი მომწოდებელია თრიალეთის „საბადო“.

არუბელო I-ზე ბორცვის ცენტრალურ ნაწილში, 400 მ² ფართობზე ზედა ორ ჰორიზონტზე მოპოვებულ ობსიდიანის 1711 ერთეულ ნატკეც მასალას პირველი დამოუკიდებელი სტატია მიეძღვნა 1979 წელს, რომელშიც სტატისტიკურად განხილულია, როგორც პირველადი და მეორადი დამუშავების, იარაღთა სერიის, სამუშაო პირისა და გვერდების დამუშავების, ისე კომბინირებული იარაღების ტიპოლოგიური და ფუნქციონალური დანიშნულება (ქ. ჭელიძე, 1979; 19-31). ამავე წელს ასეთივე ხასიათის სტატია, ტრასოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, მიეძღვნა წოფის ნამოსახლარის ქვის ნატკეცი ინდუსტრიასაც (გ. კორიკოვა, კ. ესაკია, 1979; 45-60).

ასევე სრულყოფილად შესწავლილია არუბელო II-ისა (ტაბ. LVI - LVIII) და არუბელო III-ის (ტაბ. LVIII - LXI) ქვის ნატკეცი მასალა. აქ მოპოვებული მასალის ტექნიკურ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, წოფის მასალის მსგავსად, დამყარებულია სამ ძირითად კომპონენტზე, ატკეცვის ტექნიკაზე, მეორა-

დი დამუშავებასა და იარაღთა ტიპებზე (გ. კორიკოვა, კ. ესაკია, 1984; 38-67).

ზემოთ აღნიშნულ ნამოსახლარების ქვის ნატკეც მასალებს მიეძღვნა ლ. ჭელიძის განმაზოგადებელი სტატიაც. აღნიშნულია რომ, ქვის ნატკეცი იარაღების ტიპოლოგიური, სტატისტიკური და ტრასოლოგიური მეთოდით ანალიზი შესაძლებლობას იძლევა კარგად წარმოჩნდეს საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა მხარე. ამ მხრივ ქვის ინდუსტრიის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (ლ. ჭელიძე, 1984; 57-58).

ტრასოლოგიური ანალიზის მიხედვით რეტუშირებული და ამოდარული ლამელები ძირითადად წარმოადგენენ ნამგლის ჩასართებს, საფხეკებს, ხორცის საჭრელ დანებს, სარანდავ დანებს და საჭრისებს. დანარჩენი იარაღები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი.

არუბელო I. არუბელო I-ზე 1966-1985 წლებში გათხრების შედეგად ყველა სამშენებლო პორიზონტში აღმოჩენილია 5000 მეტი ობსიდიანის ნატკეცი მასალა. ზედა I ჰორიზონტში გამოვლინდა 1711 ერთეული, II-ში – 2480, III-ში – 578, IV-ში – 285, V-ში – VI-ში – 71. ნამოსახლარზე აღმოჩენილი ქვის ნატკეცი მასალა პირველადი და მეორადი დამუშავების ტექნიკით და ტიპოლოგიურად ერთგვაროვანია (ტაბ. XLV - LIV).

ჰორიზონტების მიხედვით გულგულათა რაოდენობა ძალიან მცირეა: I-ში – 1%, II-ში – 1%, III-ში – 4%, IV-ში – 3%, V-ში – 1%, VI-ში – 0%. მათგან ჭარბობს მცირე პრიზმელი და კონუსური გულგულები. ერთეულია დიდი ზომის გულგულები. კონუსური II-ში – 1, III-ში – 2 ერთეული. პრიზმული III-ში – 1 ერთეული.

იარაღების ნამზადებად ძირითადად გამოყენებულია მცირე და საშუალო (2 სმ-მდე

სიგანის) სწორი ან ოდნავ მოხრილი პროფილის პრიზმული ლამელები, ნაკლებია ფართო ლამელები, სამკუთხასებრი და მომრგვალო ანატკეცები. მაგრამ მესამე პორიზონტიდან დაწყებული, ქვემოთ ფართო ლამელების (2,5 სმ-მდე და უფრო მეტი) რაოდენობა მკვეთრად იზრდება.

I და II პორიზონტში ლამელების და ანატკეცების იარაღების რაოდენობა თითქმის თანაბარია, ხოლო III პორიზონტიდან დაწყებული ქვემოთ ანატკეცებზე დამზადებული იარაღების რაოდენობა თითქმის ოჯახერ კლებულობს. თითოეულ პორიზონტში ნატკეცი ობსიდიანის ნახევარს აქვს მეორადი დამუშავების კვალი.

იარაღთა მეორადი დამუშავებისათვის უპირატესად გამოიყენებოდა წვრილი დამაბლაგებელი (ნახევრად ციცაბო) და წვრილი გამაფხიანებელი რეტუში, იარაღთა ცალ ან ორივე გვერდზე. ნაკლებად გამოიყენებოდა ფართო დამაბლაგებელი ან გამაფხიანებელი რეტუში. რეტუში იარაღებზე კეთდებოდა ზურგის ან მუცლის მხრიდან. ხშირად რეტუში ფორმდებოდა ურთიერთსაპირისპირ მხარეს. ცალკეულ შემთხვევაში ერთი და იგივე იარაღზე შესაძლებელია სხვა სახის რეტუში. შესამჩნევია ბოლო ათლილი იარაღები და სასაჭრისე ჩამონატეხის გამოყენება.

არუხლო I-ზე იარაღთა ყველაზე მრავალუეროვან ჯგუფს შეადგენს რეტუშირებული ლამელები. პორიზონტების მიხედვით მათი რაოდენობა ასეთია. I-ში – 30%, II-ში – 30%, III-ში – 28%, IV-ში – 23%, V-ში – 21%, VI-ში – 27%. უფრო ჭარბობს ცალგვერდ ან ზურგის მხრიდან რეტუშირებული ლამელები.

რეტუშირებული ლამელების ჯგუფს მოსდეგს რეტუშირებული ანატკეცები. I პორიზონტში – 22%, II-ში – 22%, III-ში – 10%, IV-ში – 6%, V-ში – 6%, VI-ში – 6%. ამ ჯგუფში უფრო ჭარბობს ზურგის მხრიდან ნაწილო-

ბრივ რეტუშიანი ანატკეცები.

III პორიზონტიდან ქვემოთ შესამჩნევია ამოდარული იარაღების რაოდენობა. I-ში – 2,5%, II-ში – 5%, III-ში – 17%, IV-ში 21%, V-ში – 21%, VI-ში – 30%. უპირატესად ესენია გვერდამოდარული ლამელები, რომლებსაც იარაღის ორივე გვერდზე, ზურგის მხრიდან აქვს დამაბლაგებელი რეტუში, იშვიათია ურთიერთ-საპირისპირო რეტუში.

ბოლო ათლილი იარაღების მიხედვით სამშენებლო პორიზონტებში ასეთი სურათია. I-ში – 19%, II-ში – 14%, III-ში – 12%, IV-ში – 22%, V-ში – 10%, VI-ში – 3%. ამ სახის იარაღების დასამზადებლად გამოიყენებოდა მცირე ანატკეცები, უფრო ნაკლებად – ლამელები.

არუხლო I-ზე მოპოვებულ იარაღთა ჯგუფში გარკვეული აღგილი უჭირავს საჭრისებს, რომელთა რაოდენობა სამშენებლო პორიზონტების მიხედვით ასეთია. I-ში – 12%, II-ში – 18%, III-ში 15%, IV-ში – 12%, V-ში – 25%, VI-ში – 24%. უფრო მეტად გვხვდება ლამელის გადანატეხის კუთხეზე დამზადებული საჭრისები. შედარებით ნაკლებია გვერდითა, შეალა და კუთხის საჭრისი. ანატკეცზე დამზადებული საჭრისები შედარებით ცოტაა. საჭრისების უმრავლესობას გვერდები რეტუშირებული აქვს. საჭრისების დასამზადებლად ხშირად გამოიყენებოდა ხმარებიდან გამოსული იარაღები.

საფხეცების რაოდენობა არუხლო I-ზე ზედა ორ პორიზონტში 8%-ია, III-ში – 13%, IV-ში – 12%, V-ში – 13%, VI-ში – 3%. ჭარბობს ბოლორეტუშიანი საფხეცები. ლამელებსა და ანატკეცებზე დამზადებული საფხეცები ზედა ორ პორიზონტში თანაბარია. ქვედაში ჭარბობს ლამელაზე დამზადებული საფხეცები. ნაკლებია კიდურა საფხეცები.

სახვრეტები I პორიზონტში – 5%-ია, II-ში – 2,5%, III-ში – 5%, IV-ში – 3%, V-ში –

4%, VI- ში – 3%. ზედა ორ პორიზონტში მეტია მცირე ანატკეცებზე დამზადებული სახვრეტები. ორჯერ ნაკლებია ლამელებზე დამზადებული სახვრეტები. მესამე პორიზონტში თითქმის თანაბარია, ხოლო ქვედა პორიზონტებში ჭარბობს ლამელებზე დამზადებული სახვრეტები. მათ სამუშაო პირი სიმეტრიული და რეტუშირებული აქვთ.

მხოლოდ თითო ერთეულია წარმოდგენილი I და VI პორიზონტში ლამელაზე დამზადებული ბურღი. მათი წაგრძელებული სამუშაო პირი გამოყვანილია ზურგის მხრიდან გაფორმებული ციცაბო რეტუშით.

ზედა I პორიზონტიდან წარმოდგენილია რამდენიმე გეომეტრიული მიკროლითო, სამი ტრაპეცია და ორი სეგმენტი.

ერთ ან ორივე გვერდზე ზურგის ან მუცლის მხრიდან რეტუშიანი მიკროლამელები – > 1%-ია და გვხვდბა I და II პორიზონტზე.

ნატკეც მასალაში წარმოდგენილია მხოლოდ 1 ფუნქციანი, ფოთლისებრი ისრისპირი.

I და II პორიზონტში გვხვდება რამდენიმე საფხეკისებრი იარაღი, რომლებიც დამზადებულია ფართო ბაზალტის, ობსიდიანის, კაჟის ოვალურ, მორბგვალო, სამკუთხასებრ ანატკეცებზე – >1%.

ყველა სამშენებლო პორიზონტში მოპოვებულია კომბინირებული იარაღები – საფხეკ-საჭრისები, საჭრის-სახვრეტები, საჭრის-სახოკები და ა.შ. (L. Chelidze, D. Gogelia, 204; 46-54).

არუხლო II. არუხლო II-ის ნატკეცი ქვის ინდუსტრიას საფუძვლად უდევს ლამელარული ტექნიკა. იარაღები მზადდებოდა სწორი პროფილის დიდი და საშუალო ლამელებისგან. სულ აღმოჩნდილია 72 ნივთი, რომელთაგან 94,44% იარაღია, ხოლო დანარჩენი 5,56% ნამზადია.

ტიპოლოგიური ანალიზით დადგინდა, რომ ნამოსახლარის სამივე პორიზონტისთვის დამახასიათებელია სწორი პროფილის საშუალო სიდიდის პრიზმული ლამელები. 41,65: 52,94 და 25%. ამასთანავე მეორე და მესამე პორიზონტისთვის დამახასიათებელია იგივე პროფილისა და მოხაზულობის დიდი ლამელები – 29,41% და 75%. ძალიან დიდი მიკროლამელები პირველ პორიზონტში წარმოდგენილია 41,6%, მეორეში – მხოლოდ 17,65%, მესამეში კი საერთოდ არ არის. 61 იარაღს, ანუ 84,72% აქვს რეტუში.

არუხლო II-ზე იარაღთა მეორადი დამუშავების წამყვან ტექნიკას წარმოადგენს დამაბლაგვებელი რეტუში, რომელიც I პორიზონტში შეადგენს 80%-ს, მეორეში – 58,82%-ს, მესამეში 71,43%-ს. პირველსა და მეორეში ჭარბობს ფართო (50% და 30%), ნაკლებია წვრილი 29,41% და 29,41%) დამაბლაგვებული რეტუში. მესამე პორიზონტში აშკარად ჭარბობს წვრილი დამაბლაგვებელი რეტუში – 57,14%, ხოლო ფართო დამაბლაგვებული მხოლოდ 14,29%-ია.

უნდა აღინიშნოს ასევე სამივე პორიზონტში წვრილი გამაფხიანებელი რეტუშის როლი იარაღთა მეორადი დამუშავების ტექნიკაში (20:41, 18:21, 21:43%). III პორიზონტში ფართო გამაფხიანებელი რეტუში გვხვდება იარაღთა 7,14%-ში.

რეტუშის დატანის თვალსაზრისით სამივე პორიზონტში ჭარბობს ურთიერთსაპირისპირო რეტუში, რომელიც გაფორმებულია იარაღის ორივე გვერდზე (40: 11,77: 28,58) და ორმხრივი გვერდითა რეტუში, რომელიც დატანილია ზურგის მხრიდან (30: 11,77: 43%). ასევე გვხვდება ორმხრივი, ზურგის მხრიდან დატანილი რეტუში, განსაკუთრებით I და II პორიზონტში (20: 41,19%). მეორე და მესამე პორიზონტში გვხვდება ცალ გვერდზე და იარაღის ბოლოზე მუცლის მხრიდან დატანილი რეტუში (14,29% და 5,88%). ტექნი-

კურ-მორფოლოგიური ანალიზის მიხედვით მომდევნო წლის გათხრებს არსებითი ცვლილებები არ შეუტანია.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის თვალსაზრისით არუხლო II-ის სამივე ჰორიზონტიდან გამოყოფილია იარაღთა 9 ჯგუფი (ცხრ. №4, და №5). წამყვანია სხვადასხვა კომბინირებული ან ნახევრადფუნქციონალური იარაღები. I ჰირიზონტში – 33,33%, II-ში – 41,18%, III-ში – 56,25%. 9 ჯგუფიდან სამივე

ჰორიზონტში წამყვანია საფხებები – 37,5, 29,17 და 24%. II და III ჰორიზონტში შემდეგ მოდის ნამგლის ჩასართები – 25 და 20%.

დანის ჩასართები და საჭრისები I ჰორიზონტში გვხვდებიან, როგორც დამახასიათებელი – 12,5 და 18,75%. II-ში, როგორც ძირითადი და მეორეხარისხოვანი – 25 და 8,33%. III-ში კი, როგორც მეორე ხარისხოვანი და ძირითადი – 8 და 28%. დანარჩენი იარაღები ერთეული ცალებით არის წარმოდგენილი (Г. Коробкова, К. Эсакия, 1984; 39-48).

I პორიზონები	II პორიზონები	III პორიზონები	ათასობის განვითარებული სამუშაოების და ტექნიკური დასახელება													
			4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15		
1	2	3	16,67	2	12,5	2	11,76	6	25	-	-	5	20			
I		ნამებები:			-	-	-	1	4,17	-	-	4	16			
1		ქრო სამუშაო პირით			16,67	2	12,5	2	11,76	5	20,83	-	-	1	4	
2		ორი სამუშაო პირით			16,67	2	12,5	4	23,53	6	25	2	12,5	2	8	
II		დანები:			16,67	2	12,5	3	17,65	5	20,83	2	12,5	2	8	
3		ორი სამუშაო პირით			16,67	6	37,5	2	11,76	7	29,17	2	12,5	6	24	
4		ქრო სამუშაო პირით			16,67	6	37,5	2	11,76	7	29,17	2	12,5	6	24	
III		ხოჭები:														
5		ბოლო ამოღარული ქრო სამუშაო პირით			-	-	-	1	5,88	1	4,17	-	-	-	-	
6		ორი ამოღარული სამუშაო პირით			8,33	5	31,25	1	5,88	5	20,83	-	-	3	12	
7		ორი სწორი სამუშაო პირით			8,33	1	6,25	-	-	-	1	4,17	1	6,25	1	4
8		ქრო სწორი სამუშაო პირით			-	-	-	-	-	1	4,17	1	6,25	2	8	
IV		ბურჯები:			8,83	1	6,25	1	5,88	2	8,73	-	-	-	-	
9		ლამელაზე დამზადებული ასამუშაო- ული ზექრით			8,83	1	6,25	1	5,88	2	8,73	-	-	-	-	
V		საფეხმები:			8,83	1	6,25	-	-	-	1	6,25	2	8		
10		ქრო პკერდით სამუშაო პირით			-	1	6,25	-	-	-	-	1	6,25	1	4	
11		ბოლო-კიდურას ტიპის სამი სამუშაო პირით			-	-	-	-	-	-	1	4,17	2	12,25	3	12
VI		ხერხები:			-	-	-	1	5,88	1	4,17	-	-	-	-	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
28	გუთხის საჭრისი, ორმაგი ხოზი, ორი სამუშაო პირით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
29	გუთხის საჭრისი, ორმაგი ხოზი, ორი სამუშაო პირით	-	-	-	-	-	-	-	-	2	12,5	-	-	-
30	ორ სამუშაო პირით ნამდლის ჩასა- რთხე დამზადებული საჭრისი	-	-	-	-	-	-	-	-	1	6,25	-	-	-
31	გატეხოლ ცალპირა ნამდლის ჩასარ- თხე დამზადებული საჭრისი	-	-	-	-	-	-	-	-	1	6,25	-	-	-
32	ცალპირა ნამდლის ჩასართხე დამზადებული მშენდლით ხაჭრისი	-	-	-	-	-	-	-	-	1	6,25	-	-	-
33	გატეხილი ცალპირა ნამდლის ჩასა- რთხის გეოთხეტე დამზადებული საჭ- რისი	-	-	-	-	-	-	-	-	1	6,25	-	-	-
34	ცალპირა ნამდლის ჩასართ-ზე დამზადებული ორ ხამუშაო პირიანი ხაფხები	-	-	-	-	-	-	-	-	1	6,25	-	-	-
35	ცალპირა კილურა ხოზე დამზა- დებული ცალ პირიანი ხერხი	-	-	-	-	-	-	-	-	1	6,25	-	-	-
	ჯამი:	12	100	16	100	17	100	24	100	16	100	25	100	100

ცხრილი №5. არუხელო II. ნატპეცი ქვის მასალა, ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

კვაზიუფლის ნომერი	გიპტის ნომერი	ფუნქციონალური ჯგუფების და ტიპების დასახელება	იარაღთა საჭროი რაოდენობა	% იარაღთა საჭრო რაოდენობა	იარაღთა საჭრო რაოდენობა ქომინი- რებულის ჩათვლით	იარაღთა და ქომინი- რებულის ჩათვლით
1	2	3	4	5	6	7
I		ნამღლის ჩასართები:	3	11,54	9	19,15
	1	ორპირა+	2	7,7	3	6,37
	2	ცალპირა	1	3,84	6	12,78
II		დანები:	3	11,54	10	21,7
	3	ორპირა	2	7,7	7	14,9
	4	ცალპირა	1	3,84	3	6,37
II		ხოწები:	1	3,84	10	21,27
	5	ცალპირა	—	—	7	14,9
	6	ორპირა	1	3,84	3	6,37
IV		საფხეკები:	—	—	1	2,13
	7	ბოლო რეტუშიანი	—	—	1	2,13
V		სათლელი დანები:	3	11,94	5	10,64
	8	სამპირა	1	3,84	1	2,13
	9	ორპირა	2	7,7	2	4,26
	10	ცალპირა	—	—	2	4,26
VI		სატეხები:	—	—	1	2,13
	11	ორი ირიბი პირით	—	—	1	2,13
VII		რეტუშორი:	—	—	1	2,13
	12	ლამელის	—	—	1	2,13
VIII		საჭრელი იარაღები:	1	3,84	1	2,13
	13	გაპრიალუბული ცული	1	3,84	1	2,13
IX		საჭრისები:	—	—	9	19,15
	14	ლამელის კუთხის გადანატეხზე გაფორ- მებული საჭრისები	—	—	5	10,64

1	2	3	4	5	6	7
	15	შუალა საჭრისები	—	—	3	6,37
	16	გვერდითა და შუალა საჭრისები	—	—	1	2,13
		კომბინირებულები:	15	57,7	—	—
X	17	შუალა საჭრისი ცალპირა სათლელ- ხოწვე დამზადებული	1	3,84	—	—
	18	ცალპირა სათლელ დანაზე და ხოწვე დამზადებული ორპირა სატეხი	1	3,84	—	—
	19	ცალპირა დანაზე დამზადებული ცალპი- რა შუალა საჭრისი-რეტუშორი-ხოწი	1	3,84	—	—
	20	ცალპირა ნამგლის ჩასართზე გაფორმებული ბოლორეტუშიანი ხოწი	1	3,84	—	—
	21	ცალპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული ცალპირა ხოწი	1	3,84	—	—
	22	ორპირა დანაზე დამზადებული ცალპირა ხის ხოწი	1	3,84	—	—
	23	ცალპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული ცალპირა ძვლის ხოწი	1	3,84	—	—
	24	ორპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული გვერდითა და შუალა საჭრისი-ორპირიანი ძვლის ხოწი	1	3,84	—	—
	25	ცალპირა დანაზე დამზადებული ხის ცალპირა ხოწი	1	3,84	—	—
	26	ცალპირა ნამგლის ჩასართის გადანატების კუთხეზე დამზადებული საჭრისი	1	3,84	—	—
	27	ცალპირა ნამგლის ჩასართსა ცალპირა ხოწვე დამზადებული საჭრისი	1	3,84	—	—
	28	ცალპირა დანაზე დამზადებული საჭრისი	3	11,94	—	—
	29	ორპირა დანაზე დამზადებული საჭრისი	1	3,84	—	—
		ჯამი:	26	100	47	100

არუებლო III. არუებლო III-ზე ორ სამშენებლო პორიზონტში აღმოჩენილია ობსიდიანის 600 ნატკეცი მასალა, ორმელთაგან 1/3 ზედა პორიზონტიდან და ნახევარი ქვედა პორიზონტიდან ეკუთვნის მზა იარაღებს. იარაღები დამზადებულია დიდი პრიზმული ლამელებისგან, უფრო ნაკლებად საშუალოს- გან. ორივე პორიზონტში მცირე რაოდენობი- თაა მიკროლამელები. დანარჩენი იარაღები

დამზადებულია მცირე და საშუალო ანატ- კეცებისგან. იარაღთა მეორადი დამუშავები- სათვის ძირითადად გამოყენებულია მცირე დამაბლაგვებელი რეტუში. შემდეგ მოდის მცირე გაფხიანებული რეტუში.

ორივე პორიზონტში აღმოჩენილი იარაღე- ბიდან წამყვანი სახეა რეტუშირებული ლამელები (I პორიზონტში 40%, II-ში 30%). ამოდარული ლამელები და ანატკეცები (

I პორიზონტი 30%, II-ში 40%). საჭრისები (23-20%), ძირითადად ლამელის გადანატების კუთხეზე დამზადებული საჭრისები. დანარჩენი იარაღები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი.

ტრასოლოგიური ანალიზის მიხედვით რეტუშირებული და ამოღარული ლამელები

ძირითადად წარმოადგენენ ნამგლის ჩასართებს, საფხევებს, ხორცის საჭრელ დანებს, სარანდავ დანებს და საჭრისებს. დანარჩენი იარაღები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი (. . . , 1984; 56-67) (ცხრ. №6).

ცხრილი №6. არუხლო III, ნატკეცი ქვის მასალა, ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

ჯგუფების №№	ტიპის №№	ჯგუფების და ტიპების დასახელება	I პორიზონტი				II პორიზონტი			
			ტიპის რაოდენობა	%	კომბინირ. ჩათვლით ტიპების რაოდენობა	%	ტიპის რაოდენობა	%	კომბინირ. ჩათვლით ტიპების რაოდენობა	%
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
I		ნამგლის ჩასართები:	45	22,39	83	30,85	15	7,58	39	13
	1	ორპირა	34	16,92	48	17,85	5	2,52	8	3,25
	2	ცალპირა	11	5,47	35	13,01	10	5,06	24	9,75
II		ხორცის საჭრელი დანები:	23	11,44	35	13,01	29	14,64	40	16,27
	3	ორპირა	8	8,96	28	10,41	17	8,58	23	9,35
	4	ცალპირა	5	2,49	7	2,6	12	6,06	17	6,92
III		საფხეცები:	14	6,97	18	6,69	14	7,07	20	8,14
	5	ცალპირა კიდურა	4	2	7	2,6	7	3,53	12	4,89
	6	ორპირა კიდურა	7	3,54	8	2,97	4	2,02	4	1,64
	7	ორპირა ბოლო კიდურა რეტუშიანი	1	0,5	1	0,37	3	1,52	3	1,22
	8	სამპირა ბოლო რეტუშიანი	2	1	2	0,75	—	—	—	—
	9	ორმაგი ბოლო რეტუშიანი	—	—	—	—	—	—	—	—
IV		სათლელი დანები:	10	4,98	29	10,78	18	9,09	25	10,17
	10	ცალპირა	7	3,48	20	7,44	9	4,54	15	6,1
	11	ცალპირა	3	1,5	9	3,34	9	4,54	10	4,7
V		ხორები:	25	12,44	47	17,46	52	26,26	75	30,45
	12	ცალპირა	11	5,47	24	8,92	23	11,61	33	13,42
	13	ორპირა	14	6,97	23	8,54	28	14,14	42	17.03
	14	სამპირა	—	—	—	—	1	0,51	—	—
VI		საჭრისები:	4	2	28	10,41	10	5,06	28	11,39

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	15	გატებილი ლამელის კუთხეზე დამზადებული	1	0,5	18	6,90	3	1,5	14	5,72
	16	გატებილი ლამელის ორივე კუთხეზე დამზადებული	2	1	8	2,97	2	1,01	3	1,22
	17	სამმაგი ლამელის კუთხეზე დამზადებული	-	-	1	0,37	-	-	-	-
	18	კუთხის	-	-	-	-	-	-	1	0,4
	19	კილურა	-	-	-	-	-	-	1	0,4
	20	შუალა	1	0,5	1	0,37	4	2,02	8	3,25
	21	სოლისებრი	-	-	-	-	1	0,51	-	-
VII		მცირე ზომის საჭრისები:	1	0,5	8	2,97	2	1,01	4	1,63
	22	გატებილი ლამელის კუთხეზე დამზადებული	1	0,5	7	2,6	1	0,51	3	1,22
	23	ორმაგი, გატებილი ლამელის კუთხეზე დამზადებული	-	-	1	0,37	-	-	-	-
	24	კილურა	-	-	-	-	1	1,51	1	0,4
VIII		სატებისებრი იარაღები:	12	5,97	13	4,83	8	4,04	10	4,08
	25	ორპირა	4	2	4	1,49	3	1,52	4	1,63
	26	ცალპირა	8	4	9	3,34	5	2,52	6	2,45
IX		სახვრეტები:	4	2	4	1,49	1	0,51	4	1,63
	27	ორი ასიმეტრიული წვერით	1	0,5	1	0,37	-	-	-	-
	28	ერთი ასიმეტრიული წვერით	3	1,5	3	1,12	1	0,5	4	1,63
X		რეტუშორები:	1	0,5	3	1,12	1	0,51	3	1,22
	29	ლამელის	1	0,5	3	1,12	-	-	2	0,82
	30	გულგულის ნატებზე დამზადებული	-	-	-	-	1	0,51	1	0,4
XI		ბურღები:	1	0,5	1	0,37	1	0,51	3	1,22
	31	ერთი ასიმეტრიული წვერით	1	0,5	1	0,37	-	-	2	0,82
	32	ორი ასიმეტრიული წვერით	-	-	-	-	1	0,51	1	0,4
XII		ხერხები:	-	-	-	-	1	0,51	1	0,4
	33	ცალპირა	-	-	-	-	1	0,51	1	0,4
XIII		ბურღისებრი იარაღები:	-	-	-	-	-	-	1	0,4
	34	ცალპირა ასიმეტრიული სამუშაო გვერდით	-	-	-	-	-	-	1	0,4
XIV		კომბინირებული იარაღები:	61	30,35	-	-	46	23,23	-	-
	35	ცალპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული ორმაგი საჭრისი	1	0,51	-	-	-	-	-	-

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	36	ცალპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული საჭრისი	7	3,48	—	—	2	1,01	—	—
	37	ცალპირა დანაზე დამზადებული საჭრისი	2	1	—	—	—	—	—	—
	38	ცალპირა ხოწზე დამზადებული საჭრისი	2	1	—	—	1	0,51	—	—
	39	ორპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული ორმაგი საჭრისი	1	0,51	—	—	—	—	—	—
	40	ორპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული სამმაგი საჭრისი	1	0,51	—	—	—	—	—	—
	41	ცალპირა სათლელზე დამზადებული ორმაგი საჭრისი	1	0,51	—	—	—	—	—	—
	42	ორპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული ორმაგი საჭრისი	2	1	—	—	1	0,51	—	—
	43	ორპირა ხოწზე დამზადებული საჭრისი	1	0,51	—	—	4	2,02	—	—
	44	ცალპირა სათლელზე დამზადებული საჭრისი	1	0,51	—	—	1	0,51	—	—
	45	ცალპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული ორმაგი საჭრისი	1	0,51	—	—	—	—	—	—
	46	ცალპირა ხოწზე დამზადე- ბული ორმაგი საჭრისი	1	0,51	—	—	—	—	—	—
	47	ორპირა ხოწზე დამზადე- ბული ორმაგი საჭრისი	1	0,51	—	—	—	—	—	—
	48	ცალპირა ნამგლის ჩასა- რთზე გაფორმებული ცალ- პირა საჭრის-სათლელი	1	0,51	—	—	1	0,51	—	—
	49	ცალპირა დანაზე დამზადე- ბული შეალა საჭრისი	—	—	—	—	1	0,51	—	—
	50	ცალპირა ხოწზე დამზადე- ბული შეალა საჭრისი	—	—	—	—	2	1,01	—	—
	51	ცალპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული საჭრის-ბურღი	—	—	—	—	1	0,51	—	—
	52	ცალპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული საჭრის-კიდურა საფხეცი	—	—	—	—	1	0,51	—	—

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	53	ორმაგ დანაზე დამზადებული ორმაგი საჭრისი	1	0,51	—	—	—	—	—	—
	54	ორპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული საჭრისი	3	1,5	—	—	—	—	—	—
	55	ცალპირა საჭრისი-ხოწი	1	0,51	—	—	—	—	—	—
	56	ორპირა დანის კუთხეზე დამზადებული საჭრისი	1	0,51	—	—	1	0,51	—	—
	57	ცალპირა ნამგლის ჩასართის კუთხეზე დამზადებული საჭრისი	—	—	—	—	1	0,51	—	—
	58	ცალპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული საჭრისი-ხოწი	1	0,51	—	—	—	—	—	—
	59	ცალპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული სათლელი დანა	6	2,99	—	—	—	—	—	—
	60	ორპირა დანაზე დამზადებული ორპირა სათლელი დანა	2	1,0	—	—	—	—	—	—
	61	ცალპირა ნამგლის ჩასართზე ორპირა სათლელი დანა	3	1,5	—	—	—	—	—	—
	62	ორპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული ორპირა სათლელი დანა	1	0,5	—	—	1	0,51	—	—
	63	ორპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული ცალპირა სათლელი	—	—	—	—	1	0,51	—	—
	64	ორპირა დანაზე დამზადებული ცალპირა სათლელი დანა	3	1,5	—	—	—	—	—	—
	65	ცალპირა დანაზე დამზადებული ცალპირა სათლელი დანა	—	—	—	—	1	0,51	—	—
	66	ცალპირა სატესისებრ იარაღზე დამზადებული სათლელი დანა	—	—	—	—	1	0,51	—	—
	67	ცალპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული ხოწი	2	1,0	—	—	—	—	—	—
	68	ორპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული ცალპირა ხოწი	4	2	—	—	1	0,51	—	—
	69	ორპირა დანაზე დამზადებული ორპირა ხოწი	2	1	—	—	4	2,02	—	—

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	70	ცალპირა დანაზე დამზადებული ორპირა ხოწი	1	0,5	—	—	3	1,52	—	—
	71	ცალპირა დანაზე დამზადებული ორპირა ხოწი	—	—	—	—	1	0,51	—	—
	72	ორპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული (ცალპირა ხოწი-სათლებული)	1	0,5	—	—	—	—	—	—
	73	ცალპირა ხოწი-ცალპირა კიდურა საფხევი-ცალპირა სათლებული	1	0,5	—	—	—	—	—	—
	74	ცალპირა ხოწი-ცალპირა კიდურა საფხევი	1	5,5	—	—	—	—	—	—
	75	ცალპირა ხოწი-ცალპირა კიდურა საფხევი	—	—	—	—	1	0,51	—	—
	76	ცალპირა დანაზე დამზა- დებული ცალპირა ხოწი	—	—	—	—	2	0,51	—	—
	77	ორპირა დანაზე დამზადე- ბული ცალპირა ხოწი	1	0,5	—	—	1	0,51	—	—
	78	ცალპირა საფხევი- გვერდითა საჭრისი	—	—	—	—	1	0,51	—	—
	79	ორპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული ცალპირა ხოწი-კიდურასაფხევი	1	0,5	—	—	—	—	—	—
	80	ცალპირა ნამგლისა და კიდურა საფხევზე დამზა- დებული ცალპირა ხოწი	—	—	—	—	1	0,51	—	—
	81	ცალპირა ნამგლის ჩასა- რთზე დამზადებული კიდურა საფხევი	—	—	—	—	1	0,51	—	—
	82	ცალპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული (ცალპირა კიდურა ხოწი)	—	—	—	—	1	0,51	—	—
	83	ორმაგ საჭრისზე დამზა- დებული ცალპირა საფხევი	—	—	—	—	1	0,51	—	—
	84	ცალპირა სათლებულ დანაზე დამზადებული ორპირა სათლებული	—	—	—	—	1	0,51	—	—
	85	ცალპირა ნამგლის ჩასართზე დამზადებული სახვრეტი	—	—	—	—	1	0,51	—	—
	86	ცალპირა სახვრეტი- კიდურა საფხევი	—	—	—	—	1	0,51	—	—

	87	ორპირა სახევრეტი-კიდურა საფხეცი	-	-	-	-	1	0,51	-	-
	88	ცალპირა ხოწევ დამზადებული რეტუშორი	-	-	-	-	1	0,51	-	-
	89	ორპირა კიდურა საფხეცი დამზადებული რეტუშორ-საჭრისი	1	0,5	-	-	-	-	-	-
	90	ორპირა საფხეცი დამზადებული რეტუშორი	-	-	-	-	1	0,51	-	-
	91	ცალპირა ნამგლის ჩასართხე დამზადებული რეტუშორი	1	0,5	-	-	-	-	-	-
	92	ცალპირა ნამგლის ჩასართხე დამზადებული ბურლისებრი იარაღი	-	-	-	-	1	0,51	-	-
	93	ცალპირა დანაზე დამზადებული ბურლი	-	-	-	-	1	0,51	-	-
	ჯამი:		201	100	269	100	198	100	462	100

წოფი. წოფის ნამოსახლარზე აღმოჩენილია 1500-ზე მეტი ობიექტის ნატკეცი მასალა, რომელთაგან 40% მზა იარაღია. მზა იარაღები დამზადებულია ძირითადად ოთხეუთხა მცირე ანატკეცებზე. მათთან თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი საშუალო და დიდი პრიზმული ლამელები. გულგულები მხოლოდ 5%-ია.

იარაღთა 30% ეგუთვნის რეტუშირებულ ლამელებს, რომელთაგან 20% გვერდ ამოღარული ლამელებია.

რეტუშირებული ანატკეცები მხოლოდ 11%-ია. ამოღარული რეტუშირებული ანატკეცები ცოტაა.

ტრასოლოგიური ანალიზით თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი წამყვანი იარაღები – ხორცის საჭრელი დანები, ნამგლის ჩასართხი, კიდურა საფხეცები, ძვლის, რქისა და ხის დასამუშავებელი იარაღები 11%-ს შეადგენს. სატეხისებრი იარაღები, საჭრისები 9%-ია, ბოლოკიდურა საფხეცები 9%, ასიმეტრიული სადგისები და ბურლები 5%. (Г. Коробкова, К. Эсакиა, 1979; 45-60).

3. მასიური ქვის იარაღი

მასიური ქვის იარაღები (ხელსაფქავები,

სანაყები, ცულები, გრდემლები, სხვადასხვა სახის სახებ-სასრესები და სხვა იარაღები) პირველად ჩნდება წინარე ნეოლითურ ნამოსახლარებზე და შემდგომში ითვლება ნეოლითური კულტურის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშად. ისინი წარმოდგენილია მახლობელი აღმოსავლეთის აღრე ნეოლითურ ნამოსახლარებზე.

მასიური ქვის იარაღები (ხელსაფქავები, სანაყები და ა.შ.) ცნობილია ზაგროსის მთიანეთის წინარე ნეოლითურ ნამოსახლარებზე შანიდარსა, ქარიშ შახირში(ერაყი), იერიქოში, ენიანში, ჯარმოსა (პალესტინა) და სხვა ძეგლებზე (Дж. Мелаарт, 1982; 23-50).

კავკასიაში მასიური ქვის იარაღები წარმოდგენილია ხოხის აღრე ნეოლითურ ნამოსახლარზე მთიან დაღესტანში (Х. Амирханов, 1983; 55). ისინი ცნობილია დასავლეთ საქართველოს როგორც უკერამიკო, ისე კერამიკული ნეოლითური ნამოსახლარებიდან: ხორშიდან (Г. Григория, Н. Мгеладзе, 1980; 13-15), ღუმურიშიდან, ჩხორთოლიდან, პირველი გალიდან, მელოურიდან, ხევიდან (კ. კალანდაძე, 1986; 122-124). ოდიშიდან (ა. კალანდაძე, 1939; 363-371), ანასეული I-დან, ანასეული II-დან, გურიანთადან, მამათიდან (ლ. ნებიურიძე, 1972; 27, 37, 59, 63) და ა.შ.

ამიერკავკასიაში მასიური ქვის იარაღების სიმრავლით, ფორმების მრავალფეროვნებით და დახვეწილობით გამოიჩინებიან შომუთეფე-შულავერის კულტურის გვიან ნეოლითური გორა ნამოსახლარები.

აღმოსავლეთ საქართველოში ისინი გვხვდება “წოფის კულტურის” ნამოსახლარებზე: კახეთში (B. ვარაზავილი, 1992; 32), შიდა ქართლში (გ. ჩიქოვანი, 1999; 14-18), ქვემო ქართლში “ნაჭივჭავების” ნამოსახლარზე (Chikovani G., Shatberashvili Z., Gogochuri G. 2010; 95-103) წოფში (ლ. ნებიურიძე 2010; 54).

არუხლო I-ზე, ისე როგორც შომუთეფე-შულავერის კულტურის სხვა ძეგლებზე, საქმაოდ მრავალფეროვანია მასიური ქვის იარაღები. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ნამოსახლარი მოქცეულია ორი მდინარის ხერთვისში, ამიტომ აქ მოსახლე ხალხს ქვის საიარაღე მასალის ფართო არჩევანი ჰქონდა. ძეგლზე აღმოჩენილია ადრესამიწამოქმედო კულტურისათვის დამახასიათებელი ისეთი იარაღები, როგორიცა; ხელსაფქავები, სანაკები, ქვის ცულები, უროები, გრდებლები, ჩაქუჩები, საპრიალებლები, სახეები, სალექები და სხვა (ტაბ. VI. 1-2; XLI-XLII). ასევე საქმაოდ საინტერესოა აქ აღმოჩენილი ქვისგან დამზადებული ჭურჭლები, კოვზები, კერამიკისთავები და სხვა.

ცალქე აღსანიშნავია არუხლო I-ის ხელსაფქავების ქვედა და ზედა ქვები; აქ წარმოდგენილია ქვედა ქვების შემდეგი ფორმები; ნავისქბრი, ვარცლისქბრი, უნაგირისქბრი, ბრტყელზედაპირიანი და სხვა. ხოლო რაც შეეხება ზედა ქვებს, გახვდება როგორც ცალმხრივი – ძირბრტყელი-ამოზურგული, ისე ორმხრივი – ორმხრივბრტყელი, მათი უმეტესობა ოვალური მოყვანილობისაა. არის აგრეთვე ნახევრად წრიული, ოთხკუთხედი, მრგვალი და სხვა ფორმის ზედა ქვები (ტაბ. VI. 1, 2).

აგრეთვე საქმაოდ საინტერესოა გორა ნამოსახლარზე აღმოჩენილი ქვის ცულები (ტაბ. XLI. 1, 3-5), რომლებიც ადრესამიწამოქმედო კულტურისათვის ტიპიურ იარაღ წარმოადგენენ. როგორც ითვლება მისი შემოღება ბინადარ მიწათმოქმედებას უნდა განეპირობებინა, როდესაც აუცილებელი გახდა ხის სხვადსახვა ინგენტარის დამზა-

დება, სამიწათმოქმედო იარაღების ტარების გამოთლა და ა.შ.

ქვის ცულების უმრავლესობა წვრილ-მარცვლოვანი მთის მტკიცე ქანისგან არის დამზადებული. მათგან სამი სახეობა გამოიყოფა: 1) ტრაპეციის ფორმის, 2) მოგრძო, დაბლობით თანაბრად გაბრტყელებულტანიანი, 3) ოვალური. იარაღები პროფილში სოლისებურადაა ჩაკვეთილი. თუმცა არსებული მასალის მიხედვით მომავალში შესაძლებელია, ახალი ფორმების გამოყოფა და ტიპოლოგიის დაზუსტება.

არუხლო I-ის ანგარიშებში ასეთი არტეფაქტები ძალიან მოკლედ არის აღწერილი, შესაბამისად ეს მასალა კონკრეტულად ცალკე არ არის შესწავლილი. აქედან გამომდინარე ზუსტ ტიპოლოგიაზე ან სტატისტიკაზე ჯერჯერობით საუბარი შეუძლებელია. ამ მასალის შემდგომი კვლევისას საინტერესოა ცალკეული მკვლევარების მოსაზრებები.

თ. კილურაძის დაკვირვებით შომუთეფე-შულავერის კულტურის განვითარების I საფეხურიდან გახვდება ხელსაფქავები. ქვედა ქვები უკლა გარცლსებურ სამუშაო ზედაპირიანია, ხოლო კულტურის განვითარების III საფეხურიდან თანაარსებობს სხვა ტიპის ხელსაფქავებთან. ვარცხლისებური ხელსაფქავების კურანტები ორნაირია - ცალმხრივი (ძირბრტყელი-ამოზურგული) და ორმხრივი (ოვალურგანივეკვათიანი). კურანტების ორივე ტიპი შემდგომ საფეხურზეც განაგრძობს არსებობას, ოდონდ საგრძნობლად იცვლება მათი ფორმა და ზომები.

III საფეხურიდან სიახლეა ტრადიციული “ვარცლისებრი” ხელსაფქავების გაერდით უფრო განვითარებული “უნაგირისებრი” ხელსაფქავები და მათი შესაბამისი კურანტების გაჩენა, რომელიც შემდგომ საფეხურზეც განაგრძობენ არსებობას (თ. კილურაძე, 1976; 112-124).

არუხლო I-ის ხელსაფქავების შესწავლისას გასათვალისწინებელია ლ. ძიძიგურის ნაშრომი (ლ. ძიძიგური, 2000; 134-137) სადაც სხვა საკითხებთან ერთად გარკვეული ადგილი ეთმობა შომუთეფე-შულავერის კულტურის ქვედებზე აღმოჩენილ ხელსაფქავებს. იგი ფორმის მიხედვით გამოყ

თფს ხუთ სახეობას.

- I. მოგრძო-ოვალური, ბოლოებმომრგვალუდული (საშ. სიგრძე-40სმ. სიგანე-12სმ).
- II. ნავისებრი. III. ბრტყელზედაპირიანი, მართკუთხედის ფორმის (საშ. სიგრძე-48სმ. სიგანე-23სმ). IV. “ვარცლისებურად ჩაღრმავებულ სამუშაოზედაპირიანი”. V. უნაგირისებრი.

ზემოთ ნახსენები ხუთივე ფორმის ხელსაფქვავი გვხვდება არუხელო-ზე. ეს მოსაზრება საკმაოდ საინტერესოა, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში რატომ არის განხილული მხოლოდ ხელსაფქვავის ქვედა ქვები. ცნობილია, რომ ხელსაფქვავი შედგება ორი კომპონენტისაგან: I. ქვედა ნაწილი (ქვედა ქვა) და II. ზედა ნაწილი (ზედა ქვა). ორივე ერთად გამოიყენება ხელსაფქავად. ამიტომ როცა განვიხილავთ ქვედა ქვებს, იქვე უნდა განვიხილოთ შესაბამისი ზედა ქვები.

შომუ თევფ-შულავერის ქეგლების მაკროლითურ (მასიური ქის) იარაღებზე საქმაოდ საინტერესოა ფრანგი მკვლევარის კ. ჰამონის სტატია (C. Hamon, 2008; 85-135), რომლის მიზანია გაარკვიოს თუ რა როლს ასრულებდა აღნიშნულ კულტურაში მაკროლითური იარაღი. აქ განხილულია ტიპობრივი კულტურული განვითარების შემცირები შომუ თევფ-შულავერის კულტურის ქვემო ქართლის ოთხივე ძეგლიდან. მოცემულია მათი ტექნიკური და ფუნქციონალური დახმასიათება. კვლევის მირითად მოზანს წარმოადგენს ასევე მარცვლეულის და მცენარეების დამუშავების პროცესის შესწავლა.

ამ სტატიაში განხილულია 568 მაკროლითური იარაღი, რომლებიც მომდინარეობენ ოთხი ძეგლიდან: 70 შულავერის გორიდან, 170 იმირის გორიდან, 285 ხრამის დიდი გორიდან და 43 არუხელოდან (C. Hamon, 2008; 92).

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სტატიაში განხილული 568 მაკროლითური იარაღი, რომლებიც მომდინარეობენ ოთხი ძეგლიდან: 70 შულავერის გორიდან, 170 იმირის გორიდან, 285 ხრამის დიდი გორიდან და 43 არუხელოდან (C. Hamon, 2008; 92).

სათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები (სიგრძე, სიგანე, სისქე), წარმოდგენილია ანალიზისაგან და სამუშაო იარაღების კატეგორიები ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. მათი კლასიფიკაცია შემდეგი რიგითობით არის დალაგებული: 1) აქტუალობის მიხედვით (ხელსაფქვავები, სანაცვები, ჩაქუჩები, საპრიალებლები და სასრესები), 2) დაცულობის მიხედვით, 3) სხვადასხვა ტექნიკურ-მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით (სამუშაო ზედაპირი და სხვა).

არუხელო I-ზე ახალი გათხრებით მოპოვებული მასალის შესწავლის მერე შესაძლებელი გახდება მასიური ქვის იარაღების ტიპობრივიური და ფუნქციონალური დანიშნულების დაკონკრეტებება და წარმოებითი მეურნეობის შედარებით სრული სურათის აღდგენა.

მასიური ქვის იარაღების ცალკეული ტიპები გვხვდება მაშავერას გორაზე (ტაბ. LXXX.) და არუხელოს ჯგუფის სხვა ნამოსახლარებზე.

4. ირმის რქისა და ძვლის იარაღები

არუხელო I-ის ნამოსახლარზე ძვლისა და ირმის რქის დამუშავება მაღალ დონეზე იღგა. ყველა სამშენებლო პორიზონტზე გვხვდება ძვლისა და ირმის რქისგან დამზადებული იარაღები: სადგისები, სახვრებები, საპრიალებლები, საფხეცები, თოხები, ბარისებრი, წერაქვისებრი და ცულისებრი იარაღები და ა.შ. სადგისები და სახვრებები მირითადად დამზადებულია წვრილფეხა საქონლის ეპიფიზიან ნაპობ ძვალზე. ასევე გვხვდება მრგვალდერმიანი ბიკონუსური წვერგამოყვანილი ერთეულები. საპრიალებლებისთვის გამოყენებულია მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვალი და ნეკნები. საპრიალებლები ასევე დამზადებულია თხელი ფირფიტასებრი ძვლებისგან. ხოლო მიწის დასამუშავებელი იარაღები დამზადებულია ირმის რქის, ლულოვანი ძვლისა და მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვლისაგან. მცირე რაოდენობით წარმოდგენილია ძვლის ისრისპირები, ხელშუბები და კოვზები (ტაბ. XXVIII – XXXIII).

სხვა ცხოველების რქებისგან განსხვავებით

ირმის რქა სტრუქტურით განსაკუთრებულია, ბევრად ძლიერი და მყარია, ამდენად საყოფაცხოვრებო პირობებში მეტად მოხერხებული უნდა ყოფილიყო მათი გამოყენება.

ირმის რქის გვირგვინიანი ფუძისგან კეთდება ჩაქუჩისებრი კომბინირებული და ისეთი იარაღები, რომლებსაც აქვთ ლარები ან ფოსოები ქვის ან კაჟის ჩასართის გასაკეთებლად. ირმის რქის მთავარი ლერძი იძლევა იმის საშუალებას, რომ გაკეთდეს ძლიერი იარაღები, როგორიცაა დიდი ჩაქუჩი და თოხი, ხოლო დანარჩენი ანუ განაპირო შტოებისაგან და წანაზარდებისაგან მიწის საჩიჩქები, წერაქვისებრი იარაღები, მსუბუქი თოხები და სხვა.

ნინო კილაძე – ბერძენიშვილი სამიწათმოქმედო იარაღების დამუშავების პროცესში სამ სტადიას გამოყოფდა.

1. ირმის რქაზე ბუნებრივი მეჭეჭების მოცილება და გადანაჭერი ადგილის შემოკობება.
2. ირმის რქის სატარის გახვრეტა, რომელიც ხდებოდა ორმხრივ, ქვის ბურლით.
3. ირმის რქის წვერზე სამუშაო პირის გამოყვანა.

ირმის რქისგან დამზადებულ იარაღებს ტარი ეგებათ, როგორც ვერტიპალურად ისე პორიზონტალურად. ის ასევე გამოყოფს თოხისებრ და წერაქვისებრ იარაღებს. წერაქვისებრით მიწის გაწერვა და დაკვალვა უნდა მომხდარიყო, თოხისებრით კი ბელტის მოთხრა და გადაბრუნება (ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), 1953; 563-566:

ირმის რქისა და ბეჭის ძვლის იარაღების ფუნქციონალური დანიშნულების შემდგომი კვლევისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა გ. კორობკოვას სტატია, სადაც არუხლო I-ზე მოპოვებული იარაღების ერთი ჯგუფი განხილულია ტექნიკურ-მორფოლოგიური დაკვირვებით და ტრასოლოგიური ანალიზის საფუძველზე, ფუნქციონალურად. ასევე საინტერესოა იარაღებზე მის მიერ შემოთავაზებული ტარის დაგების რეკონსტრუქცია. შესასწავლად შეირჩა რქის და ძვლის 15 იარაღი. მათგან გამოირჩა მიწის სატხრელი ბარები, თოხები, მიწის საჩიჩქები და მუფტა

(Г. კორიკოვა, 1979; 97-100).

15 იარაღიდან სამი აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვლის ბარისებრი მიწის სატხრელი, რომელთა სამუშაო პირი გამოყვანილია ბეჭის ფართო ნაწილზე, პირი ორივე მხრიდან გახეხილი და გაპრიალებულია. პირის ორივე მხარეს ჩანს, ღრმა, ინტენსიური, წაგრძელებული დარისებრი ხაზები ერთი იარაღი კი ორმაგ ფუნქციას ასრულებდა. თავიდან იყო მიწის სატხრელი ბარი, ხოლო უკას დეფორმაციის შემდეგ გამოიყენებოდა გამოქნილი ტყავის საპრიალებლად. ამ შემთხვევაში სამუშაო პირი გამოყვანილი იყო ბეჭის ძვლის გვერდზე, რომელიც ხელოვნურად იყო შეთხელებული და გაპრიალების შედეგად ბზინავდა. სამუშაო გვერდითა პირს პერპენდიკულარულად ეტყობოდა მრავალი ძაფისებრი ხაზი (ტაბ.XXXIV. 1-5) სამუშაო პირის ცვეთის მიხედვით შესაძლებელი გახდა ტარის დაგების რეკონსტრუქცია (ტაბ.XXXIV. 2-3). შემოთავაზებული რეკონსტრუქციიდან უფრო რეალურია მეორე, კინაიდან პირველ შემთხვევაში იარაღი იქნებოდა თოხი, ბეჭის ძვლის სითხელის გამო კი მისი თოხები მიჩნევა ნაკლებად შესაძლებელია.

მიწის სატხრელი თუ საჩიჩქნი 3 იარაღი დამზადებულია კეთილშობილი ირმის რქის წანაზარდისაგან, რომელთაც დაუმუშავებული შიგნით მოხრილი კონუსური წვერი აქვთ. ბოლოებზე კი ეტყობათ ობსიდიანის თუ კაჟის იარაღით მოჭრის კვალი, გამჭოლ სატარეზე თუ მუფტაზე მათი მორგების მიზნით. ამ მხრივ საინტერესოა ორი მათგანი, რომელთაგან ერთზე დამუშავებული უკას ორივე მხარეს სიმეტრიულად ამოჭრილია ორმაგი ფოსო, სადაც ტარი ჯდებოდა და გვერდიდან მაგრდებოდა (ტაბ. XXXVI. 3). მეორე იარაღის უკას ირგვლივ წანაზარდები აქვს მოჭრილ-წათლილი და აქვს მინიატურული გამჭოლი ნახვრეზი, რომლის კედელზე შერჩენილია ზონრის დახვევის კვალი. იარაღი მაგრდებოდა უკამილიან სატარეზე დახვეული ზონრით (ტაბ. XXXVIII. 3). ავტორის მრავალი საცდელი დაკვირვებით ასეთი იარაღები შეიძლებოდა გამოიყენებინათ, როგორც სათესი ყანის თუ საბოსტნე მიწის დასამუშავებლად.

შერჩეული 15 იარაღიდან 8 გამოდგა ირმის

რქის თოხი, რომლებიც დამზადებულია ირმის რქის სხვადასხვა ნაწილისგან. სამუშაო პირისა და დაგებული ტარის ურთიერთმიმართების მიხედვით მათგან შესაძლებელია გამოიყოს 3 ტიპი.

1. სათლელ-სატეხისებრი ფორმის თოხები, რომელთა სამუშაო პირი განლაგებულია გახვრეტილი ყუას პერპენდიკულარულად (ტაბ. XXXVII. 1-4; XXXVIII.). მათი განმასხვავებულია ტარის დამაგრების ტექნიკა. ერთერთი ასეთია ცალ მხარეს სამუშაო პირწაჭრილი იარაღი, რომელიც ყუით ჩამაგრებული იყო ყუა მილიან ტარზე ან მუფტაზე და დამატებით მიბმული იყო ნახვრეტიან ყუაზე გატარებული ზონრით (ტაბ. XL). არის ასევე სხვა კონსტრუქციის თოხებიც. მათ ბუნებრივი ფუძის ქვემოთ აქვთ გამჭოლი ნახვრეტი, ამასთანავე მოხრილ ტარზე აქვთ ფოსო, რომელშიც ჯდებოდა ტარი და მაგრდებოდა ნახვრეტზე გატარებული ზონრით (ტაბ. XXXVII. 1-4) ავტორის დაკვირვებით სათლელისებრი თოხები უნივერსალურია მიწის დამუშავების დროს.

2. ცულისებრი ფორმის თოხები (ტაბ. XXXI-II. 1, 4). სამუშაო პირი განლაგებულია ნახვრეტის პარალელურად. საგულდაგულოდ გათლილი ყუა კი მაგრდებოდა ყუა მილიან ტარზე ან მუფტაზე ნახვრეტში გაყრილი ზონრით. როგორც ცდით დადასტურდა, ასეთი იარაღები გამოიყენებოდა მიწურების, ორმოების თავდაცვითი თხრილების კედლების გასასწორებლად.

3. კონუსური ფორმის თოხები (ტაბ. XXXIX.), დამზადების ტექნიკით, ტარის დაგებით ამავე ფორმის მიწის სათხრელი იარაღების მსგავსია და მათგან განსხვავდებიან მხოლოდ უფრო დიდი ზომის გამო. ასეთი იარაღები შეუცვლელია მიწურების, ორმოებისა და სხვადასხვა თხრილების გაჭრის დროს.

არუხელო I-ის მიწაზე სამუშაო იარაღებში წარმოდგენილია რქის მუფტა (ტაბ. XXXV), რომელიც გ. კორობკოვას დაკვირვებით დამზადებულია გაცვეთილი თოხისაგან და მიეკუთვნება ე.წ. სათლელ-სატეხისებრ თოხის ტიპს.

ირმის რქის და ქვლის იარაღების ტიპობრივია, კლასიფიკაცია შელავერისა და

იმირის გორის სამშენებლო ჰორიზონტების მიხედვით პირველად გაკეთებული აქვს თ. კიდურაძეს სპეციალურ ცხრილში. მას მოკლედ დახასიათებული აქვს თითოეული ნივთი მახლობელი აღმოსავლეთის, კასპისა და შავი ზღვის აუზის რიგი ნეოლით-ენეოლითური ნამოსახლარების მასალის პარალელების მიხედვით. მისი დაკვირვებით ირმის რქის სატარე ნახვრეტიანი თოხები ჩნდება შომუ თევზე-შულავერის კულტურის II საფეხურიდან, I საფეხურზე კი სატარე ნახვრეტი არ აქვთ. I-II საფეხურზე წარმოდგენილია მეტაპოდიაზე ნაკეთები მრგვალდეროიანი („ბიკონუსური“), წახნაგოვან ღეროიანი და მასიური ატიპიური სადგისები, გაპობილ და გაუპობელ ლულოვან ძვალზე ნაკეთები დანასაპრიალებლები, კოვზი. ასევე მეორე საფეხურიდან წარმოდგენილია ნეკინის ქვლის, ბეჭის ქვლის ქედზე ნაკეთები და თხელფირფიტოვანი საპრიალებლები, დანისებრი ნივთები, ოვალურ თავიანი და რომბულ თავიანი ისრისპირები და ა.შ. ეს და სხვა იარაღები მომდევნო საფეხურებზეც განაგრძობენ არსებობას (თ. კიდურაძე, 1976; 58, 59, 112, 116).

შომუ თევზე-შულავერის კულტურის ირმის რქისა და ქვლის იარაღები ფორმისა და სამუშაო პირის მიხედვით აქვს განხილული ლ. ძინიგურს. ირმის რქის და ქვლის თოხებიდან ის გამოყოფს 5-5 სახეობას და უფრადებას ამასვილებს მათ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე. (ლ. ძინიგური, 2000; 127-129) მისი დაკვირვება საინტერესოა არუხელო I-ზე მოპოვებული მასალის შემდგომი კვლევისას.

ტიპოლოგიურად არუხელო I-ის მსგავსი ქვლისა და ირმის რქის იარაღები დადასტურებულია არუხელოს ჯგუფის სხვა ნამოსახლარებზე და წოფში.

5. არუხელო I-ზე მოპოვებული შინაურ და გარეულ ცხოველთა ძვლები

არუხელო I-ზე მოპოვებული შინაურ და გარეულ ცხოველთა ძვლები ძირითადად დანაწერებულია, არ გვხვდება თავის ქალა.

მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ აღმოჩენილია 5495 ძვა-

ლი. ფრაგმენტულობის გამო განსაზღვრას არ ექვემდებარება 2762 ეგზემპლარი. განსაზღვრული და შესწავლილია 2733 ძვალი (49,7%). სხვადასხვა ჰორიზონტიდან მოპოვებული ოსტეოლოგური მასალის რაოდენობა მატულობს კულტურული ფენის სიღრმეში.

3733 ძვლიდან შინაურ ცხოველებს ეგუთვნის 2475 (ანუ ძვლების 92%), ხოლო დანარჩენი 220 გარეულს. შესაბამისად შინაური და გარეული ცხოველების შეფარდება ძვლების მიხედვით არის 11:1 –თან, ხოლო ინდივიდთა მინიმალური რიცხვი 3:1 –თან.

მოპოვებული ძვლების მიხედვით ჩანს, რომ მესაქონდეობა ამ პერიოდში საკმაოდ დაწინაურებულია, ხოლო ნადირობა მეორებარისხოვან როლს თამაშობს, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია გარეული ცხოველებით, ფრინველებით და თევზებით დარიბი იყო, პირიქით, ძვლების მიხედვით დასტურდება მათი მრავალფეროვნება.

პალეობოტანიკური და ოსტეოლოგიური მასალის მიხედვით ქვემო ქართლის და მათ შორის არუხლო I –ის ნამოსახლარზე მიწათმოქმედებასთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მესაქონდეობა. საინტერესოა, შინაურ ცხოველთა სახეობისა და ასაკის მიხედვით მიღებული გამოკვლევის შედეგები.

არუხლო I –ზე მოპოვებული ოსტეოლოგიური მასალის მიხედვით შინაურ ცხოველებში მნიშვნელოვანი იყო წვრილფენება – ცხვრის და თხის წილი, რომელთაც ეგუთვნის 1086 ძვალი 75 ინდივიდისგან. მეორეზეა მსხვილფენება ცხოველები – 798 ძვალი 48 ინდივიდისგან, ხოლო მესამეზე ღორი 581 ძვალი 33 ინდივიდისგან.

ძაღლს ეგუთვნის 9 ძვალი 2 ინდივიდისგან. ღორის ძვლების საერთო რაოდენობიდან 1/3 ეგუთვნის მოზარდ ინდივიდს. აღსანიშნავია, რომ მომთაბარე ტომების ჯოგში ღორი არ არის ხოლმე, ვინაიდან ღორი ვერ იტანს გრძელ მანძილზე გადაადგილებას. ეს მონაცემი კიდევ უფრო ამყარებს იმ მოსაზრებას რომ ქვემო ქართლის აღრესამიწაომოქმედო კულტურის მოსახლენი მისდევდნენ ბინადარ ცხოვრებას.

წვრილფენება ცხოველთა ძვლების სიჭარბე არუხლო I-ზე, პალეობოტანიკურ მონაცემებთან ერთად მიუთითებს ქვემო ქართლში სტეპური და ტყესტეპური ტიპის ღია ლანდშაფტის არსებობას. შესაბამისად აქ ცხოვრობდნენ სტეპური და ტყესტეპური ტიპის შესატყვისი გარეული ცხოველები. მოპოვებული გარეული ცხოველების ძვლების მიხედვით – ისინი ეგუთვნიან ორი ეკოლოგიური ჯგუფის – ნოტიო ჭალისპირა ტყეებისა და ღია მშრალი ლანდშაფტის ცხოველებს (A. Bekya, 1984; 91-119).

ამასთანავე, ძვლებში მოზარდეული წვრილფენება საქონლის სიჭარბე, მიუთითებს მეურნეობის ფორმაზე, როცა ადამიანმა დაიწყო ხელოვნური ჩარევა ერთი ასაკის რაც შეიძლება მეტი ნამატის მისაღებად. შემდგომში ასე განვითარდა მესაქონდეობის უფრო პროგრესული ფორმა – საიალადე, მომთაბარე – მესაქონდეობა (ნ. ბრეგაძე, 1976; 93-95).

არუხლო I-ზე II და III სამშენებლო ჰორიზონტშიც გაბატელიას განსაზღვრით აღმოჩენილია თევზის 16 ძვალი. ესენია: ნაფოტა, კარჩხანა, წვერა და ქარიყლაპია. ყველა ეს თევზი დღესაც დამახასიათებელია მტკვრის, ალაზნის, ხრამის და სხვა მტკნარი მდინარეებისთვის (A. Bekya, 1984; 118).

მეურნეობა

ქვემო ქართლის (არუხელოს) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1966-1988 წლებში შესწავლილ ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებზე მნიშვნელოვანი მასალა აღმოჩნდა სამეურნეო ხასიათის საქმიანობის დასადგენად. მეურნეობის ხასიათზე საუბრისას ძირითადად ყურადღებას ვამახვილებთ არუხელო I-ის მასალაზე, ვინაიდან სწორედ აქ დადასტურდა ადრესამიწათმოქმედო კულტურის მოსახლეთა ხანგრძლივი ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი 7 სამშენებლო პორიზონტი. მკვდევარები ერთხმად ადნიშნავენ და ჩვენც ვეთანხმებით მოსაზრებებს ხელოვნურ გორა ნამოსახლარებზე მცხოვრები კოლექტივის ორგანიზებულობაზე, მიზანმიმართულობასა და საკმაოდ დაწინაურებულ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საქმიანობაზე. არუხელო I-ზე, მისი სინქრონული სხვა ნამოსახლარების მსგავსად, კარგად ჩანს უკვე ჩამოყალიბებული მეურნეობისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგები, რომლებშიც გამოკვეთილია ხელოსნობის ევოლუციური ხასიათი, ტრადიცია, კულტურული მემკვიდრეობითობა და ცალკეული ინოვაციები.

არუხელო I-ზე მოპოვებული ძელის, ირმის რქის, ობსიდიანის ნატკეცი ინვენტარის, მასიური ქვის იარაღების – ხელსაფქავების, სანაყების, ცულების და ა.შ. განხილვისას გაირკვა, საქმე გვაქვს ხელოსნობის სხვადასხვა დარგებთან და შესაბამისად შრომის დანაწილების პროცესთან, რომელშიც როგორც ავღნიშნეთ იგრძნობა ტრადიციულობა და კულტურული მემკვიდრეობითობა. ყველაფერი ეს სამშენებლო ტრადიციებთან, მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და ნადირობის დონის ამსახველ მასალებთან ერთად ქმნის კულტურის ხასიათს და განვითარების სურათს დროის გარკვეულ მონაკვეთში. კულტურის ევოლუციური ხასიათი აისახება

მის თავისებურებაში, რომელშიც იგრძნობა როგორც ადგილობრივი, ისე სხვა მოწინავე კულტურულ ცენტრებთან კავშირის დონე.

როგორც ირკვევა, ადრესამიწათმოქმედო კულტურათა მეურნეობის განვითარებაში წამყვან როლს თამაშობდა ობსიდიანი, რომელიც თრიალეთსა და სომხეთის მთიანეთის სხვადასხვა საბადოებში უხვად მოჰკვება. ადრესამიწათმოქმედო კულტურის სხვადასხვა ნამოსახლარებიდან შერჩეული ობსიდიანის მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ თრიალეთის “ჭიქიანის” საბადო ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამიერკავკასიის ძვ. წ-ის VI-IV ათასწლეულის ნამოსახლართა მომარაგებაში (Р. ბადალიან, 3. კიკოძე, ფ. კოლ 1996; 245-264), (Р. ბადალიან, 2001; 2939). ობსიდიანის როლი განსაკუთრებით ჩანს მეზოლითიდან, რომელსაც ასევე სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მოწინავე რეგიონების ურთიერთობაში (ქ. სტურუა, 1994; 21-36) და წამყვანია ადგილობრივ მეზოლითურ სადგომებზე აღმოჩენილი ნატკეცი ქვის იარაღების დამზადებაში (K. Sturua, 2010; 68-73).

მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებში მიწის სათხრელი, თუ დასამუშავებელი ძვლის და ირმის რქის იარაღებისა და სამკელი დანების მაღალი პროცენტი, კულტურულ მცენარეთა ნაშთები, პირდაპირ მიუთითებენ თოსური მიწათმოქმედების განვითარებაზე, რომელიც შესაძლებელია პერიოდულად ირწყვებოდა კიდეც სპეციალურად გაჭრილი სარწყავი არხებით.

საინტერესოა გაანგარიშების ცდა არუხელო I-ზე მოსახლეთა გამოსაკვებად თუ რამდენი ფართობის დამუშავება იქნებოდა საჭირო და რამდენი კაც დღეც მოწეული მოსავლის

ასაღებად (ლ. ჩელიძე, 2001; 26-27; ლ. ჩელიძე, 2006; 65-73). მიწათმოქმედება-მესაქონლეობის წარმოშობაზე მრავალი თეორია არსებობს (В. Шнирельман, 1980; 7-37). გამოთქმული ვარაუდების მიუხედავად ეს საკითხი ჩვენი აზრით ჯერჯერობით დიად რჩება.

სპეციალისტები კლიმატური პირობებისა და ვერტიკალური ზონალობის მიხედვით არჩევენ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ფორმებს. ევრაზიის ფართო ტერიტორიაზე ხელსაყრელ კლიმატურ გეოგრაფიულ რეგიონებში საფუძველი ჩაეყარა კომპლექსურ მიწათმოქმედ-მესაქონლეობა მეურნეობას (Г. Марков; 1976; 12-17). ასეთივე კომპლექსური ხასიათი ჰქონდა შომუ თევზ-შულავერის კულტურის მატარებელი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას.

ნეოლით-ენეოლითში ჩამოყალიბებულ კომპლექსურ მეურნეობაში მესაქონლეობა ჯერ კიდევ ატარებდა ბინადარი მეურნეობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს (В. Шамиლაძე, 1979; 24).

როგორც განხილული გვაქს არუხლო I-ზე მოპოვებული ცხოველთა სხვადასხვა ძვლებიდან დიდი ნაწილი ეკუთვნის შინაურ ცხოველებს. გაანგარიშებულია მსხილფეხა და წვრილფეხა ცხოველთა პროცენტული შემადგენლობა. გაშლილი ველის ნოჟიერი ნიადაგი და საძოვრები კარგი საშუალება იყო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებისათვის. ქვემო ქართლის და კერძოდ არუხლო I-ის მოსახლენი ძვ. წ.-ის VI-V ათასწლეულებში მისდევდნენ ბინადარ ცხოვრებასა და გაშლილი ველისათვის დამახასიათებელ მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას.

მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ რომ ძვ. წ.-ის VI-IV ათასწლეულების ფარგლებში დათარიღებული ერთფენიანი წოფის კულტურის ნამოსახლარები აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთშიც არის აღმოჩენილი და არ არის გამოსარიცხი მეურნეობის გარდამავალი ფორმაც ვივარაუდოთ.

მესაქონლეობას დიდი როლი ჰქონდა მოსახლეობის ხორცით, ტყავით და სხვადასხვა იარაღების დასამზადებელი ძვლებით მომარაგებაში. ირმის რქებთან ერთად, ცხოველის და ფრინველის ძვლებისგან დამზადებულია მრავალრიცხოვანი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო იარაღები. ამ საკითხები იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ წინ წამოვწიოთ ერთი საკითხი, რომელიც ქართულ არქეოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის პასუხაუცემელია. საქმე ეხება მესაქონლეობის როლს მეთუნეობაში. თიხის ცომში მსხვილფეხა და წვრილფეხა მცონენავი საქონლის ნაკელისა და წივის გამოყენებას. ასეთი გამოკვლევა სხვადასხვა რეგიონების ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარების კერამიკაზეა ჩატარებული, რომელთაგან ერთ-ერთი ასეთია ტელ სოტოსა და ქიულ თევზე ნამოსახლარების თიხის ჭურჭლის ნატეხები. ანალიზით გაირკვა რომ კეცში ურევია მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველების მშრალი ნაკელი. ნედლ ცომში შერეული იყო მშრალი წივა, რომელიც სპეციალურად იყო დაქუცმაცებული. საერთო მოცულობაში ნედლ ცომში წივას უკავია 50% (А. Бобрицкий, 1989; 331-332). თუ იმასაც გავითვალისწინებოთ რომ წივა შეიძლებოდა გამოეყენებინათ გასათბობადაც, მაშინ კიდევ უფრო მნიშვნელოვნად იწევს მესაქონლეობის როლი.

არუხლო I-ზე AD-XXII-23-ზე აღმოჩენილია სპილენძის გაურავეველი, ბრტყელი საგნის ფრაგმენტი ხოლო №14 ნახევრადმიწურში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩენილი ე.წ. თიხის კოვზი მიზნეულია ტიგადაღ. სპილენძის ნივთები ქვემო ქართლის ფარგლებში გამოვლინდა ხრამის დიდ გორაზეც (ირ. ლამბაშიძე, გ. მინდიაშვილი და სხვ. 2010; 261-262). სპილენძის ნივთები საქართველოს მსგავსად აზერბაიჯანის და სომხეთის, როგორც არუხლო I-ის სინქრონულ ისე მოგვარო ძეგლებზეც არის აღმოჩენილი. არუხლო I-ზე სარდიონის მიივსაკიდებიც დადასტურდა, რაც იმაზე მიუთითებს რომ, ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურების

მატარებელი მოსახლეობა აქტიურად იყო დაკავებული საბადოებისა და ნახევრად ძვირფასი ქვების ძიებით. ი. სელიმხანოვის აზრით კავკასიაში დარიშხნიანი სპილენძი გამოჩენას იწყებს ძვ. წ-ის V ათასწლეულიდან და არსებობდა II ათასწლეულის შუა ხანებამდე, რომლის შემდეგ მისი რაოდენობა მცირდება (И. Селимханов, 1970; 53).

კულტურული მემკვიდრეობის და ტრადიციის განსაკუთრებული კონსერვატიულობა ჩანს თიხის ჭურჭლის დამზადებაში, რომელიც შომუ თევე-შულავერის კულტურის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. ასეთივე ხასიათისაა არუხლო I-ზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებშიც თიხის ცომის მომზადების, ფორმების, გამოწვის ტექნიკის, ორნამენტის, ფორმებისა და მიძერწვის ტრადიციის მემკვიდრეობითობა და კონსერვატიულობა იგრძნობა. სხვადასხვა ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნატეხები იმდენად გვანან ერთმანეთს, თითქოს ერთი სახელოსნო ცენტრი არსებობდა. თუმცა, ისე როგორც სხვა რიგი საკითხები, ეს პრობლემა ნაკლებად შესწავლილია და მომავალში სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ასეთივე კონსერვატიულობა იგრძნობა წოფის კულტურის ნამოსახლარებშიც, რომლებშიც

ფორმებისა და ორნამენტის განსხვავებულ ტრადიციას ანიჭებენ უპირატესობას. მართალია წოფის კულტურის ნამოსახლარებზე მეურნეობის იგივე ფორმა ჩანს, მაგრამ ნაკლებად მასშტაბურია, როგორც ნამოსახლარები, ისე აღმოჩენილი იარაღთა საერთო რაოდენობა, სერიები და ტიპოლოგიურადაც განსხვავდებიან. მხოლოდ ცალკეულ ნამოსახლარებზე ჩატარებული კომპლექსური კვლევა და ისიც არათანაბრად. ამ მხრივ აღსანიშნავია გორის რაიონში, სოფელ ხელოუბანთან გათხრილი ნამოსახლარი “თანდიწყარო” I, სადაც თიხატეპნილი იატაკის ფრაგმენტიდან და №11 ორმოში გამოვლენილი თიხის გუნდიდან 6. რუსიშვილმა გამოარჩია კულტურულ მცენარეთა შემდეგი სახეები. *Triticum*-ხორბალი, *Hordeum*-ქერი, *Vicia*-ბარდა, *Hordeum noudum*-შიშველმარცვალა ქერი, *Triticum aestivum*-რბილი ხორბალი (Г. Миндиашвили, Г. Чиковани, 1991; 15-18).

მართალია ჩვენ ამჯერად ზოგადი მიმოხილვით შემოვიფარგლეთ, ძირითადი ყურადღება გაგამახვილეთ არუხლო I-ზე, მაგრამ ძვ. წ-ის VI-IV ათასწლეულის მეურნეობის ხასიათის უფრო საფუძვლიანი კვლევისათვის გაცილებით მეტი მასალა არსებობს, რასაც მომავალ კვლევებში გავითვალისწინებთ.

თავი VI.

კულტურული კუთვნილებისა და ძროღოლობის საკითხები

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარების კულტურული კუთვნილებისა და ქრონოლოგიის შესწავლას თავისებური ისტორია აქვს. ამიტომ შევეცდებით მოკლედ გადმოვცეთ სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრება.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პირველი ადრესამიწათმოქმედო კულტურის მრავალფენიანი ნამოსახლარის აღმოჩენისა და შესწავლის პატივი ერგო ოსმან აბიბულაევს, რომელმაც 1951 წელს დაიწყო ნახიჭევანის ქიულ-თეფე I-ის შესწავლა და დაასრულა 1964 წელს. 1959 წელს საბოლოოდ გაირჩვა ნამოსახლარის სტრატიგრაფია, კულტურულ ფენათა სისქე, რომელიც შეადგენდა 22,2 მეტრს. არქეოლოგიური გათხრების მიხედვით დადგინდა, რომ ნამოსახლარზე ცხოვრება დიდხანს გრძელდებოდა და მოიცავდა პერიოდს ენეოლიტიდან რეინის ხანის ჩათვლით (O. აბინულაევ, 1982; 18).

ქიულ თეფე I-ის გათხრებთან ერთად, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მიღის სტეპზე ა. იესენმა დაზვერვებით შეისწავლა ქიულ თეფე I-ის მსგავსი კერამიკული მასალის შემცველი ნამოსახლარები. მაშინ მის ხელთ არსებული მცირე მასალის საფუძველზე აღმოჩენილი ენეოლიტური კულტურა დაუკავშირა, აღმოსავლეთ-წინააზიურ (ირანის) წრეს და აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გარკვეული რეგიონები ძვ.წ.-ის V-IV ათასწლეულში შედიოდა წინააზიურ კულტურულ არეალში (A. იესენ, 1963; 3-14).

შემდეგში მიღის და ყარაბახის სტეპზე ი. ნარიმანოვმა აღმოაჩინა ახალი ნამოსახლარები, რომელიც არ შეიცავდა მოხატულ კერამიკას. ხოლო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ყაზახის რაიონში გამოვლენილი და შესწავლილი შომუ თეფეს, თოირა თეფეს და ბაბადერვებშის ნამოსახლარების მიხედვით გამოყო ახალი, შომუ თეფეს კულტურა (И. Нариманов, 1966; 121). ამ ნამოსახლართა დასახლების ტიპისა და მოპოვებული მასალის მიხედვით ი. ნარიმანოვმა ჩამოაყალიბა შომუ

თეფეს კულტურის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, რომელიც დღესაც ძალაშია.

ი. ნარიმანოვი წერს, რომ ასეთი ნამოსახლარები წარმოადგენენ სხვადასხვა სიმაღლის ხელოვნურ გორებს, საღაც წრიული ფორმის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებს აშენებდნენ სხვადასხვა ზომის (50-55X22-25X8 და 36X16X8) ზურგიანი ალიზის აგურებით. შომუ თეფეს ნამოსახლარზე მან დაადასტურა ამ კულტურისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი და სამეურნეო სათავეების გეგმარებისა და განლაგების ხასიათი. აგურის შენობები აქ ერთმანეთის გვერდით აშენებულია მჭიდროდ, ან მათ შორის გამართულია ტიხარი, რომლითაც იქმნებოდა ერთგვარი შემოზღუდული ქზო, რომელთა დამაკავშირებელი იყო 0,5X0,5 მეტრი ზომის გასასვლელი ღიობები. ასეთი შესასვლელი ღიობები ჰქონდათ ცალკეულ სათავეებსაც. ერთ-ერთი ასეთი კომპლექსი შედგებოდა ორი საცხოვრებელი და ორი სამეურნეო შენობისგან. დროთა განმავლობაში ნამოსახლარზე ხდებოდა შენობების შეკეთება, მოძველებულების ნგრევა, მოსწორება და ახალი კომპლექსის აშენება. ახალ სახლებს აშენებდნენ ძველის გვერდითაც, შესაბამისად ერთ ჰორიზონტში შეიძლება არსებულიყო ორი, სამი სხვადასხვა დროის საცხოვრებელი. ი. ნარიმანოვის აზრით შომუ თეფეს კულტურის კერამიკა განსხვავებულია არამხოლოდ ადგილობრივი, არამედ ირანის, მესოპორამისია და მცირე აზიის კულტურული ცენტრების კერამიკისგან. როგორც ჩანს შომუ თეფეს კულტურის განვითარება ხდებოდა რამდენადმე დამოუკიდებლად. შემდეგ ის განიხილავს არქეოლოგიურ მასალას. შომუ თეფეს კულტურის თიხის ჭურჭელი მოჩალისფრო-მოშავო ფერისაა, დამზადებულია ხელით, კედლები გლუვია, პირისკენ შეთხელებული. ზოგი ჭურჭელი ან პირმოყრილია ან მცირედ პირგადაშლილი, ძირი ბრტყელი და მასიურია. ჭურჭელთა უმრავლესობა კასრისებრი, ან ქილისებრი ფორმისაა. ასევე გვხვდება ფიალები. კეცში შერეულია ხვინჭა, შამოტი და ქვიშა. ჭურჭელებს ახასი-

ათებთ რელიეფური ორნამენტი, ხოლო ძორებზე ეტყობათ ქსოვილის სპირალური და წნული ანაბეჭდები.

მცირე რაოდენობით გვხვდება სუსტად ნაპრიალები მოწითალო, ლია ფერის თიხის ჭურჭლის ნატეხები მცენარეული მინარევებით. თიხის ჭურჭლის ეს ნიშნები ასევე დამახასიათებელია თოირა თევეს 4 მეტრიანი კულტურული ფენისათვის.

შენობებში შიგნით, კედელთან ზოგჯერ იღგა თიხით გამოყვანილი გამოუწვევის ჭურჭლები, ალბათ მარაგის შესანახად.

შომუ თევეს კულტურისათვის დამახასიათებელია ხელსაფქვავები, მასიური სანაყები, როდინები, სახეხები, გაპრიალებული ცულები, ობსიდიანის, კაჟის და კაჟის ჯიშის ქვების იარაღები. ნამგლის ჩასართებად ძირითადად გამოიყენებოდა კაჟის ლამელები. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღები დამზადებულია მსხვილფეხა საქონლის ლულოვანი და ბეჭის ძვლისგან და ირმის რქისგან. ხოლო ნეკრისა და სხვა ძვლებისგან დამზადებულია: სადგისები, საპრიალებლები, თოხები, კოჭები, საგარცხლისებრი ნივთები, ადამიანის ფიგურები და ა.შ. (И. Нариманов, 1966; 121-126). ამავე საკითხის გაგრძელებაა 1967 წელს გამოქვეყნებული ჩვენს მიერ შეკვემდითხილული შულავერის, მიმირის გორის (ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, 1967; 292-298) და არუხლო I-ის (Т. Чубинишвили, К. Кушнарева, 1967; 336-362) გარშემო გამოქვეყნებული სტატიები.

პირველ სტატიაში არქიტექტურის, სამშენებლო ტექნიკის, მოპოვებული არქოლოგიური მასალის და კავშირურთიერთობების გარდა, საუბარია რიგ ნიშანზე, რომლითაც შულავერი და იმირის გორა ყველაზე უფრო უახლოვდება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ყაზახის რაიონში აღმოჩენილ სინქრონულ ნამოსახლარებს. სტატიაში აღნიშნულია რომ მიწათმოქმედი ტომების მიერ შექმნილი შულავერის კულტურა, მოპოვებული მასალის მიხედვით ერთ-ერთი ადრეულია ცენტრალურ ამიერკავკასიაში. ავტორთა აზრით შულავერის გორა და მისი ანალოგიური ნასოფლარები თამამად შეიძლება დათარიღდეს ძვ.წ.-ის V ათასწლეულით (ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, 1967; 292-298).

მეორე სტატიაში კავკასიის ნეოლით-ენეოლითური ნამოსახლარებისა და კავშირურთიერთობის განხილვასთან ერთად ყურადღება გამახვილებულია სამხრეთ კავკასიური კულტურის ორი კომპლექსის, ქიულ თევე I-ის და შომუ თევეს ლოკალურობაზე თუ ორ ქრონოლოგიურ საფეხურზე, თუმცა მასალის ნაკლებობის მიუხედავად, შიდა ქრონოლოგიურმა საკითხებმა ხელი არ უნდა შეუშალოს სამხრეთ კავკასიის ენეოლითური კულტურის, როგორც ერთიანი ისტორიულ-კულტურული მოვლენის აღქმას (К. Кушнаревა, Т. Чубинишвили, 1967; 336-362). მორიგ ნაშრომში ისინი აღნიშნავენ, რომ მდ. მტკვარის აუზის შეა წელში ჩამოყალიბდა რიგი საერთო ნიშნების მქონე ნამოსახლარები (К. Кушнаревა, Т. Чубинишвили, 1970; 36)

შემდეგ ტ. ჩუბინიშვილი თავის ახალ მონოგრაფიაში, სამხრეთ კავკასიაში შესწავლილი ძეგლების მიხედვით, უკვე საუბრობს სამი ძირითადი კულტურის – შომუ თევეს, ქიულ თევეს და მტკვარ-არაქსის კულტურულ-ქრონოლოგიური კავშირის დადგენის შესაძლებლობაზე (Т. Чубинишвили, 1971; 25-26). მისი აზრით წინა მტკვარ-არაქსის კულტურა C¹⁴ თარიღების მიხედვით მქონე ძვ.წ.-ის VI-IV ათასწლეულში.

ასევე საურადდებოა სტატია, სადაც საუბარია უძველესი სამიწათმოქმედო გორა ნამოსახლარების აღმოჩენაზე, რომლებიც შეიძლება ძვ.წ.-ის VI ათასწლეულით დათარიღდნენ (Л. Глонти, А. Джавахишвиლი დრ. 1968; 11-14).

ო. კილურაძის დაკვირვებით, შულავერის გორის ქვის ინდუსტრია და კერამიკა ნეოლითის მიწურულისა და ენეოლითის დასაწყისი უნდა იყოს. (ო. კილურაძე, 1971; 273-296).

გასული საუკუნის 70-იან წლებში შულავერის ჯგუფის ნამოსახლარების ინტენსიური კვლევის და თეორიული გააზრების საუძველებელზე გამოქვეყნდა რამდენიმე მონოგრაფია, სადაც ჩამოყალიბებულია მტკვრის შეა წელის აუზში აღმოჩენილი ნამოსახლარების კულტურული კუთვნილების, ქრონოლოგია-პერიოდიზაციისა და კავშირურთიერთობის საკითხები.

პირველ რიგში აღსანიშნავია ა. ჯავახიშვილის მონოგრაფია, რომელშიც მნისვნელოვანი ადგილი უკავია სწორედ ადრესამიწამოქმედო კულტურის, კერძოდ შულავერისა და იმირის გორის, არქიტექტურას, სამშენებლო ტექნიკას და შენობების რეკონსტრუქციას. მტკვრის შუა წელის აუზის ნამოსახლარები მისი აზრით ეკუთვნის შომუ თევე - შულავერის კულტურას. და ეს კულტურა უნდა ჩამოყალიბებულიყო ძვ.წ.-ის V ათასწლეულის შუა ხანებში, ხოლო დასასრული IV ათასწლეულის შუამდე მოდის, შემდეგ კი იწყება მტკვარ-არაქსის კულტურა (A. ჯავახიშვილი, 1973; 93,102,201).

რ. მუნხავის აზრით შულავერის გორარამდენადმე ძველი ჩანს შომუ თევეს ჯგუფის ნამოსახლარებთან შედარებით. ქვის ინვენტარის საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, რომ შომუ თევე-შულავერის ჯგუფის ნამოსახლარებიდან არ უხლო I და წოფი უფრო ადრეულია, მაგრამ ამ ფაქტებით დასკვნის გაპეთება არ შეიძლება, მათ შორის ამ კულტურის ჩრდილოეთიდან სამხრეთით გავრცელების შესახებაც. C¹⁴-ის თარიღების მიხედვით შომუ თევე-შულავერის ჯგუფის ნამოსახლარები V-IV ათასწლეულით თარიღდებიან. ამ ჯგუფის ისეთი ადრეული ნამოსახლარები, როგორიცაა არუხლო, წოფი, გარგალარ-თევეესი სავარაუდოდ V ათასწლეულის I ნახევარს მიეკუთვნებიან (P. მუნხაევ, 1975; 99).

ვ. მასონს შომუ თევეს და ქიულ თევეს ჯგუფის ნამოსახლარების განხილვა ცალ-ცალკე კულტურად დასაშვებად მიაჩნია თემცა მათ განიხილავს როგორც ორ კომპლექსს (B. Macson, 1971; 123-124).

ძალიან საინტერესოა ტ. ჩუბინიშვილის სტატია, რომელიც წარმოადგენს ა. ჯავახიშვილის უკავე განხილული მონოგრაფიის რეცენზიას. მისი აზრით მონოგრაფიაში წარმოდგენილია სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლარების 3000 წლიანი ისტორია, რომელიც გამყარებულია მახლობელი აღმოსავლეთის (ირანი, ჩრდილოეთ მესოპოტამია, მცირე აზია და სხვა.) მრავალრიცხოვანი მასალის ახალ ასპექტში განხილვით. მასალის კარგი ცოდნა ავტორს საშუალებას აძლევს თვალი გააღვნოს

სამხრეთ კავკასიაში თავისებური სამშენებლო არქიტექტურული ტრადიციის განვითარებას, მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დონეს. შომუ თევე-შულავერის კულტურაში შენობათა გეგმარების განსხვავებულობა, გამოწვეულია დროში ევოლუციური პროცესებით. მონოგრაფიის მაღალი შეფასების ფონზე საყურადღებოა ტ. ჩუბინიშვილის კრიტიკული შენიშვნები, რომელებიც ძირითადად შომუ თევეს ნამოსახლარის გარშემო წამოჭრილი.

მისი აზრით, მონოგრაფიის ავტორს ნაშრომის დასაწყისში უნდა დაეხსიათებინა კულტურის სახელმძღვის შომუ თევეს ნამოსახლარი, სადაც დაფიქსირებულია შომუ თევე-შულავერის კულტურის ძირითადი ნიშნები. ტ. ჩუბინიშვილი არ ეთანხმება ავტორს, რომ ძვ.წ.-ის V-IV ათასწლეულის ეს კულტურა შეიძლება ნეოლითს ან გვიანენეოლითსაც ეკუთვნოდეს. ისინი წარმოადგენენ მიწათმოქმედების მეორად ბაზას, ხოლო საწყისი პირველადი უნდა ვეძებოთ მთისწინეთსა და მთიანეთში, სადაც მეზოლით-ნეოლითში შესაძლებელია სარობდა კულტურულ მცენარეთა გარეული ჯიშები. (T. ტუბინიშვილი, 1976; 283-290).

განხილული სტატიის ერთგვარი გაგრძელებაა ტ. ჩუბინიშვილისა და ლ. ჭელიძის ერთობლივი სტატია, სადაც ავტორები უკვე სამხრეთ კავკასიის ძვ.წ.-ის VI-IV ათასწლეულების კულტურაზე, მათი აზრით ხელოვნურ ბორცვებზე წარმოებითი მეურნეობის ისეთი მაღალი დონეა წარმოდგენილი, რომ მათი მიკუთვნება ნეოლითისადმი გამორიცხულია. შომუ თევე-შულავერის კულტურის განვითარების ხეთი საფეხურისთვის დამასახიათებელი არქეოლოგიური მასალა განხილული აქვთ ფართო ასპექტში, როგორც კულტურის შიგნით, ისე კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ნამოსახლარებზე მოპოვებული პარალელური მასალის მოშველიებით. მასალის ანალიზისა და შომუ ეფეს C¹⁴-ის თარიღის 5560±70 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე, მათ შულავერის გორა არ მიაჩნიათ ყველაზე ადრეულ ნამოსახლარად (T. ტუბინიშვილი, L. ჭელიძე, 1978; 55-69).

პერიოდიზაცია – ქრონოლოგიის საკითხები

ები ყველაზე სრულყოფილად თ. კილურაძეს აქვს განხილული, მან არტეფაქტების ტიპოლოგიისა და ფართოდ მოხმობილი პარალელების საფუძველზე გამოყო შომუ – შულავერის განვითარების ხუთი საფეხური (თ. კილურაძე, 1976; 12-49) (ცხრ. 7)

ლობაზე მესოპოტამიაში პასუხის გაცემა ერთობ რთულია. მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონში სწორკუთხა და წრიული ნაგებობების თანაარსებობა შეინიშნება თითქმის მეზოლითიდან. ხოლო ჰალაფის კულტურის განვითარების ეპოქაში (ძგ.წ.-ის V ათასწლეული) წრიულ-გუმბათური არ-

ცხრილი №7. შომუ თევზ-შულავერის კულტურის განვითარებისსაფეხურები და ანატოლია მესოპოტამიის არქეოლოგიურ კულტურებთან მიმართება

ეტაპები	შულავერი	იმირის	ხრამის დიდი	არუხლო I	ამიერკავკასია	დასავლეთ ანატოლიია	სამხრეთ ანატოლია	ჩრდილო მესოპოტამია
I	შულავერი IX-IV					ჰაჯილარი VI-II	ჩათალ ჰუსკი X-IX	სამარა
II	შულავერი III-I	იმირის VII-VI						
III		იმირის V				ჰაჯილარი I		ჰასუნა I a - c
IV		იმირის IV-I	ხრამის დიდი IX- VI		შომუ თევზ-თოირე თევზ			ჰასუნა- ჰალაფის კულტურა
V			ხრამის დიდი V-I	არუხლო I	ქიულ-თევზ I, თეხუთი			

თ. კილურაძის მონოგრაფიაში განსაკუთრებით ხაზგასმულია ჰალაფის კულტურასთან სიახლოებები, რომელიც პირველ რიგში შეინიშნება არქიტექტურაში. იგი აღნიშნავს რომ პირველად ამ საკითხს ყურადღება მიაქციეს 6. მერპერგმა და რ. მუნჩაევმა, რომელთა აზრით ამიერკავკასიაში წრიული ნაგებობების არსებობის დროსვეული ჩნდება იმპორტული მოხატული კერამიკის ცალები (H. Merpert, R. Muntsaev, 1971; 165). თ. კილურაძის ამ დაკვირვებით ამიერკავკასიაში მოხატული კერამიკის გამოჩენამდე არსებობდა წრიული ნაგებობა, რომელიც ძირითადია შომუ თევზ-შულავერის კულტურის განვითარების ხუთივე საფეხურზე. ამასთანავე იგი იშველიებს ა. ჯავახიშვილის საინტერესო დაკვირვებასაც, თუ საიდან ჩნდება ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ჰალაფის კულტურაში სწორკუთხა ნაგებობების გვერდით წრიულ-გუმბათური შენობები. იგი ეთანხმება მოხაზურებას, რომ ერთ-ერთი შესაძლებელი არეალი შეიძლება სამხრეთ კავკასია ყოფილიყო (თ. კილურაძე, 1976; 106-123).

რ. მუნჩაევისა და 6. მერპერის აზრით ახალი არქიტექტურული ტრადიციის წარმომავ-

ქიტექტურა ფართოდ არის წარმოდგენილი ამიერკავკასიაში. მართალია ა. ჯავახიშვილი, რომ მახლობელი აღმოსავლეთის არც ერთ არქეოლოგიურ კულტურაში წრიულგეგმარებიან არქიტექტურას არ აქვს ისეთი მყარი ორგანული ხასიათი, როგორც სამხრეთ კავკასიაში, თუმცა შეიძლება ორივე რეგიონის სამშენებლო ტრადიციაზე გავლენას ახდენდა მესამე ჯერ კიდევ უცნობი ოლქი (R. Muntsaev, H. Merpert, 1981; 105-106).

განხილვისა და ანალიზის განსაკუთრებული მასშტაბურობით გამოირჩევა რ. მუნჩაევის ნაშრომი, რომელიც ეხება კავკასიის ენეოლითს. ნაშრომში კავკასიის აღრესამიწაობოქმედო ძეგლების დასახლების ტიპი და არქეოლოგიური მასალა განხილულია მახლობელი აღმოსავლეთისა და სხვა მოსაზღვრე რეგიონების სინქრონული მასალის შექმნები. აქ საკმაო ყურადღება გამახვილებულია ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხებზე და მათ შორის თ. კილურაძის უკვე განხილულ მონოგრაფიაზე. მისი აზრით ამიერკავკასიის აღრესამიწაობოქმედო ნამოსახლარების პერიოდიზაციის პირველი ცდა ეკუთვნის თ. კილურაძეს, რომელიც ძირითა-

დად გაპეტებულია ქვემო ქართლის ნამოსახლარების საფუძველზე, მაგრამ ჯერჯერობით არ გვაქვს საფუძველი ეს პერიოდიზაცია გავაკრცელოთ ამიერკავკასიის ძვ.წ.-ის VI-IV ათასწლეულის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ქველა ნამოსახლარზე.

დღეს არსებული რადიოგარბონული თარიღების გათვალისწინებით შეიძლება მხოლოდ გისაუბროთ არა თითოეული ძეგლის ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაზე, არამედ განსახილები კულტურის ქრონოლოგიაზე. ამ ნიშნით სამხრეთ კავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარების საწყისი მოდის VI ათასწლეულის დასაწყისზე, ხოლო ბოლო ეტაპი IV ათასწლეულის დასაწყისზე (Р. მუნხაევ, 1982; 100-103).

ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხებს ეხება გ. ქავთარაძის ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული ორი მონოგრაფია, რომელშიც შესწორებული აბსოლუტური თარიღების საფუძველზე მოცემულია ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ძეგლების პერიოდიზაცია. მისი აზრით ადრე ენეოლითს მიეკუთვნება შულავერ-შომუ თევეს კულტურის ნამოსახლარები და ისინი ძირითადად მიეკუთვნებიან ძვ.წ.-ის VI ათასწლეულს (გ. ქავთარაძე, 1981; 34-40; გ. ქავთარაძე, 1983; 39-45).

როგორც ცნობილია, არუხელო I-ზე, სხვადასხვა სამშენებლო პორიზონტიდან C^{14} -ის მეთოდით მიღებულია 6 თარიღი, რომელთაგან 1 ეკუთვნის ანტიკურ პერიოდს, ხუთი კი ადრესამიწათმოქმედო კულტურის პორიზონტებს. (ცხრ. 8)

ცხრილი №8. არუხელო I. C^{14} -ის თარიღები

TB-89 <u>2030±40</u> <u>2000±49</u> 80BC 50BC	ხის ნახშირი აღებული №4 შენობის მინაშენში, I სამშენებლო პორიზონტიდან 0,70 მ სიღრმეზე.
TB-92 <u>6720±60</u> <u>7340±73</u> 4770BC 5390BC	ხის ნახშირი აღებული №19 შენობის პირველი იატაკიდან. I პორიზონტი 0,90 მ სიღრმეზე.
TB-277 <u>6907±60</u> 5220BC	ხის ნახშირი №1 ფართობის ჩრდილოეთ ნაწილში. 0-დან -1,60 მ. სიღრმეზე.
TB-300 <u>7350±70</u> 5400BC	ხის ნახშირი აღებულია №2 ფართობზე, VII სამშენებლო პორიზონტიდან 5,60 მეტრ სიღრმეზე.
TB-309 <u>6980±70</u> 5030BC	ხის ნახშირი აღებულია №16 ფართობზი №44 სათავსიდან, 4,85 მეტრ სიღრმეზე.
TB-331 <u>6600±140</u> <u>7190±73</u> 4650BC 5240BC	დამწვარი ორგანული ნივთი აღებულია II სამშენებლო პორიზონტიდან 1,85 მ სიღრმეზე.

კორექტირებული თარიღები მიღებულია რ. დამონის დენდროლოგიური კალიბრირებული ცხრილების საფუძველზე. 6737 წელზე მეტ ზოგიერთ თარიღს არ აქვს დენდროლოგიური შესწორება (A. აპაკიძე, A. ბურუაძე, 1987; 13-14).

როგორც ვხედავთ კალიბრირებული თარიღების მიხედვით არუხელო I-ის ადრესამიწათმოქმედო კულტურის კუთვნილი პორიზონტები თარიღდებიან ძვ.წ.-ის VI ათასწლეულის II ნახევრით.

რაც შეეხაბა „წოფის კულტურის“ ნამოსახლარებს სხვა მკვლევარების მოსაზრებებთან ერთად ჩვენ ვევრდნობით შიდა ქართლის ნამოსახლარებისათვის შემუშავებულ ქრონოლოგიურ სქემას, რომელიც ძირითადად ძვ.წ.-ის V ათასწლეულის II ნახევარსა და IV ათასწლეულის I ნახევარს მოიცავს. სოფელ ჟინვალის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარიდან გვაქვს ამ წრის ძეგლებისათვის ერთადერთი C^{14} -ის მეთოდით მიღებული თარიღი;

TB-326 6300±130
4350BC

რ. დამონის დენდროლოგიური ცხრილის კალიბრირებით;

6890±85
4940 BC

(A. Апакидзе, A. Бурчуладзе, 1987; 43). ხოლო რ. კლარკის კალიბრაციულ ცხრილზე გადაფანით 4937+-322 წ. ჩვ. წ-მდე (Г. Кавтаратдзе, 1983; 47). ანალიზი აღებულია ხის ნახშირიდან 3,2 მ სიღრმეზე ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფენიდან. სტრატიგრაფიული დაკვირვებით საინტერესოა სოფელ აბანოსხევში 1 კმ-ის სიგრძეზე და 2 მეტრ სიღრმეზე გამოვლენილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის მასალის შემცველი 0,30-50 მ სისქის განმარტეული ნიადაგი, რომელიც გადაფარულია 1 მეტრი სტერილური თიხნარით. შემდეგ მოსდევს 0,30 მეტრი სისქის ადრეული მტკვარ-არაქსის კულტურის მასალის შემცველი ფენა დრმა წრიული ორმოებით, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში ჩაჭრილი აქვთ განმარტეული ნიადაგიც. აქ მტკვარ-არაქსის კულტურის ფენა გადაფარულია 0,30 მეტრი სტერილური თიხნარით, რომელზეც გამართულია ბედენური კულტურის ყორდანი. სოფ. უინგალში სწორედ ამ განმარტეული ნიადაგის ზედაპირზე იწყებენ ცხოვრებას პირველი მობინადრები (გ. ჩიქოვანი, 1999; 37). ამეამად საინტერესოდ გვეჩვენება დაგსვათ საკითხი აბანოსხევის არქეოლოგიური მასალის შემცველი განმარტეული ნიადაგისა და არუხლო I-ის ქვეშ მდებარე შავი განმარტეული ნიადაგის გეოლოგიური და ისტორიული ურთიერთმიმართების შესახებ.

არუხლო I-ზე ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებზე მნიშვნელოვანი ადგილია დათმობილი თ. კილურაძის მიერ გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში, სადაც დეტალურად განხილულია დასახლების არქიტექტურული გეგმარება, ცალკეული პორიზონტებისადმი კუთვნილი შენობები, ნახევრადმიწურები, ბორცვის მისადგომებთან აღმოჩენილი ძველი თხრილები და არქეოლოგიური მასალა. ამ ნაშრომშიც არუხლო I-ის ზედა პორიზონტებს და ხრამის დიდი გორის V-I პორიზონტებს მთლიანად შულავერ-შომუ თევზე კულტურის მისეულ პერიოდიზაციაში კვლავ V საფეხური უკავია (T. Kiguradze, 1986; 60-68). სათაურის მიხედვით ქვემო ქართლის შულავერ-შომუ თევზე

კულტურის ნამოსახლარები განხილულია როგორც ნეოლითური დასახლებები.

ოთ. ჯავარიძე სხვადასხვა ნაშრომში ქვემო ქართლში ადრესამიწათმოქმედო მოსახლეთა აქტიური საქმიანობის პერიოდს ძვ. წ-ის V და IV ათასწლეულის I ნახევარში განიხილავს, შემდეგ უფრო აფართოებს ქრონოლოგიურ ჩარჩოს და უკვე საუბრობს ძვ. წ-ის VI-V ათასწლეულებზე (О. Джапаридзе, 1989; 179).

ამ საკითხებს ყურადღება მიაქცია ოთ. ლორთქიფანიძემ და აღნიშნავდა, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ-ის VI-V ათასწლეულებში მცხოვრები ტომების მაღალი კულტურა. კალიბრირებული და შესწორებული თარიღების საფუძველზე ამ კულტურის საწყისი ეტაპი ზოგიერთი მკვდევარის აზრით VII ათასწლეულშიც კი გადადის (О. Лордкипаниძე, 1989; 88-89).

კ. კუშარევა კავკასიის ნეოლით-ენეოლითურ ძეგლებს ძვ. წ-ის VI-V ათასწლეულში განიხილავდა, მისი აზრით უკვე შესაძლებელია ადრეული და მოგვიანო ნამოსახლარების გამოყოფა (К. Кушарева, 1993; 18-36).

ნეოლით-ენეოლითის საკითხებთან დაკავშირებით აღსანიშნავია სტატია, რომლის ავტორებმა დიდი როლი ითამაშეს შომუ თევზე შულავერის კულტურის შესწავლაში. ა. ჯავარიშვილი, ი. ნარიმანოვი და თ. კილურაძე ამჯერად საუბრობენ დასავლეთ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ნეოლით-ენეოლითურ ძეგლებზე და მათთვის დამახასიათებელ ნიშნებზე. მათი აზრით დასავლეთ ამიერკავკასიის ოდიშის და სამელე კლდის ტიპის ძეგლები დამოუკიდებელი კულტურაა. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში კი მტკვრის შუა წელის, მტკვარ-არაქსის დაბლობის, მილ-ყარაბახის, მუდანის, არარატისა და ურმიისპირეთის ნამოსახლარები წარმოადგენენ ერთი დიდი კულტურული ერთობის ლოკალურ გარიანტებს. ლოკალური გარიანტები გამოიყოფიან დასახლების ტიპის, კერამიკის

ფორმების, ორნამენტის და რიგი სხვა ნიშნებით. ამასთანავე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჩნდება განსხვავებული კულტურის ახალი ნამოსახლარები წოფი, სონი აღაზნის ველის, არაგვის ხეობის ნამოსახლარები ბოდორნა, უნვალი, არანისი აღმოსავლეთ საქართველოში, ქეთილი და სხვა ნამოსახლარები დასავლეთ აზერბაიჯანში, რომლებიც შეიძლება გამოიყოს ცალკე კულტურულ ქრონოლოგიურ ფენად (A. ჯავახიშვილი, I. ჩარიმანოვ, T. კიგურაძე, 1987; 5-9).

აქ ჩვენ მივადექით ნამოსახლართა ჩამონათვალის იმ ჯგუფს, რომელშიც ფიგურორებს წოფი. როგორც ცნობილია, წოფი პირველი ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარია აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც აღმოჩნდა 1957 წელს. როგორც უკვე მომოვინილეთ, მას არუხლოს ჯგუფის ნამოსახლარებთან ერთად ექვემდიდია გარკვეული შუალედებით სწავლობდა 1965-1976 წლებში.

თავიდანვე უნდა ავლინიშნოთ, რომ ძეგლის გამოხველები არუხლოს ჯგუფისა და წოფის ნამოსახლარს ერთ კულტურულ წრეში განიხილავდნენ. განსაკუთრებით კი ხაზს უსვამდნენ ნატკეცი ქვის მასალის ტიპოლოგიურ სიახლოვეს. ლ. ჭელიძის გაანგარიშებით წოფსა და არუხლო I-III-ში იარაღთა ტიპოლოგიური შემადგენლობა თითქმის ერთია. შულავერის და იმირის გორის ობსიდიანისა და ქვის ინვენტარის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იარაღთა პირველადი ატკეცვის ტექნიკითა და მეორადი დამუშავების ტექნიკით, ისინი მიეკუთვნებიან ერთ კულტურას, ისე როგორც წოფი და არუხლოს ჯგუფის ნამოსახლარები. ობსიდიანის ინვენტარის მიხედვით წოფი და არუხლო I რამდენადმე ძველია ქვემო ქართლის დანარჩენ ნამოსახლარებთან შედარებით და C¹⁴-ით მიღებული თარიღებით თანხვედრაშია ძვ.წ.-ის V-IV ათასწლეულის ქრონოლოგიურ ჩარჩოსთან. ამასთანავე ეს ნამოსახლარები მიეკუთვნებიან შომუ თევეს კულტურულ წრეს დასავლეთ აზერბაიჯანის (შომუ თევე, გარგალართევესი, თოირა თევე, ბაბადერვიში,

რუსთევესი) ნამოსახლარებთან ერთად, რომელთა ქვის ინვენტარსაც ტიპოლოგიურად და ფუნქციონალურად, მცირე განსხვავების მიუხედავად, ბევრი საერთო ნიშანი აქვთ (L. ჭელიძე, 1984; 67-85).

ლ. ჭელიძე, დ. გოგელიასთან ერთად გამოქვეყნებულ ნაშრომში მხარს უჭერს იმ პკლევართა მოსაზრებებს, რომლებიც ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ერთიან კულტურაში (შულავერ-შომუ თევეს კულტურა) ორ ლოკალურ ვარიანტს ხედავენ, რომელიც ქრონოლოგიური სხვაობითაც უნდა აიხსნას (დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, 1992; 29).

ბოლოს ლ. ჭელიძე კვლავ საუბრობს ქვის ნატკეც მასალაზე, როგორც კულტურის შემადგენელ ერთ-ერთ კონსერვატიულ ნაწილზე, რომელიც ძნელად ექვემდებარება ცვლილებას და გავლენას. ქვის ინვენტარის ტექნიკურ-ტიპოლოგიური ხასიათი განსაზღვრავს ძეგლის კულტურულ კუთვნილებას. შესაბამისად იხატება რთული სურათი. წოფის ქვის ინვენტარი ჰგავს შულავერ-შომუ თევეს კულტურას და შესაბამისად ამ კულტურის ფარგლებში უნდა განვიხილოთ. ხოლო სიონის მასალა განსხვავებულია და მას უნდა ეწოდოს სიონის კულტურა (L. ჭელიძე, 2007; 222-224).

როგორც ცნობილია, თ. კილურაძემ პირველმა მიაქცია ყურადღება წოფის ნამოსახლარის ადგილის განსაზღვრას და მან წოფი, თევება, ალიკემებ-თევესი, იდანლი თევე მიიჩნია შულავერ-შომუ თევეს კულტურის V საფეხურზე უფრო გვიანდელ ძეგლებად და მათ ძვ.წ.-ის IV ათასწლეულის I ნახევრით ათარიღებდა (თ. კილურაძე, 1976; 133-134). წოფის მასალაზე საუბრისას ტ. ჩუბინიშვილი და კ. კუშნარევა აღნიშნავდა საკმაოდ მრავალფეროვანი, ზოგჯერ მაღალგანვითარებული კერამიკისა და არქაული იერის ქვის ინვენტარის მიკროლითების თანარსებობას (T. ყუბინიშვილი, K. კუშნარევა, 1967; 340). თ. კილურაძე პრინციპში ეთანხმება ამ მოსაზრებას (თ. კილურაძე, 1976; 85).

თ. კილურაზე ამ საკითხებით უფრო ფართოდ დაინტერესდა სიონის ნამოსახლარის აღმოჩენის შემდეგ. ნამოსახლარი, რომელიც ითხოვდა 1974-1977 წლებში თ. კილურაძის და მ. მენაბდის მიერ. ნამოსახლარი მდებარეობს მარნეულის რაიონში სოფელ სიონის განაპირას პატარა დელის – ხედისწყლის ჩამორღვეულ ნაპირზე. ის დაბა შულავერიდან დაშორებულია სამხრეთ-დასავლეთით 6-7 კმ-ით. აქ შეა და გვიან ბრინჯაოს პერიოდის სამარხების გათხრისას, გამოვლინდა ერთფენიანი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფენა. გაიწმინდა ქვის საძირკველები, რომლებზეც აღიზის კედელი უნდა მდგარიყო. №1 შენობის დარღვეულ მოხაზულობაში გამოიკვეთა მოტკეპნილი იატაკის დამწვარი ფრაგმენტი. გამოთხრელთა დაკვირვებით სიონის ნამოსახლარზე შეიძლება საქმე გვჭრდეს ნახევრად მიწურებთან, რომელიც უკანა მხრით მიწაში იჯდა.

მათი აზრით ასეთი არქიტექტურა კავკასიაში ამ პერიოდში მხოლოდ რამდენიმე აღგილას დადასტურდა – თეორ წყაროში, გინჩხა და შენგავითში. მოპოვებული მასალიდან კერამიკის ნატეხები ძირითადად არაორგანულმინარევიანია, გასამჭლელებლად შერეულია სილა, ხვინჭა, დანაყული ობსიდიანი, კირქვა, ქარსი. ჭურჭლის ნატეხები ხშირ შემთხვევაში ორი ფერისაა, შიგნიდან შავი, გარედან მოვარდისფრო, ზოგჯერ შავი ან გარედან და შიგნიდან მოწითალო, შუაში კი შავი.

ორნამენტიდან გავრცელებული ფორმაა პირზე გაკეთებული სხვადასხვა სახის ნაჭევები, ფოსოები, რომლითაც ებმიანება დასავლეთ საქართველოს კერამიკულ ნეოლითს, ხოლო სავარცხელისებრი ნივთით თუ ნაფოტით ზედაპირდამუშავებული ჭურჭლის ნატეხების მიხედვით პარალელები ეძებნება აღიკემეკ თევზების, მენტეჟის, ქეჩილი III, რუსთაფასის ნამოსახლარების მასალებთან აზერბაიჯანში, თელუტის მასალებთან სომხეთში და ასევე ახალ აღმოჩენილ ძეგლებში აღაზნის ველიდან და არაგვის

ხეობიდან. აღაზნის ველის ნამოსახლარებს წოფთან მასალის გარდა აკავშირებს სხვადასხვა სიღიდისა და სიღრმის ორმოები.

გარკვეულ ორიგინალურობას ამჟღავნებს სიონში აღმოჩენილი ობიექტის ნატკეცი მასალა. ესენია – ლამელებზე და ანატკეცებზე დამზადებული სათლელისებრი იარაღები, ოვალურ სამუშაო პირიანი, სწორ სამუშაო პირიანი, ამოღარული საფხეკები, სახოკები, საჭრისები, ბურღები, დანები, კომბინირებული იარაღები და შომუ თევზე ტიპის ერთი ნამგლის ჩასართი. დანარჩენი ქვის და ძვლის იარაღები ცოტაა.

მ. მენაბდის და თ. კილურაძის აზრით სიონის ნამოსახლარი არ მიეკუთვნება შულავერ-შომუ თევზე კულტურას, წოფის, აღაზნის ველისა და არაგვის ხეობის ნამოსახლარების მასალებთან ერთად შეიძლება პირობითად ერთ დიდ კულტურაში გაერთიანდენ, რომლებიც თარიღდებიან V ათასწლეულის ბოლოთი და IV ათასწლეულის პირველი ნახევრით. თუმცა ხაზს უსვამენ სიონის ნამოსახლარის უნიკალურობას, რასაც მომავალში პასუხი სიონის ტიპის ნამოსახლარების აღმოჩენამ უნდა გასცეს (მ. მენაბდე, თ. კილურაძე, 1981; 7-33). შემდეგ იგივე ავტორების აზრით ამ ტიპის ძეგლები სხვადასხვა მონაცემების გათვალისწინებით ადრე და განვითარებული ენეოლითით უნდა განისაზღვროს (მ. მენაბდე, თ. კილურაძე, 2001; 19-22).

როგორც ამ საკითხებით დაინტერესებულმა წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთმა ავტორმა, 1989 წელს გამოაქვეყნა სტატია, სადაც აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ერთფენიანი, შულავერ-შომუ თევზე კულტურისგან განსხვავებული ძეგლები გამოყოფილია “წოფიგინჩის წრის ნამოსახლარების” სახელწოდებით და დათარიღებულია ძვწ-ის V ათასწლეულის II ნახევრითა და IV ათასწლეულის I ნახევრით. ამ წრეში ასევე ნაგულისხმევია ცენტრალური კავკასიის ახლადაღმოჩენილი ნამოსახლარები (Г. Чиковани, 1989; 84-86). ამ

